

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური

სამეცნიერო ჟურნალი

*„Scripta manent“*

*საქართველო*

№1(25)

2015

ჟურნალი დაფუძნებულია  
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



*GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY*  
*ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ*

*Multilingual Reviewing International Scientific Magazine*  
*Международный рецензионный мультилингвальный научный журнал*

*„Scripta manent“*

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

*№1(25)*

*2015*

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390  
UDK (უკ) 81+82  
S-41

## სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე  
მთავარი რედაქტორი  
რუსუდან თაბუკაშვილი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე  
ია ჩიქვინიძე  
პასუხისმგებელი მდივანი

## რედაქციის წევრები:

ვიტა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუკი, კულაშუ ხეიბიტოვა, სილვია ბოტევა,  
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, ია ბურღული, მარია მიხაილოვა,  
ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაცინო, ალესანდრა სპადაფორა, გიორგი ყუფარაძე,  
რუსუდან ბოცინიძე.

## მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII  
ტელ. : 236 51 76  
E-mail. : r. tabukashvili@gmail. com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი  
E-mail. : k-kharazishvili@mail. ru  
scripta.manentmagazine@gmail. com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:  
[www. odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck,  
Kulpash Beibitova, Tania Grieskhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova,  
Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze, Rusudan Gotsiridze.

Address: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : (995 32) 236 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

**Electronic version:** [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

**Редакционная коллегия:**

Майя Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук,  
Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова,  
Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе,  
Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел. : (995 32) 236 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

**Электронная версия:** [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

## რედაქციისაბან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგუური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს რეცენზიებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოღვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბოხუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტუსცია) უნივერსიტეტებში.

ფილოლოგია

**ციური ახვლედიანი, ნანა აბაშიძე**  
სიტყვაწარმოება თანამედროვე ფრანგულ ენაში..... 10

**ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია**  
ლიტოტის ფუნქციონალური მახასიათებლები ფრანგულ ენაში..... 14

**მანანა ასლანიშვილი**  
კონცეპტების აღწერა ენაში ლინგვისტიკური ანალიზის საშუალებით..... 18

**მაკა ბალაძე**  
ეფემიზმების გავლენა მკითხველსა და მსმენელზე..... 22

**რუსუდან გოცირიძე**  
მეტაფორული ტერმინოლოგია კომპიუტერსა და ინტერნეტში ..... 29

**ნატალია დოლიძე**  
ინდუქციური მიდგომები სასწავლო პროცესში ..... 31

**მარინა ზორანიანი**  
კონექსტუალური ფრეიმი როგორც ტექსტის დამუშავების თეორია..... 43

**რუსუდან თაბუკაშვილი**  
კონოტაციის ცნება ანტროპოცენტრისტულ და სოციოკულტურულ ჭრილში ..... 48

**ეკა თაფლაძე**  
ევენ იონესკოს შემოქმედების კომუნიკაციური ასპექტი ..... 54

**მანანა ივანისელი**  
ლექსიკის ტიპოლოგია სიძნელეთა წარმოქმნის წყაროების მიხედვით ..... 58

**მარინე კობეშავიძე, ნინო აფხაიძე**  
თამაში როგორც უცხოური ენის სწავლების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება..... 63

**მარინა კურატაშვილი**  
სომატიზმების შემცველი არგოტიკული ფრაზეოლოგიზმები თანამედროვე ფრანგულ ენაში.... 72

**მარინა კურატაშვილი**  
ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულები სომატიზმით “გული” («cœur»)..... 76

**მედეა სვანი**  
„მსოფლიოს სურათის“ წარმოშობის კონცეფცია..... 79

**მედეა სვანი**  
მედია-დისკურსის თავისებურება ..... 84

**თამარ შარაშენიძე**  
ენის კონცეპტუალურ და სემანტიკურ სივრცეთა დიფერენცირების პრობლემა ..... 89

**ნინო ჭრიკიშვილი**  
ესპანური ენის კონსონანტური კომპლექსებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ტრანსფორმაციები ..... 93

**ბელა საბეიშვილი**  
ფრანგული სიმბოლისტური ესთეტიკის გავრცელება საქართველოში. თარგმანის მნიშვნელობა ..... 98

**ბელა საბეიშვილი**  
ქართული სიმბოლიზმის საწყისებთან. ფრანგულ-ქართული სიმბოლისტური აზროვნების პარალელები..... 104

**სოციალური მეცნიერებები**

**ქეთევან ახოზაძე**  
კულტურის პოლიტიკის არსი (წერილი მესამე)..... 111

## Contents

### Philology

<b>Tsiuri Akhvlediani, Nana Abashidze</b> Word Formation in Modern French Language .....	100
<b>Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia</b> Functional Characteristics of Litotes in French Language .....	14
<b>Manana Aslanishvili</b> Description of Concepts in Language by Linguistic Analysis.....	18
<b>Maka Baladze</b> An Impact of Euphemisms on Readers and Listeners .....	22
<b>Rusudan Gotsiridze</b> Metaphorical Terminology in Computer and the Internet .....	29
<b>Natalia Dolidze</b> Inductive Approaches in the Process of Teaching.....	31
<b>Marina Zoranyan</b> Contextual Frame as the Theory of Text Processing .....	43
<b>Rusudan Tabukashvili</b> Concept of Connotation in Anthropocentric and Socio-cultural Viewpoint.....	48
<b>Eka Tapladze</b> Communicative Aspect in the Works of Eugène Ionesco .....	54
<b>Manana Ivaniseli</b> The Typology of Vocabulary According to the Sources of Difficulties.....	58
<b>Marine Kobeshavidze, Nino Apkhaidze</b> Game as One of the Effective Methods in Foreign Language Teaching.....	63
<b>Marina Kuratashvili</b> Somatisms Containing Argotic Phraseologisms in Modern French Language.....	72
<b>Marina Kuratashvili</b> French Phraseological Units with the Somatism «Heart» .....	76
<b>Medea Svani</b> Conception of the Creation of the “World Picture”.....	79
<b>Medea Svani</b> Peculiarities of Media Discourse .....	84
<b>Tamar Sharashenidze</b> The Problem of Differentiating Conceptual and Semantic Spaces of the Language.....	89
<b>Nino Chrikishvili</b> Phonetic Transformations Characteristic of Consonant Clusters in Spanish Language .....	93
<b>Bela Khabeishvili</b> French Esthetic Symbolism's Spread in Georgia. Importance of the Translation .....	98
<b>Bela Khabeishvili</b> The Beginnings of the Georgian Symbolism. The Parallels of the French-Georgian Symbolical Thoughts.....	104

### Social Sciences

<b>Ketevan Akhobadze</b> The Essence of Culture Politics (Letter Three).....	111
---	-----

## Содержание

### Филология

<b>Циури Ахвледиани, Нана Абашидзе</b> Словообразование в современном французском языке .....	10
<b>Циури Ахвледиани, Кетеван Габуния</b> Функциональные характеристики литоты во французском языке .....	14
<b>Манана Асланишвили</b> Описание понятий в языке посредством лингвистического анализа .....	18
<b>Мака Баладзе</b> Влияние эвфемизмов на читателя и слушателя .....	22
<b>Русудан Гоциридзе</b> Метафорическая терминология в среде компьютеров и Интернета .....	29
<b>Наталия Долидзе</b> Индуктивный подход в процессе обучения .....	31
<b>Марина Зоранян</b> Контекстуальный фрейм как теория обработки текста .....	43
<b>Русудан Табукашвили</b> Понятие коннотации в антропоцентрическом и социокультурном разрезе .....	48
<b>Эка Тапладзе</b> Коммуникационный аспект творчества Эжена Ионеско .....	54
<b>Манана Иванисели</b> Типология лексики по источникам сложностей .....	58
<b>Марина Кобешавидзе, Нино Апхаидзе</b> Игра, как один из эффективных методов обучения иностранным языкам .....	63
<b>Марина Кураташвили</b> Арготические фразеологизмы с соматизмами в современном французском языке .....	72
<b>Марина Кураташвили</b> Фразеологические единицы с соматизмом “сердце” (“coeur”) во французском языке .....	76
<b>Медея Свани</b> Концепция происхождения „картины мира“ .....	79
<b>Медея Свани</b> Своеобразие медиа дискурса .....	84
<b>Тамара Шарашенидзе</b> Проблемы дифференциации концептуального и семантического пространства .....	89
<b>Нино Чрикишвили</b> Фонетические трансформации, характерные для консонантных комплексов испанского языка .....	93
<b>Белла Хабеишвили</b> Распространение эстетики французского символизма в Грузии. Важность переводов .....	98
<b>Белла Хабеишвили</b> У истоков грузинского символизма. Параллелизм французско-грузинского символистического мышления .....	104

### Социальные науки

<b>Кетеван Ахобадзе</b> Сущность политики культуры (Письмо третье) .....	111
---	-----



**ფილოლოგია**

**Philology**

**Филология**

## სიტყვაწარმოება თანამედროვე ფრანგულ ენაში

ციური ახვლედიანი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ნანა აბაშიძე  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 599 484 304  
E-mail: nabashidze555@gmail.com

### რეზიუმე

ცხოვრების ნებისმიერი სფეროს ყოველი ახალი მოვლენა თუ გამოვლენა იღებს თავის სახელწოდებას, რისთვისაც იქმნება ახალი სიტყვები და სიტყვათშეერთებები, ან გამოიყენება ძველი სიტყვები ახალი მნიშვნელობებით. ახალი ლექსიკური ერთეულები იქმნება ენის ყველა დონის (ფონეტიკურის, მორფემულის, ლექსიკურ-სემანტიკურის და სინტაქსურის) საშუალებებით. ზოგჯერ ერთდროულად გამოიყენება რამდენიმე სხვადასხვა ხერხიც.

### საკვანძო სიტყვები:

სიტყვაწარმოება, მეტაფორა, აფერეზა, აპოკოპა, მეტონიმია.

### შესავალი

სიტყვაწარმოება, როგორც ენის სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი, ენის ლექსიკური მარაგის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ენის ლექსიკა უშუალოდ ასახავს რეალურ სინამდვილეს. ცნობილია, რომ ლექსიკური ერთეულის ძირითადი

დანიშნულება დასახელების (სახელდების) ფუნქციაა. ცხოვრების ნებისმიერი სფეროს ყოველი ახალი მოვლენა თუ გამოვლენა იღებს თავის სახელწოდებას, რისთვისაც იქმნება ახალი სიტყვები და სიტყვათშეერთებები, ან გამოიყენება ძველი სიტყვები ახალი მნიშვნელობებით. მეცნიერების ახალ დარგთა წარმოშობასა და განვითარებას მოსდევს ახალ ტერმინთა გაჩენა; მრავალი სპეციალური ტერმინი, თანდათანობით, ყოველდღიური ენის ელემენტად იქცევა და ჰპოვებს ფართო გავრცელებას.

### ძირითადი ნაწილი

ფრანგების ინგლისური სიტყვებით გატაცების შედეგად გაჩნდა ცნება *franglais* (*français* –სა და *anglais* –საგან) – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ინგლისური ენის გავლენით მნიშვნელოვნად შეცვლილ ფრანგულ ენას, როგორც ლექსიკის, ასევე სინტაქსის პლანში; ასევე მისი შესაბამისი ზედსართავიც: *franglais* (e); მაგ., *tourneures franraises* – ‘ამერიკანიზმები, ანგლიციზმები’.

ფრანგულ ენას აქვს სიტყვაწარმოებით საშუალებათა რთული და მრავალფეროვანი სისტემა. ენობრივ დონეთა მიხედვით, რომელთაც მიეკუთვნებიან სიტყვაწარმოებელი საშუალებები, განასხვავებენ სიტყვაწარმოების სამ ძირითად ტიპს: ფონეტიკურს, მორფოლოგიურსა და სემანტიკურს. ახალ სიტყვათა წარმოების ყველაზე მეტად პროდუქტიულ საშუალებებს წარმოადგენენ სიტყვაწარმოების მორფოლოგიური და სემანტიკური ტიპები.

ფონეტიკური სიტყვაწარმოების დროს, ახალი სიტყვები იქმნება ხმაბაძვის გზით (მაგ., “*coucou*”, “*tchin-tchin*”). ფონეტიკური სიტყვაწარმოება გამოიყენება აგრეთვე შორისდებულთა, ანუ ისეთი სიტყვების შესაქმნე-

ლად, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას (მაგ., “chut”).

სემანტიკური სიტყვაწარმოების დროს, სიტყვის ფორმა არ იცვლება, იცვლება მხოლოდ მისი მნიშვნელობა ან ფუნქცია; მაგ., voler - ‘ფრენა’, voler - ‘ქურდობა’.

მორფოლოგიური სიტყვაწარმოება გულისხმობს ახალი სიტყვების შექმნას არსებული ფორმების ცვლილების გზით, სხვადასხვა ფორმალურ საშუალებათა დახმარებით, განსაზღვრული სიტყვაწარმოებითი მოდელების მიხედვით; მაგ., cendre – cendrier, voler – voleur, intoxiquer – un intoxiqué, porte parole – porte-parole, porter bonheur – porte-bonheur, porter და voix – porte-voix.

სიტყვაწარმოების მორფოლოგიურ ტიპს განეკუთვნება სუფიქსაცია, პრეფიქსაცია, სიტყვათხზვა და ლექსიკალიზაცია, ასევე აბრევიაზაცია, კონვერსია და ნასესხობები. მეტაფორა და მეტონიმია სტილისტიკური ხერხებია, თუმცა თანამედროვე ენაში ხელს უწყობენ ახალ სიტყვათა შექმნასაც.

**მეტაფორა:** bombax ‘ძალიან ღამაზი გოგონა’, bounty ‘შავკანიანი ადამიანი, რომელიც ცდილობს დაემსგავსოს თეთრკანიანს’, fouetter ‘ცუდი სუნის ქონა’, galère ‘შიძიმე მატერიალური მდგომარეობა’, arhnouch ‘პოლიციელი’.

**მეტონიმია:** bleu ‘პოლიციელი’, casquette ‘კონტროლერი (შემმოწმებელი)’, minch ‘მეგობარი ქალი’, pélo ‘მამაკაცი’.

სიტყვაწარმოებულ ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს “ვერლანი” (verlan) – პირობითი ენის სახეობა, რაც გულისხმობს ზოგიერთ სიტყვაში მარცვლების ინვერსიას: laisse béton ნაცვლად laisse tomber –სი, féca ნაცვლად café –სი, tromé ნაცვლად métro –სი, meuf ნაცვლად femme –სა, ripou ნაცვლად pourri –სა. თანამედროვე ენაში განასხვავებენ ერთმარცვლიან (monosyllabique) და ორთოგრაფიულ (orthographique) ვერლანებს; მაგ., aç – (ça), ainf – (faim), ap – (pas), auch – (chaud), ienb – (bien), iench – (chien), iep – (pied), ouam – (moi), ouat –

(toi), ouf – (fou), oinj – (joint) – ერთმარცვლიანი ვერლანებია; à donf – (à fond), zen – (nez) – ორთოგრაფიული ვერლანებია. ზოგიერთი სიტყვა იქმნება “განმეორებითი” ვერლანის საშუალებით: femme – meuf (I ვერლანი) – feumeu (II ვერლანი), mère - reum (I ვერლანი) -- meureu (II ვერლანი), comme ça – comme aç (I ვერლანი) -- askeum (II ვერლანი) – asmeuk (III ვერლანი).

პროდუქტიულ სიტყვაწარმოებულ ხერხებს განეკუთვნება:

**1. აპოკოპა (apocope)** – ფონემის, ერთი ან რამდენიმე მარცვლის ამოვარდნა სიტყვის ბოლოში: artiche – artichaut (« argent »); assoc – association; basks – baskets (chaussures de sport); biz – bisness (ინგლ. business – « trafic, affaires illicites »); manès – manéci (ვერლანი cinéma –დან); tainp – tainpu (ვერლანი putin –დან « prostituée »); tasse – taspé (ვერლანი pétasse –დან); téç – téci (ვერლანი cité –დან); trom – tromé (ვერლანი métro [politain] –დან); turve – turvoi (ვერლანი voiture –დან).

**2. აფერეზა (aphérèse)** – ფონემის, ერთი ან რამდენიმე მარცვლის ამოვარდნა სიტყვის თავში: blème – problème; dwich – sandwich; leur – contrôleur; rien – algérien; vail – travail; zic – musique; wien – tunisien; zon – prison; dic – indicateur de police; teur – inspecteur de police.

**3. აფერეზა + კინილობით-მოფერებითი გაორმაგება (redoublement hypocoristique):** dic – dicdic - indicateur de police; fan – fanfan – (enfant); gen – gengen (argent); leur – leurleur (contrôleur); zic – ziczic (musique); zon – zonzon (prison); keuf – keufkeuf (ვერლანი flic –დან).

**4. შეკვეცილ სიტყვაზე სუფიქსის დამატება (resuffixation après troncation):** bombax – (bombe, « très belle fille »), chichon – (chicha – haschisch), clandos – (clandestin), pourav – (pourri), taspèche – (taspé « pétasse »), reunous – (reunoi « noir »).

**5. ფლექსიურ-ზმნურ ნიშანთა არარსებობა (absence de marques désinentielles verbales):** débar (voler, mentir), bédav (fumer), béflan (crâner,

frimer), marav (battre, tuer), pécho (ან peucho, peuoch « attraper, voler, draguer, frapper »); péfli (péfily « avoir très peur »), pillav (boire), poucav (dénoncer, balancer), tēj (jeter), tirav (voler).

თანამედროვე ლექსიკის ზოგად თვისებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ბოლო წლებში შემოსული ცვლილებები:

1. სიტყვები, რომლებიც ხშირად ახალი მნიშვნელობით იხმარება: terrible (extraordinaire), réaliser (se rendre compte de), être dégoûté (être très déçu), avatar (difficulté), risquer (avoir la chance de...), incroyable (extraordinaire);

ფართოდაა გავრცელებული წინდებულის «sur» გამოყენება წინდებულის “à მნიშვნელობით: Il habite et travaille “sur” Paris.

2. ზოგიერთი სიტყვა გამოდის ხმარებიდან და იცვლება სხვა სიტყვებით: épouse, époux, épousailles (femme, mari, mariage); barbans, vieillards, vieux (seniors, le quatrième âge); bicyclette (vélo), « à la mode » (« in », « branché », « tendance », « très tendance »).

3. აღდგენილია ხმარებიდან გამოსული ზოგი სიტყვა: véhicule (auto, voiture), les jeunes (ados, adolescents), posture (attitude), citoyen (un comportement citoyen, une initiative citoyenne).

4. დიდი რაოდენობითაა ნეოლოგიზმები: positiver («il faut positiver» – მაღაზიათა ქსელის «Carrefour» სლოგანი); solutionner ხშირად იხმარება résoudre (un problème) –ის ნაცვლად.

5. შეინიშნება ინგლისურენოვანი სიტყვების ბოროტად გამოყენება: un speech ნაცვლად სიტყვისა un discours.

6. გაჩნდა დიდი რაოდენობით « სიტყვა-პარაზიტები » - თავისებური სამეტყველო ჩვევები: un peu, un petit peu, je veux dire, quelque part, comme ça, genre, faire genre, disons que, j’ai envie de dire, j’ai envie de vous demander, comment და ა. შ.

7. დიდი რაოდენობის სიტყვები გამოდის ხმარებიდან, იძენენ რა « არაკორექტულობის » სტატუსს: ouvrier – opérateur, chaîne – ligne, aveugle – mal voyant, sourd – mal entendant, handicapé physique – personne à mobilité réduite, noir – personne de couleur ou « black », vieux – personnes âgées ou seniors ან quatrième âge და სხვ.

8. პრესაში ჩნდება ამა თუ იმ მოვლენის გამომხატველი, ხშირად მკითხველთათვის გაუგებარი, დიდი რაოდენობის აბრევიატურა: RTF, RMI, ASSEDIC, VTT და ა. შ.

9. ზოგიერთი ტექნიკური ტერმინი იცვლება ახალი ტერმინით: un poste de TSF – une radio – un tuner, un disque – un CD, une machine à laver – un VTT.

10. ფართოდ გამოიყენება დამხმარე ენობრივი საშუალებები, როგორიცაა: machin, truc, chose, bidule, zinzin, machiner და ა. შ.

## დასკვნა

ამრიგად, ფრანგულ ენაში ენობრივი სხვადასხვა დონისა და ასევე დამატებითი სხვადასხვა ხერხების გამოყენებით იქმნებოდა სრულიად ახალი ენობრივი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მალევე ერწყმიან ყოველდღიურ ენას.

## ლიტერატურა

1. Lenôtre J. P. (2006): Le français en l’an 2006. Paris
2. Le Petit Robert (2004): Paris
3. www.languefrancaise.net

## Словообразование в современном французском языке

*Ахвледиани Циури Александровна*  
*Тбилисский государственный университет*  
*Факультет гуманитарных наук*  
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 599 508 607*  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Абашидзе Нана Каихосровна*  
*Тбилисский государственный университет*  
*Факультет гуманитарных наук*  
*Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 599 484 304*  
E-mail: nabashidze555@gmail.com

### Резюме

Каждое новое явление и научное изобретение получает свое наименование, и при этом, для них, либо создаются новые слова и словосочетания, либо используются прежние слова с новым значением. Новые лексические единицы создаются при помощи средств всех уровней языка – фонетического, морфемного, лексико-семантического и синтаксического. Иногда используется несколько различных способов одновременно.

### Ключевые слова:

словообразование, метафора, афереза, апокопа, метонимия.

## Word Formation in Modern French Language

*Tsiuri Akhvlediani*  
*Tbilisi State University*  
*Humanitarian science faculty*  
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*  
*Tel.:599 508 607*  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Nana Abashidze*  
*Tbilisi State University*  
*Humanitarian science faculty*  
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*  
*Tel.:599 484 304*  
E-mail: nabashidze555@gmail.com

### Abstract

Each new phenomenon or invention of any sphere of life is given its name. For this purpose new words or word combinations are created or old words are used in new meanings. New lexical units are created by the devices on every level of language (phonetic, morphemic, lexical-semantic and syntactic). Sometimes several different techniques are used simultaneously.

### Keywords:

semantic derivation, semantic neologism, neologism, french language.

## ლიტოტის ფუნქციონალური მახასიათებლები ფრანგულ ენაში

ციური ახვლედიანი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ქეთევან გაბუნია  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 599 201 099  
E-mail: keti\_gabunia@yahoo.com

### რეზიუმე

ცნობილ სტილისტიკურ ფიგურებს შორის ლიტოტას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ლიტოტა ფართოდ გამოიყენება ფრანგულ სასაუბრო მეტყველებაში როგორც ურთიერთობის განსაზღვრული ფორმა, «თავაზიანობის» ეთიკური ნორმების დაცვით. ლიტოტა მჭიდრო კავშირშია სხვა სტილისტიკურ ფიგურებთან: ჰიპერბოლასთან, ეგფემიზმთან, ირონიასთან. ამ ბოლო ხანს ლიტოტა ფართოდ გამოიყენება პოლიტიკური ცხოვრების სფეროში, პოლიტიკორექტულობის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

### საკვანძო სიტყვები:

ლიტოტა, ჰიპერბოლა, ეგფემიზმი, ფუნქციონალური მახასიათებლები.

### შესავალი

ენის ხატოვანი საშუალებების ფუნქციონირება უკავშირდება კომუნიკაციური განპირობებულობისა და/ან კომუნიკაციური განზრახვის ცნებებს. სასაუბრო ენაში, ენის ხატოვან საშუალებათა გაჩენისა და ფუნქციონირების კომუნიკაციური განპირობებუ-

ლობის შესწავლა ხელს უწყობს კულტურათაშორისი კომუნიკაციის თავისებურებათა ღრმად წვდომას.

კომუნიკაციური განზრახვა (ინტენცია) გამოხატავს მოსაუბრის გამონათქვამის კონკრეტულ მიზანს, ანუ შეკითხვას, მტკიცებას, მოწოდებას, განსჯას, რჩევას, მოთხოვნას და ა.შ. კომუნიკაციური განზრახვა წარმოადგენს მოსაუბრეთა სამეტყველო ქცევის რეგულატორს. სამეტყველო ქმედების ნებისმიერი ცალკეული შემთხვევა, დიალოგშიც და მონოლოგშიც, გამოიყენება კონკრეტული კომუნიკაციური განზრახვის (ინტენციის) შესასრულებლად. ინტენცია მუდამ არსებობს მოსაუბრის ცნობიერებაში, მაგრამ ყოველთვის არ არის ექსპლიციტურად გამოხატული ენობრივი საშუალებებით.

### ძირითადი ნაწილი

ენობრივი საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვა კომუნიკაციური განზრახვის გამოხატვა, ასევე მოლაპარაკის ურთიერთობის გამოხატვა არა მარტო შეტყობინებასთან, არამედ თანამოსაუბრესთანაც, წარმოგვიდგება ლექსიკური, გრამატიკული და ინტონაციური საშუალებების სახით. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ენის იმ გამომხატველობით ლექსიკურ საშუალებებს, რომლებიც ახორციელებენ ამა თუ იმ კომუნიკაციურ განზრახვას. ენის ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს ლიტოტა. ფართოდ ცნობილ სტილისტიკურ ფიგურებს შორის ლიტოტას (და ასევე ჰიპერბოლასაც) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ ფიგურათა დენოტატიური შინაარსი მუდამ ივსება სუბიექტური ურთიერთობით, შეფასებით, რაც აზრს მეტ ემოციურ გამომხატველობას ანიჭებს. ლიტოტა და ჰიპერბოლა მუდამ ქმნიან სტილისტიკურ ეფექტს და არასოდეს არ არიან სტილისტიკურად

ნეიტრალური. ფრანგი ლინგვისტები ლიტოტას მოიხსენიებენ როგორც «ფიგურათა დედოფალს» («La reine de toutes ces figures») და «კლასიკოსთა უმაღლეს ხელოვნებას» («Art suprême des classiques»). ლიტოტის განსაზღვრისას გამოყოფენ მის თვისებას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ითქმის ნაკლები და იგულისხმება მეტი, ანუ ექსპლიციტური ფორმით გამოიხატება გამონათქვამის ჭეშმარიტი აზრის წინასწარ განზრახული «შემცირება» (ნიშნისა, თვისებისა, ხარისხისა, შეფასებისა). ლიტოტა იძლევა აზრის გამოხატვის შესუსტების შესაძლებლობას, თუმცა გულისხმობს წარმოთქმულზე მეტს.

ლიტოტა ფართოდ გამოიყენება ფრანგულ სასაუბრო მეტყველებაში როგორც ურთიერთობის განსაზღვრული ფორმა, «თავაზიანობის» ეთიკური ნორმების დაცვით. ლიტოტა ხშირად ეფუძნება «საწინააღმდეგოს» უარყოფას. მაგალითად, ხშირად გაისმის ამგვარი გამონათქვამები:

Je ne suis pas très content 'არა ვარ ძალიან კმაყოფილი', ნაცვლად je suis mécontent 'უკმაყოფილო ვარ';

Ce n'est pas mal 'ეს არაა ცუდი', ნაცვლად c'est bien 'ეს კარგია';

Ce n'est pas l'idéal 'ეს არაა იდეალური', ნაცვლად c'est mauvais, mal fait 'ეს ცუდია, ცუდადაა გაკეთებული';

Ce n'est pas drôle 'ეს არ არის გასართობი, თავშესაქცევი', ნაცვლად c'est très ennuyeux 'ეს ძალიან მოსაწყენია, უსიამოვნოა';

Il ne laissera pas que des regrets ნიშნავს On le déteste 'ის ეზიზღებათ';

C'est pas très sympa (intelligent), ce que tu viens de faire ნიშნავს C'est moche... 'ეს სისადაგლეა'.

ასეთი გამონათქვამები, უარყოფითი ფორმის საშუალებით, არბილებენ საკუთარ აზრს მოსაუბრის დანდობის მიზნით, ანუ ხდება საკუთარი აზრის ცრუ შერბილება.

ასეთივე ეფექტს ახდენს ლიტოტის ფორმირების სხვა საშუალებაც: უარყოფა შეიძლება მიუერთდეს უარყოფითი მნიშვნელო-

ბის მქონე სიტყვებსა და გამოთქმებს, ანუ ასეთ შემთხვევებში ხდება ორმაგი უარყოფა; მაგალითად:

Tu ne peux pas dire que je ne t'aime pas 'შენ არ შეგიძლია თქვა, რომ მე არ მიყვარხარ';

Ce peintre n'est pas dénué de talent 'ეს მხატვარი არ არის ნიჭს მოკლებული'.

გამონათქვამში უარყოფის (სემანტიკურის, სინტაქსურის, ან ორივეს ერთდროულად) არსებობა არის სწორედ "თავაზიანობის" ლიტოტის შექმნის წყარო, რომელიც გადმოსცემს მოსაუბრის დამოკიდებულებას აღნიშნული მოქმედების ან თვისების მიმართ, მის სურვილს, რომ ხაზი არ გაუსვას საკუთარ თავდაჯერებულობას ქმედების ან თვისების სრულყოფილად გამოვლენაში. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს აზრის «ცრუ» შერბილებას. ლიტოტის გამოყენებით, ავტორი ცდილობს თავისი აზრის მოკრძალებულად გამოხატვას.

წინაარსის პლანით ლიტოტა მჭიდრო კავშირშია სხვა სტილისტიკურ ფიგურებთან: ჰიპერბოლასთან, ეფემიზმთან, ირონიასთან. ზოგი ლინგვისტი ლიტოტას განიხილავს როგორც ჰიპერბოლის საწინააღმდეგო ფიგურას. ლიტოტა გამოხატავს «ნაკლებს», მიანიშნებს რა «ბევრს»; ჰიპერბოლა კი უფრო მეტს ამბობს, ანუ აზვიადებს რეალურზე მეტად; მაგალითად, გამონათქვამში Cette robe est horrible უნდა გავიგოთ ისე, რომ «ეს კაბა, უბრალოდ, არაა მოსაწონი» და არა ისე, რომ «ეს კაბა მართლაც საშინელია». ლიტოტას გამოყენებით, Cette robe n'est pas horrible, მივიღებთ ასევე იმპლიციტურად გამოხატულ აზრს, მაგრამ გაცილებით შერბილებული ფორმით: 'ეს კაბა არ არის საშინელი', ანუ «მე არ მომწონს ეს კაბა». ამ მაგალითებში ჰიპერბოლაც და ლიტოტაც ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ: გამოხატავენ საგნისადმი მოსაუბრის დამოკიდებულებას; განსხვავება მდგომარეობს ექსპრესიულობის, ემოციურობის ხარისხში: ლიტოტა, გვაწვდის რა ხარისხის შეფასებას,

გამოხატავს თავაზიანობას თანამოსაუბრის მიმართ და ახდენს აზრის ცრუ შერბილების ეფექტს. ჰიპერბოლის გამოყენების მიზანია მსმენელის ან მკითხველის დარწმუნება და გაოცება. კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ჰიპერბოლა მუდამ შეფასებითია, რადგან გადმოსცემს მკვეთრად და ნათლად გამოხატულ სუბიექტურ აზრს; მაგალითად: *Génial ! 'გენიალურია !' Plus vrai que le vrai ! 'უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე თვით ჭეშმარიტება !' La plus belle voiture du siècle ! 'საუკუნის ყველაზე ლამაზი მანქანა !' Je meurs de faim ! 'კვლევი შიმშილისაგან !'. როგორც სტილისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, ჰიპერბოლური სიტყვები და გამოთქმები, ძირითადად, ფამილარული ხასიათისაა. ჰიპერბოლა შეიძლება გამოიხატებოდეს მეტაფორით, ეპითეტით, პერიფრაზითა და საკუთარ სახელ-სიმბოლოთი. ძნელია ჰიპერბოლიზაციის განცალკევება სტილისტიკურად შეფერილ სხვა სიტყვებისა და გამონათქვამებისაგან. ნებისმიერი სიტყვისა და გამონათქვამის ჰიპერბოლური ელემენტი რეალიზდება მხოლოდ კონტექსტში. ერთი და იმავე სიტყვის ან გამონათქვამის ჰიპერბოლიზაცია, კომუნიკაციური განზრახვის მიხედვით სხვადასხვანაირად გამოიყენება სხვადასხვა აზრის გამოსახატავად, ანუ სხვადასხვა კონტექსტში ერთსა და იმავე ჰიპერბოლას სხვადასხვა აზრი აქვს: *Il a dépensé tout cet argent, c'est formidable !* (გულისწყრომა, აღშფოთება); *Il a sauvé cet enfant malade, c'est formidable !* (აღტაცება); *C'est qu'il est brave, c'est formidable !* (ირონია).*

ჰიპერბოლის გამოყენება საუბრისას ლიტოტისაგან განსხვავებით ხასიათდება ისეთი განზრახვებით, როგორებიცაა: საკუთარი დადებითი ან უარყოფითი ემოციების გადაცემა თანამოსაუბრეებისათვის, საკუთარი თავის ან ვინმე სხვის ამადლება გარშემომყოფთა თვალში და ა.შ. ამგვარად, ჰიპერბოლას და ლიტოტას, ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში, განსხვავებული კომუნიკაციური დანიშნულება აქვთ.

ლიტოტა როგორც გამოხატვის სტილისტიკური ხერხი, ძალიან ახლოს დგას ეფემიზმთან; თუმცა მათ შორის არის არსებითი განსხვავება, რაც განისაზღვრება კომუნიკაციურ განზრახვათა სხვაობით. ლიტოტისა და ეფემიზმის ძირითადი მიზანია ამა თუ იმ სიტყვისა თუ გამონათქვამის მნიშვნელობის შერბილება. ლიტოტის შემთხვევაში ეს არის ობიექტის, პროცესის ან მოვლენის თვისებათა ან ზომათა განზრახ შემცირება, რაც ემყარება თანამოსაუბრის აზრისადმი პატივისცემის გამოხატვას, ეფემიზმის შემთხვევაში კი იგონება რაიმეს ხმამაღლა წარმოთქმის, ცრურწმენაზე დამყარებული, განსაზღვრული შიში.

ეფემიზმები არბილებენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთაც რეალურ ცხოვრებაში საკმაოდ მძიმე და უხეში მნიშვნელობა აქვთ; ისინი ეხებიან ძირითადად ისეთ თემებს, როგორებიცაა: ომი, სიკვდილი და სხვ. მაგალითად, ლიტოტა *Il est assez fatigué* ნიშნავს *Il est gravement malade*; აქ იხმარება გამონათქვამი «მას დაღლილი იერი აქვს» ნაცვლად გამონათქვამისა – «იგი სერიოზულად ავადაა». ამ შემთხვევაში ადგილი აქვს «ეფემისტურ ლიტოტას», რომელიც არასრულად ასახავს რეალობას.

### დასკვნა

ლიტოტის ფუნქციონირების ზოგიერთი შემთხვევა და ასევე მასთან დაკავშირებული სტილისტიკური ფიგურებიც ქმნიან სტილისტურ ეფექტებს (მოვლენათა შეფასებას, აზრის თავისებურ შერბილებას, საკუთარი დამოკიდებულებისა და თავაზიანობის გამოხატვას), რაც ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი პოლიტიკორექტულობის კუთხით.



## ლიტერატურა

1. Boutet de Monvel Marc (2011): Les procédés du discours. Paris
2. Nicole Ricalens-Pourchot (2003): Dictionnaire des figures de style. Paris

## Функциональные характеристики литоты во французском языке

*Ахведიანი Циური Александровна*  
*Тბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*ფაკულტეტი ჰუმანტარული მეცნიერებების*  
*პრ. ი. ჩაჩავაძის №36, 0179, თბილისი, გურჯია*  
*ტელ.: 599 508 607*  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*გაბუნია კევეანი უჩაევანი*  
*Тბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*ფაკულტეტი ჰუმანტარული მეცნიერებების*  
*პრ. ი. ჩაჩავაძის №36, 0179, თბილისი, გურჯია*  
*ტელ.: 599 201 099*  
E-mail: keti\_gabunia@yahoo.com

### Резюме

Среди широко известных стилистических фигур литоте принадлежит особое место. Использование литоты характерно для разговорной речи французского языка, как определенная форма общения с соблюдением этических норм “вежливости”. Литота тесно связана со стилистическими фигурами гиперболы, эвфемизма, иронии. В последнее время, литота находит широкое применение в сфере политической жизни в связи с требованиями политкорректности

### Ключевые слова:

литота, гипербола, эвфемизм, функциональные характеристики.

## Functional Characteristics of Litotes in French Language

*Tsiuri Akhvlediani*  
*Tbilisi State University*  
*Humanitarian science faculty*  
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*  
*Tel.:599 508 607*  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Ketevan Gabunia*  
*Tbilisi State University*  
*Humanitarian science faculty*  
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*  
*Tel.:599 201 099*  
E-mail: keti\_gabunia@yahoo.com

### Abstract

Litotes occupies special place among the well-known stylistic figures. Litotes as a definite form of relationship by ensuring the adherence to ethical norms of « polite behaviour » is widely used in French spoken language. Litotes has close links with other stylistic figures : hyperbole, euphemism, irony. Nowadays litotes is widely used in the sphere of political life concerning the requirements of political correctness.

### Keywords:

litotes, hyperbole, euphemism, functional characteristics.

## კონცეპტების აღწერა ენაში ლინგვისტიკური ანალიზის საშუალებით

მანანა ასლანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 593 322 820

E-mail: manana.58@mail.ru

### რეზიუმე

სტატია იხილავს ახალი სფეროს კონცეპტოლოგიის ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად ისახავს ლინგვისტიკური ანალიზის საშუალებებით ასახული კონცეპტების აღწერას ენაში. ინდივიდის სამეტყველო აქტივობის შედეგად ყალიბდება ენა, როგორც ფუნქციონალური ორიენტირების საფუძველი, ხოლო ლინგვისტის მეტაენობრივი საქმიანობისას ლოგიკურ-ანალიტიკური ანალიზის შედეგად იქმნება ენა, როგორც აღწერითი მოდელი, ანუ ნორმატიული პრესკრიფციული ნიშნების სისტემა.

### საკვანძო სიტყვები:

ენა, კონცეპტოლოგია, ლოგიკურ-ანალიტიკური ანალიზი, საკვანძო კონცეპტები, ეთნოკულტურული სამყარო, ტრანსკოდირება, სამყაროს სურათი.

### შესავალი

ჩვენი კვლევის ცენტრში მოქცეულია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი, რომელსაც „ინფორმაციის საუკუნეს“ უწოდებენ. ამასთანავე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის მექანიზმების შესწავლას.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპს, რომელსაც „ინფორმაციის საუკუნეს“, ხოლო თვით საზოგადოებას

„ინფორმაციულ საზოგადოებას“ უწოდებენ, თან ახლავს სამეცნიერო-კულტურული რევოლუციით გამოწვეული მრავალი პრობლემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის რაოდენობის მზარდი სიჭარბე და ადამიანის შესაძლებლობების შეზღუდვა. ამან გამოიწვია ინფორმაციული ნაკადების რეგულირების აუცილებლობა, რის შედეგადაც წარმოიშვა ისეთი მეცნიერული დისციპლინები, როგორებიცაა ინფორმატიკა, ინფორმოლოგია, კომუნიკაციის თეორია და ა.შ.

### ძირითადი ნაწილი

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინფორმატიკის კვლევის ძირითად მიმართულებას პირველადი ტექსტების გადამუშავების შედეგად ისეთი მეორადი ტექსტების მიღება წარმოადგენს, რომლებიც ტექსტების უკიდევანო სივრცეში თავისებურ კომპასებად გვევლინებიან და საინფორმაციო-საძიებო სისტემის (რომელზეც დაფუძნებულია თვით ინტერნეტიც) ბაზას ქმნიან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის მექანიზმების შესწავლას. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ კულტურა პირველ რიგში დაკავშირებულია სელექციის პრობლემასთან და, რიგი ავტორების აზრით (ი.ლოტმანი, ა. აგრანატი და სხვა), წარმოადგენს მასში არსებული ვერბალური და არავერბალური ტექსტების ერთობლიობას, უადრესად აქტუალურია ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის, ანუ საზოგადოების ინფორმაციული მომსახურების უზრუნველყოფის ამოცანა. უკანასკნელ ხანებში შეინიშნება კონცეპტუალიზაციის პრობლემებისადმი მკვეთრად გამოსატყული ინტერესი (იხ. ფოქსის, კარასიკის, ციმერმანის, სტერნინის,

დემიანკოვის და სხვათა შრომები), რაც აისახა სხვადასხვა ემპირიულ მასალაზე დაფუძნებულ კვლევებში. ვ. კარასინისა და სტერნინის აზრით, ჩვენ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ მეცნიერების ახალი სფეროს – კონცეპტოლოგიის ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად ისახავს ლინგვისტიკური ანალიზის საშუალებებით კონცეპტების აღწერას ენაში. [Карасик, Стернин. 2007: 5-6].

ავტორები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად პრობლემასთან დაკავშირებულ აზრთა არაერთგვაროვნებისა და კვლევის განსხვავებული მეთოდებისა, აღნიშნული მიმართულებების წარმომადგენლები ერთხმად აღიარებენ, რომ ენობრივ მონაცემებზე დაფუძნებული კონცეპტების შინაარსობრივი ანალიზი საკმაოდ მდიდარსა და სარწმუნო მასალას იძლევა კონცეპტების აღწერისათვის (ibid.).

ამასთანავე მკვლევართა ერთი ჯგუფი სავალდებულოდ მიიჩნევს, ლინგვისტიკური ანალიზის შედეგად ვერიფიკაციის მიზნით მიღებული მონაცემების კვლევაში კონკრეტული ენის მატარებლების ჩართვას. [Попова, Стернин. 2001: 6; Фесенко. 1999: 191].

აზროვნების პროცესში რეალური სინამდვილე ადამიანის ცნობიერებაში აირეკლება როგორც დაგროვილი ცოდნა ამ სინამდვილის შესახებ, რომლის რეპრეზენტაციაც ხდება ენის მატერიალურ ფორმებში. ენა უზრუნველყოფს ადამიანის აზროვნების ისეთი ფორმებით ოპერირებას, რომელთა ექსპლუატაცია ხდება ვერბალური ფორმების სემანტიკაში. ამგვარად, აზროვნება არა მხოლოდ არსებობს მისი რეპრეზენტაციის ფორმებში, არამედ მისი რეალიზება ხდება კონკრეტულ ვერბალურ ფორმებში. გონებრივი და ენობრივი სტრუქტურების შეფარდებისა და მათი როლის შესწავლამ სინამდვილის შემეცნებაში საშუალება მისცა ტ. ა. ფესენკოს სხვა მკვლევარების მსგავსად (ნ. ი. ჟინკინი, ი. ს. სტეპანოვი და სხვა) მოეხდინა „აზრის შუალედური ენის“ პოსტულირება, რომელიც, როგორც „მენტა-

ლური კონსტრუქციების ენა“, გვევლინება „შუალედური კოდის“ სახით უნივერსალურ საგნობრივ კოდსა და რეალურ მეტყველებას შორის და ახორციელებს ვერბალურ ნიშნებში აზრობრივი კოდის შინაარსის „ტრანსკოდირებას“. [Попова, Стернин. 2001: 30].

მის ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტად ტ. ა. ფესენკო თვლის კონცეპტს, რომელიც არსებობს ადამიანის მენტალურ რეალობაში როგორც ცოდნისა და ინფორმაციის ერთობა რეალურ სამყაროში არსებულ აქტუალურ ან საქმეთა სავარაუდო ვითარების, ემოციების, განცდების, ასოციაციების და ა.შ. კონტექსტში. მისი, როგორც მენტალური წარმონაქმნის აღქმა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყაროს რეკონსტრუირება და გამოვავლინოთ მისი ეთნომენტალური მახასიათებლები. [Залевская. 1999: 12].

ი. ს. სტეპანოვის მსგავსად, ვახორციელებთ კონცეპტის, როგორც ადამიანის ეთნოკულტურული სამყაროს ფრაგმენტის ინტერპრეტაციას მის მენტალურ სამყაროში. ინტერპრეტაციულ რეჟიმში ვერბალური მნიშვნელობების სისტემა შეეფარდება ენის მატარებლის სოციო- და ეთნოკულტურულ კომპეტენციას, რომლის კონცეპტუალური შიგთავსი წარმოადგენს ერის მენტალიტეტის ერთ-ერთ განმსახდველ თვისებას. სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში არის, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული სამყაროს ან „სამყაროს სურათის“ შესახებ ინფორმაციის კონსტრუირება. უდავოა, რომ საბაზო კონცეპტების შინაარსი ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე ერთგვაროვანი ენობრივი არსების შინაარსი, ვინაიდან მათი გაცნობიერება მოიცავს მთელ იდეოგრაფიულ სფეროს. იდეოგრაფიულად ორგანიზებული ენობრივი გამონათქვამების კონცეპტუალურ სისტემასთან უდაო კავშირის არსებობა გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ

ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია რეპრეზენტაციის კონცეპტუალური მოდელის სახით, რომელიც მოიცავს სამყაროს შესახებ ცოდნასა და იმ ღირებულებებს, რომელიც დაგროვილია მოცემული სოციუმის მიერ. [Степанов. 2001].

### დასკვნა

ლინგვისტიკური ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების ვერიფიკაციისთვის აუცილებელია მივმართოთ ენის მატარებელს. ნებისმიერ კულტურაში არსებულ სამყაროს ენობრივი ხატის აღწერა კონცეპტების კვლევასთანაა დაკავშირებული და ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებული თანამედროვე ენათმეცნიერებაში. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კონცეპტების ტიპოლოგიური ინტერპრეტაციისა და მათი კლასიფიკაციის სხვადასხვა მცდელობა.

### ლიტერატურა

1. Карасик В.И., Стернин И.А. (2007): Антология концептов. Под ред. В.И. Карасика, И.А. Стернина. Гнозис. с. 5-6. М.
2. Попова З.Д., Стернин И.А. (2001): Очерки по когнитивной лингвистике. с. 6-32. Воронеж
3. Залевская А. А. (1999): Специфика психолингвистического подхода к анализу языковых явлений. Психолингвистические проблемы функционирования слова в лексиконе человека / под ред. А.А. Залевской. Твер. гос. ун-т. с. 191. Тверь
4. Фесенко Т. А. (1999): Концептуальные основы перевода. с. 12, 56-59. М.
5. Степанов Ю.С. (2001): Константы: Словарь русской культуры: Изд. 2-е, испр. доп. Академический Проект. с. 110-111. М.

## Описание понятий в языке посредством лингвистического анализа

*Асланишвили Манана Анзоровна*  
*Грузинский технический университет*  
*Департамент социальных наук*  
*Ул.Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 593 322 820*  
*E-mail: manana.58@mail.ru*

### Резюме

Статья рассматривает формирование новой сферы концептологии, целью которой является описание понятий в языке посредством лингвистических возможностей. С помощью речевой активности индивида формируется язык, как основа функционального ориентирования, а при метаязыковой деятельности лингвиста, на основе логико-аналитического анализа формируется язык, как описательная модель или нормативно-прескрипционная система оценок.

### Ключевые слова:

язык, концептология, логико-аналитический анализ, ключевые понятия, мир этнокультуры, транскодирование, картина мира.

## Description of Concepts in Language by Linguistic Analysis

*Manana Aslanishvili*  
*Georgian Technical University*  
*Department of Social Sciences*  
*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*  
*Tel. : 593 322 820*  
*E-mail: manana.58@mail.ru*

## **Abstract**

The paper views the forming of a new sphere of conceptology, the aim of which is to describe the concepts in language by linguistic abilities. The language -1, as a basis of functional orientation, is formed with the help of speech activity of the individual. While language -2 i.e. a descriptive model or a normatively-prescriptive system of evaluation,

is formed when a linguist performs metalanguage activity, on basis of the logical analytical analysis.

## **Keywords:**

language, conceptology, logical analytical analysis, key concepts, world of ethnic culture, transcoding, picture of world.

## ევფემიზმების გავლენა მკითხველსა და მსმენელზე

მაკა ბალაძე  
ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ევროპეისტიკის დეპარტამენტი  
ნინო შვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,  
საქართველო  
E-mail: m.baladze87@gmail.com

### რეზიუმე

თითოეული ჩვენგანი იყენებს ევფემიზმებს მეტყველებისას, ზოგ შემთხვევაში გაუცნობიერებლად და ზოგ შემთხვევაში გამიზნულად, დადებითი ემოციების გამოსაწვევად. ევფემიზმებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მსმენელზე, ისინი თითქმის ყველა სფეროში გამოიყენება და შეიძლება დადებითი ან უარყოფითი ემოციები გამოიწვიოს ან სულაც მხიარულ განწყობაზე დაგვაყენოს. სტატიის მიზანია სწორედ ის არის, რომ განვიხილოთ, თუ რა გავლენას ახდენს ევფემიზმები მკითხველსა და მსმენელზე.

### საკვანძო სიტყვები:

ევფემიზმი, ევფემიზმის გავლენა, მკითხველი, მსმენელი.

### შესავალი

ევფემიზაციის პროცესში სხვადასხვა გრძნობები და ემოციები არიან ჩართულნი. ევფემიზმები გამოიყენება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მისი დანიშნულებაა შეარბილოს მოსაუბრის ზემოქმედება მსმენელზე. ევფემიზმების საშუალებით ჩვენ ვაკავშირებთ დადებით ემოციებს, რათა გაგხადოთ ჩვენი ცხოვრება ადვილი და მისაღები. ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო ქალისა და მამაკაცის ცხოვრებაში არის ემოციების სფერო. ადამიანის ემოციური სამყარო არის ერთ-ერთი

ძირითადი მსოფლმხედველობა ენის მიღმა. ამა თუ იმ სიტუაციის აღქმა ემოციურად მრავალფეროვანია. ემოციები ფარავს ადამიანის შემოქმედების ყველა სფეროს. ისინი ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანის ფაქტორზე ენაში.

### ძირითადი ნაწილი

სხვადასხვა მკვლევარი თუ ლექსიკონი ევფემიზმებს განმარტავს სხვადასხვაგვარად, თუმცა ძირითადი არსი ყველასთვის ერთია. ევფემიზმი არის არასასიამოვნო სიტყვების ჩანაცვლება უფრო მისაღები და უვნებელი ფორმებით, (online Merriam-Webster Dictionary).

ევფემისტური სიტყვა (ან გამოთქმა), ვიდრე ასეთად იქცეოდეს, სრულიად დამოუკიდებელი და განსხვავებული მნიშვნელობის მქონეა. ევფემიზმად გამოყენების შემთხვევაში კი ახალი შინაარსი ენიჭება, ე. ი. ხდება მნიშვნელობის გადატანა. ამ თვალსაზრისით ევფემიზმი სრულიად ჩვეულებრივი ტროპია, როგორც, მაგალითად, მეტაფორა, მეტონომია, ჰიპერბოლა და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი სიტყვის (ან გამოთქმის) ნაცვლად ვხმარობთ მეორეს და ისიც ახალი მნიშვნელობით, გაგებინება მაინც ხდება. ამას უზრუნველყოფს თავდაპირველად კონტექსტი და მხატვრული სახე, თუ იგი თან ახლავს ამგვარ მნიშვნელობის გადატანას. მაგრამ გაგებინება ხდება არა უშუალოდ, არამედ შუალობით, შემოვლითი გზით. მსმენელს თითქოს გამოცანა ეძლევა ამოსახსნელად: უნდა მიხვდეს, სახელდობრ, რაზეა ლაპარაკი, რისი თქმა სურთ. ესაა ევფემიზმის მთელი საიდუმლოება. უკვე მხოლოდ ეს გარემოება ანელებს შთაბეჭდილებას, რადგან წინასწარ ამზადებს მსმენელს უსიამოვნო და უხერხულ სინამდვილესთან შესახვედრად. მაგალითად,

ქართულ ენაში არსებობს გამოთქმა: „აღარ არის“ (მაგალითად, „თონეში ცეცხლი აღარ არის“) და ყველამ იცის მისი მნიშვნელობა, მაგრამ, როდესაც იგი პირველად გამოიყენეს „მოკვდას“ ევფემიზმად, მან, მართალია, ახალი მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ კონტექსტის შემწეობით ეს გამოთქმა მაინც გასაგები იყო, თუმცა არა ერთგვარი დაბრკოლების გარეშე, მაგ.: „ივანისელი ორი წელია, რაც აღარ არის ცოცხალთა შორის“. ამ წინადადებას მსმენელი უთუოდ მართებულად გაიგებდა, მაგრამ ნათქვამი შედარებით ნაკლებად მძაფრ რეაქციას გამოიწვევდა, ვიდრე პირდაპირ თქმა: „ივანისელი ორი წელია, რაც მოკვდა“. გარდა იმისა, რომ პირველ წინადადებაში აზრი გამოთქმულია არაპირდაპირ, აქ ისეთი სიტყვებია ნახმარი (... „აღარ არის ცოცხალთა შორის“), რომლებსაც სულ სხვა ემოციური იერი აქვთ, ვიდრე უშუალოდ გამოთქმას: „მოკვდა“. [კ. ჯორჯანელი, 12:1977].

ამიტომ ევფემიზმები დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც მსმენელზე, ისე მკითხველზე. მიუხედავად იმისა, რომ ევფემიზმი და ის სიტყვა, რომელსაც იგი ენაცვლება, ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებენ, ევფემიზმებს შეუძლია სხვადასხვა ემოციური ეფექტი მოახდინოს მკითხველსა და მსმენელზე, ზოგიერთ შემთხვევაში მხიარულ განწყობაზეც კი შეიძლება დააყენონ ადამიანი. ასეთი იუმორისტული ევფემიზმები გვაქვს ინგლისურში სააბაზანოსთან დაკავშირებით:

He has to see a man about a dog.

He is in the bog.

The smallest room of the house.

ქართულშიც გვაქვს ამ სიტყვის ევფემიზმი, რომელიც მხიარულ განწყობაზე გვაყენებს: **სადაც მეფენი თავისი ფეხით მიდიან.**

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების მიმართ „სულელი“ და „გიჟი“ სიბრალულით უნდა ვიყოთ გამსჭვალული, იმ რეალობას, რომელიც არსებობს, ვერსად გავექცევით და მათ მიმართ გამოყენებული ზოგიერთი ევფემიზმი ირონიის მატარებელია. ასეთებია: „თავში ჭი-

ანჭველები ჰყავს“; „ჭკუის კოლოფი“; „ზედა სართულში აკლია“.

**„ამ ვიკიპედიის გამკეთებელს ნამდვილად ჭიანჭველები ჰყავს თავში“.** (<http://forum.ge/?f=29&showtopic=34282731&st=150>).

სიტყვათა ემოციური იერის როლი კარგად ჩანს შემდეგ მაგალითზე: თუ სიტყვების – „საპრობილე“, „საპატიმრო“, „სატუსალო“ – გაგონების დროს გვახსენდება ნაცრისფერი კედლები, რკინის მოაჯირიანი ვიწრო სარკმელები, პატიმართა ჭლექიანი სახეები და ა. შ. ამ სიტყვების ევფემიზმი – „ვირის აბანო“ მხიარულ განწყობილებაზე გვაყენებს. ამაში ბრალი სწორედ ამ ევფემისტური გამოთქმის ემოციურ იერს მიუძღვის. ეს გამოთქმა შედარებით ახალია და არცთუ ისე ხშირად გვხვდება, თანაც მასში ხატოვანი თქმა დღემდე ცოცხალია – ყველა ეს მონაცემი შესაძლებლობას აძლევს ამ ევფემიზმს თავისი დანიშნულება დღესაც საუკეთესოდ შეასრულოს. [კ. ჯორჯანელი. 1977: 12].

კიდევ ერთი ევფემიზმი „ცხაურებს მიღმა“ ნიშნავს ციხეში ყოფნას. ეს ევფემიზმი შეიძლება მხიარულ განწყობაზე არ გვაყენებს, მაგრამ არც ისეთ უარყოფით განცდებს იწვევს, როგორც სიტყვა „ციხე“.

როგორც ჯ. ბაუერსი და ქ. ფლეიდელპირსი თავიანთ სტატიაში ამტკიცებენ, სიტყვის ფონოლოგიურმა ფორმამ შეიძლება გამოავლინოს უარყოფითი ემოციები, სიტყვის ფორმულირების მიხედვით. მაგალითად, ტაბუირებული სიტყვების გაჟღერებამ შეიძლება გამოიწვიოს ემოციური პასუხი, სემანტიკური შინაარსისგან დამოუკიდებლად.

ნათელია, რომ ჩვენ მოტივირებულნი ვართ ჩვენი ემოციებით და ჩვენვე ვახდენთ საკუთარი ქცევების, ფიქრების და მიზნების ორგანიზებას იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ემოციური დისკომფორტი. შესაბამისად, ძნელია ვისაუბროთ რაიმე საკითხზე ემოციურად განპირობებული სიტყვების გარეშე, მაშინაც კი, როცა შეტყობინების ფუძე არ არის უარყოფითი. [ჯ. ბაუერსი და ქ. ფლეიდელპირსი. 3:2011].

გარდა ამისა ეს ანალიზი გვთავაზობს სიტყვათა ფორმირების სხვა დამატებით მაგალითს, რომელიც გავლენას ახდენს აზროვნებაზე. ჩვენ ვამბობთ, რომ ევფემიზმები არის სასარგებლო, რადგან ის საშუალებას აძლევს მოსაუბრეს შეცვალოს შეურაცხმყოფელი ფორმა სხვა სიტყვათა ფორმით, რომელიც მსგავს აზრს გამოხატავს და არ არის დაკავშირებული პირობით პასუხთან, ეს თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მოსაუბრეს დაფიქრდეს იმ საკითხზე, რომელსაც შეიძლება თავი აარიდოს.



ის მოსაზრება, რომ ტაბუირებული სიტყვები და ევფემიზმები რელევანტურია ლინგვისტიკური თანაფარდობის მოთხოვნებთან, არ არის შესწავლილი დეტალურად. პინკერი ევფემიზმებს შლის, როგორც ტყუილის ფორმას, ის იძლევა შემდეგ მაგალითს, „revenue enhancement” – ამ სიტყვას აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე „taxes” და ამტკიცებს, რომ თუ პოლიტიკოსი გულისხმობს „taxes”, მან უნდა გამოიყენოს სიტყვა „taxes”. როგორც პინკერი აღნიშნავს “Once a euphemism is pointed out, people are not so brainwashed that they have trouble understanding the deception”. [ჯ. ბაუერსი, ქ. ფლეიდელ–პირსი. 2011:3].

როგორც ჯ. ბაუერსი და ქ. ფლეიდელ–პირსი აღნიშნავენ, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით, არსებობს მიზეზები ვიფიქროთ იმაზე, რომ პინკერმა ძალიან იჩქარა, როცა უარყო ევფემიზმების თანაფარდობა ენასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ევფემიზმები გამიზნულია, რათა შეცდომაში შეიყვანოს ან მოატყუოს მსმენელი. თუმცა არის ასეთი ზოგიერთი ევფემიზმი, მაგრამ უმრავლესობა არ მიეკუთვნება ამ კატეგორიას. სიტყვები death, urine ხშირად ჩანაცვლებულია სიტყვებით: passed away, number 1, ყოველგვარი მცდელობის გარეშე, რომ შეცდომაში შეიყვანოს ან გამოიწვიოს ორაზროვნება მსმენელის თუ მოსაუბრის გონებაში. მათი აზრით, ევფემიზმების როლის სრულყოფილი გაგება ენაში მოითხოვს ვერბალური პირობითობის როლის განხილვას.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ევფემიზმები ვერ-

ბალური პირობითობის საპასუხოდ და როგორ შეესაბამება ლინგვისტიკური თანაფარდობის მოთხოვნებს, განვიხილოთ სქემაში №1 ა,ბ, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი. პირობითი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ევფემიზმები არის შეუსაბამო ლინგვისტიკური თანაფარდობის მოთხოვნებთან, განხილულია გამოსახულებაში 1ა. აქ, ძირითადი ვარაუდი არის ის, რომ სიტყვათა ფორმები გავლენას ახდენს ჩვენს ემოციებზე სემანტიკის მეშვეობით (განზრახვებით). ჩვენი ემოციური პასუხი ლინგვისტიკურ ფორმასთან არის მხოლოდ არალინგვისტიკური სემანტიკური შეტყობინების ფუნქცია, სიტყვებით და ენის სტრუქტურული თვისებებით – როგორც სიტყვის ლექსიკურ-ფონოლოგიური ფორმა, რომელიც პასუხის შეუსაბამოა. აქედან გამომდინარე, შეურაცხმყოფელ სიტყვებს და ევფემიზმებს აქვთ განსხვავებული ემოციური გავლენა უბრალოდ იმიტომ, რომ ისინი გულისხმობენ სხვადასხვა რაიმეს (ეს განსხვავება საშუალებას აძლევს ევფემიზმებს ზოგ შემთხვევაში განამტკიცოს ტყუილი, როგორც აღნიშნავდა პინკერი. [ჯ. ბაუერსი და ქ. ფლეიდელ–პირსი. 2011: 3].

[ჯ. ბაუერსი და ქ. ფლეიდელ–პირსი, 2011: 4].





სქემაში 1 ა-ბ, მოცემულია ორი ჰიპოთეტური გზა, რომელშიც შეურაცხყოფელი სიტყვები და ეფემიზმები დაკავშირებულია ემოციებთან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვათა ფორმები ზეგავლენას ახდენს ჩვენს ემოციებზე სემანტიკის მეშვეობით, როგორც ეს ნაჩვენებია სქემაში ა. ამ თვალსაზრისით, ეფემიზმები და შეურაცხყოფელი სიტყვები აღნიშნავენ სხვადასხვა რაიმეს, რადგანაც ისინი აჩვენებენ დიდ გამიჯვნას სემანტიკურ სფეროში და შედეგად იწვევენ სხვადასხვა რეაქციებს. შედარებისთვის, ლინგვისტიკური თანაფარდობა განმტკიცებული იქნება, თუ ენის სტრუქტურულ თვისებებს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ჩვენს განზრახვებზე, ვერბალური პირობითობის მეშვეობით, როგორც სქემა 1-ბ. ამ აზრის გათვალისწინებით, პირდაპირი კავშირი მყარდება სიტყვათა ფორმებსა და უარყოფით ეფექტს შორის. ამ თვალსაზრისით, ეფემიზმები სასარგებლოა მაშინაც კი, როცა მათი მნიშვნელობა ძალიან ახლოსაა შეურაცხყოფელ სიტყვასთან – რადგანაც ისინი აჩვენებენ მცირე გამიჯვნას სემანტიკურ სივრცეში – ამიტომ ისინი ცვლიან შეურაცხყოფელი სიტყვის ზედაპირულ ფორმას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის პირდაპირ აღვიძებს უარყოფით განცდებს. [ჯ. ბაუერსი და ქ. ფლეიდელ–პირსი. 2011: 4]. ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს და დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ემოციებზე სემანტიკის მეშვეობით.

ეფემიზმების ერთ-ერთი ფუნქცია თავაზიანობაა. ეფემიზმების თავაზიანობაში იგულისხმება თავი აარიდოს არასასიამოვნო და უღამაზო ფორმებს და ჩაანაცვლოს ისინი ხალხისთვის უფრო მისაღები ფორმით, რათა არ შეურაცხყოს მათი გრძნობები. ქვემოთ მოცემული ეფემიზმი გამოყენებულია სიტყვა „უღირსის“ ნაცვლად, რაც მართლაც თავაზიანობის მიზნითაა გამოყენებული, თანაც გასათვალისწინებელია, რომ საუბარია პროკურორზე. მაგალითი მოყვანილია პრესიდან.

„ერთადერთი სანქცია, რომელიც მას კარიერის მანძილზე აქვს დაკისრებული, 1973 წელს მოსკოვში პირადობის მოწმობის დაკარგვას ეხება და ეს ნებისმიერი პროკურორისთვის უდიერ საქციელად ითვლება დღესაც“. („კვირის პალიტრა“, 2013)

რეალურ ცხოვრებაში, როცა ხალხი ხვდება არასასიამოვნო მოვლენებს ან ქცევის ნორმებს, ისინი ცდილობენ გამოიყენონ ბუნდოვანი სიტყვები, რათა არ დააზიანონ მსმენელის გრძნობები. ინგლისელები გარეგნობასთან მიმართებით არ იყენებენ სიტყვებს „ugly“ ან „awful“, რომელთაც ძლიერი დამამცირებელი დატვირთვა აქვთ. მათ ნაცვლად იყენებენ „plain-looking“ ან „not pretty“. ქართულშიც გვაქვს ამ სიტყვის შესაბამისი ეფემიზმები „უღამაზო“ ან „შეუხედავი“. მოხუცებთან მიმართებაში გამოყენებული ეფემიზმებიც თავაზიანობას გამოხატავენ, ისინი გარკვეულწილად უმწეონი არიან და ამიტომ მათ მიმართ ეფემიზმები გამოიყენება, რათა არ დავაზიანოთ მათი გრძნობები: „Senior citizens“ ან „Seasoned men“, ნაცვლად „Old men“. ქართულში „ხანში შესული“, „ხანდაზმული“, „ასაკოვანი“.

## დასკვნა

როგორც ვხედავთ, ეფემიზმები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანთა შორის ურთიერთობებში. ეფემიზაციის პროცესში სხვადასხვა გრძნობები და ემოციები ჩართული და იგი გამოიყენება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მისი დანიშნულებაა შეარბილოს მოსაუბრის ზემოქმედება მსმენელზე. ეფემიზმების საშუალებით ჩვენ ვაკავშირებთ დადებით ემოციებს, რათა გავხადოთ ჩვენი ცხოვრება ადვილი და არ შეურაცხყოთ ვინმეს გრძნობები. ეფემიზმები შეუძლიათ სხვადასხვა ემოციურ ელფერს აძლევენ შესძინონ გამონათქვამს და შესაბამისად, სხვადასხვა გრძნობები იწვევს მსმენელსა

და მკითხველში. ამიტომ მათი გამოყენება აუცილებელიც კია მეტყველებისას, რათა არ გავხდეთ კომუნიკაციური კონფლიქტის მონაწილენი.

## ლიტერატურა

1. Jeffrey S. Bowers, Christopher W. Pleydell-Pearce (2011): Swearing, Euphemisms, and Linguistic Relativity
2. Online Merriam-Webster Dictionary (2000)
3. Rawson H. A. (1981): Dictionary of Euphemism and Other Double-talk. New York: Crown
4. Джорджанели К. (2005): Эвфемизмы и словесные табу. Тбилиси, „Кавказский дом“
5. <http://forum.ge/?f=29&showtopic=34282731&st=150>
6. გაზეთი „კვირის პალიტრა“ (2013): №6

## An Impact of Euphemisms on Readers and Listeners

*Maka Baladze*  
*Batumi's Shota Rustaveli State University*  
*European Department*  
*35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia*  
E-mail: m.baladze87@gmail.com

### Abstract

Each of us consciously or unconsciously uses euphemisms in speech, sometimes they are used envisaged to provoke positive emotions. Euphemisms can have great impact on a listener, they are used in almost every sphere and can provoke both positive and negative emotions or put us in good mood. The aim of the paper is to discuss the impact of euphemisms on readers and listeners.

### Keywords:

euphemisms, the impact of euphemisms on readers and listeners.

## Влияние эвфемизмов на читателя и слушателя

*Баладзе Мака Нодаровна*  
*Батумский государственный университет*  
*им. Шота Руставели*  
*Департамент евронеистики*  
*Ул. Ниношвили №35, 6010, Батуми, Грузия*  
E-mail: m.baladze87@gmail.com

### Резюме

Каждый из нас при разговоре употребляет эвфемизмы, в некоторых случаях несознательно, преднамеренно, а в других случаях, для выражения положительных эмоций. Эвфемизмы могут производить большое влияние на слушателя, они употребляются во всех сферах жизни, могут вызывать положительные или отрицательные эмоции или же поставить нас на веселый лад. Целью статьи является показать, какое влияние оказывают эвфемизмы на читателя и слушателя.

### Ключевые слова:

Эвфемизмы, влияние эвфемизмов, читатель, слушатель.

# Metaphorical Terminology in Computer and the Internet

*Rusudan Gotsiridze*

*Georgian Technical University*

*Department of Liberal Sciences*

*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 893 301 342*

E-mail: rusudgo@yahoo.com

## Abstract

Metaphor is not only a linguistic instrument, but also a cognitive one, which we must use to reveal how we conceptualize things. In fact, there are various ways of realizing metaphorical concepts, among which the linguistic metaphor is one of the most popular ways to express how we experience the world. Metaphors, both visual and linguistic ones, are playing a vital role in our understanding computers and the Internet.

## Keywords:

linguistic metaphor, cyberspace, global village, conceptual metaphor.

## Introduction

Computers have come into existence in the last half century and have quickly become an important new industry and an everyday tool, affecting the lives of most people. During this time our languages have had to adapt to this new realm of experience. Rather than creating novel new words for every aspect of these discoveries various existing domains have been mapped onto computers and cyberspace. The adaptation of existing language to the cyberspace domain reveals a great deal about the function of computers in our lives and our attitudes towards them. This mapping also reveals how language adapts to new experience.

## Main Body

Internet metaphors provide users and researchers of the Internet a structure for understanding and communicating its various functions, uses, and experiences. An advantage of employing metaphors is that they permit individuals to visualize an abstract concept or phenomenon with which they have limited experience by comparing it with a concrete, well-understood concept such as physical movement through space. Metaphors to describe the Internet have been utilized since its creation and developed out of the need for the Internet to be understood by everyone when the goals and parameters of the Internet were still unclear. Metaphors helped to overcome the problems of the invisibility and intangibility of the Internet's infrastructure and to fill linguistic gaps where no literal expressions existed.

Highways, webs, clouds, matrices, frontiers, railroads, tidal waves, libraries, shopping malls, and village squares are all examples of metaphors that have been used in discussions of the Internet (S. Wyatt, 2008). Overtime these metaphors have become embedded in cultural communications, subconsciously shaping the cognitive frameworks and perceptions of users who guide the Internet's future development (Dodge, M. 2008).

Internet metaphors frequently arise from social exchanges and processes that occur online and incorporate common terms that describe offline social activities and realities. These metaphors often point to the fundamental elements that make up social interactions even though online interactions differ in significant ways from face-to-face communication. Therefore, social metaphors tend to communicate more about the values of society rather than the technology of the Internet itself.

The Internet developed so quickly that a terminological need was urgently felt, and quite naturally, people used a metaphorical denomination to refer to the Internet. The language of the Internet needs to be understood by everyone, even if the technical re-

alities of the New Information and Communication Technologies are quite complex and technical. And it may be for this very reason that metaphors – instead of another word-formation process – have been chosen, as they have permitted speakers to immediately visualize the concept. Metaphors have been chosen for the sake of clarity and popularization (Baym, N. K. 2010).

Metaphors such as the electronic neighborhood and virtual community point to ways in which individuals connect to others and build relationships by joining a social network. Global village is another metaphor that evokes the imagery of closeness and interconnectedness that might be found in a small village, but is applied to the world-wide community of Internet users.

The electronic frontier metaphor conceptualizes the Internet as a vast unexplored territory, a source of new resources, and a place to forge new social and business connections. Similar to the American ideology of the Western Frontier, the electronic frontier invokes the image of a better future to come through new opportunities afforded by the Internet (Tomaszewski, Zach, 2002). The Electronic Frontier Foundation is a non-profit digital rights group that adopted the use of this metaphor to denote their dedication to the protection of personal freedom and fair use within the digital landscape. Social metaphors and their pervasive influence indicate the increasing importance placed on social interaction on the Internet.

There are different kinds of conceptual metaphors for the computer and the Internet. As Lakoff & Johnson (G. Lakoff and M. Johnson, 1980) argued, each of these metaphors highlights certain aspects of things, downplays others, and hides still others. i.e. each metaphor focuses on certain aspects of the computer or the Internet, while putting other aspects aside. The features that Lakoff & Johnson mentioned as being “downplayed” are those that are added to the metaphor, but are not highlighted, while the “hidden” aspects are those that are not consistent with the metaphor. The elements, which are hidden

by one metaphor, can be highlighted by another. Lakoff & Johnson claim that, the use of many metaphors that are inconsistent with one another seems necessary for us if we are to comprehend the details of our daily existence.

Computer and Internet terms not only attach new meanings to existing words, but also provide us with a lot of new words which are widely accepted. Moreover, these new words are coming back to our daily life by means of metaphors again, the way our human beings cognize the world. They are having great impact on our daily language use, written or spoken. Some people are even prone to say “computer jargons” in their daily life. If people now say that something was not saved on their “hard drive,” they might not literally mean in their computer, but rather in their own memories.

Accordingly, people will accept and better understand the terminology and make better use of computer and the Internet with the help of the metaphors. However, as time goes, computer and the Internet have become part of people’s daily life. They are so familiar to people that they prefer to use these computer and Internet metaphorical terminology to talk about some more abstract and newer things in their life. That is to say, people are mapping contrarily i.e. from computer or Internet to people or other things. The same metaphorical terminology in computer and the Internet may have different meanings in different situations of daily life. On the other hand, people always prefer novel expressions to cliché when they are using language. So some newly sprouted things like computer and the Internet and their terminology are always borrowed into the everyday life domains. In this way they can achieve some special rhetorical and social effects.

Computer and Internet metaphors help us to understand an ever-changing and growing field by using words and phrases that relate to other more common objects and concepts. We conceptualize computer and the Internet through metaphors. A computer can be comprehended via a person, factory, office and container. While the Internet can be metaphorized

as the highway, person, cyberspace, community, library, market and sea. In fact, computer and the Internet are penetrating everywhere in our study, work and life so that we cannot live without them. And it's natural for us to bring about the computer and Internet terms into our daily language use. Consequently, the new computer and Internet metaphorical terms have largely enriched people's vocabulary and brought people a lot of fun and enjoyment.

We use these metaphors in a systematic way. When we uncover systematic metaphors, we gain insight into cultural practices and experiences. Metaphors are thus not only descriptive; they may provide clues to the design intentions of those who use them, and, as such, they many help to shape the cognitive framework within which such actors operate (Dodge, M. 2008). Social actors use metaphors for more than description or simple attempts to use imaginative language. Rather members of a community employ metaphors in norming ideas and in making the imaginary become real or true (Jamet, Denis L. 2010).

### Conclusion

Considering the short few decades since the invention of computers, and even shorter span since they have become an everyday tool, the range of metaphors we employ is striking. It points both to the importance of computers and to the fact that almost any aspect of human experience can be useful in adapting our language to one new area of experience and invention. It also illustrates the degree to which our cognitive processes rely on prior experience and language. Metaphor use may well be the greatest tool we have to facilitate understanding computers and cyberspace.

### Literature

1. Baym N. K. (2010): Personal connections in the digital age. Cambridge, UK: Polity

2. Dodge M. (2008): Understanding Cyberspace Cartographies: A Critical Analysis of Internet Infrastructure Mapping. (Doctoral Dissertation). [http://personalpages.manchester.ac.uk/staff/m.dodge/thesis/chap\\_4.pdf](http://personalpages.manchester.ac.uk/staff/m.dodge/thesis/chap_4.pdf)

3. Jamet Denis L. (2010): "What Do Internet Metaphors Reveal about Perception of the Internet?" [http://www.metaphorik.de/sites/www.metaphorik.de/files/journal-pdf/18\\_2010\\_jamet.pdf](http://www.metaphorik.de/sites/www.metaphorik.de/files/journal-pdf/18_2010_jamet.pdf)

4. Lakoff G. and Johnson M. (1980): Metaphors we live by. Chicago: University of Chicago Press.

5. Tomaszewski Zach (2002): "Conceptual Metaphors of the World Wide Web". <http://www2.hawaii.edu/~ztomasze/ling440/webmetaphors.html>

6. Wyatt S. (2008): "Feminism, technology and the information society: Learning from the past, imagining the future," Information, Communication & Society volume 11, number 1, pp. 111–130. <http://dx.doi.org/10.1080/13691180701859065>

## მეტაფორული ტერმინოლოგია კომპიუტერსა და ინტერნეტში

*რუსუდან გოცირიძე*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო  
ტელ.: 593 301 342*

E-mail: rusudgo@yahoo.com

### რეზიუმე

მეტაფორა არა მარტო ლინგვისტიკური, არამედ კოგნიტური ინსტრუმენტიცაა, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, რათა ნათელი გახდეს, თუ როგორ ვახდენთ ჩვენს ირგვლივ არსებული საგნების კონცეპტუალიზაციას. მეტაფორული კონცეპტების რეალიზების სხვადასხვა გზები არსებობს, რომელთა შორის ლინგვისტიკური მეტაფორა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალებაა იმის

შესაცნობად, თუ როგორ აღვიქვამთ სამყაროს. როგორც ვიზუალური, ისე ლინგვისტიკური მეტაფორა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კომპიუტერისა და ინტერნეტის გაგების თვალსაზრისით.

### **საკვანძო სიტყვები:**

ლინგვისტიკური მეტაფორა, კიბერსივრცე, გლობალური სოფელი, კონცეპტუალური მეტაფორა.

## **Метафорическая терминология в среде компьютеров и Интернета**

*Гоциридзе Русудан Арчиловна*  
*Грузинский технический университет*  
*Департамент либеральных наук*  
*Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 593 301 342*  
E-mail: rusudgo@yahoo.com

### **Резюме**

Метафора является не только лингвистическим, но и когнитивным инструментом, который мы должны использовать, чтобы объяснить, каким образом мы совершаем концептуализацию существующих вещей. Существуют различные способы реализации метафорических концептов, среди которых языковая метафора является одним из самых популярных способов осмысления того, как мы воспринимаем мир. Как визуальные, так и лингвистические метафоры, играют важнейшую роль в понимании компьютеров и Интернета.

### **Ключевые слова:**

Лингвистическая метафора, киберпространство, глобальная деревня, концептуальная метафора.

## ინდუქციური მიდგომები სასწავლო პროცესში

ნატალია დოლიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების

მეცნიერებათა ფაკულტეტი

პედაგოგიკის ინსტიტუტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. № 1, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 599 140 037

E-mail: natodolidze@yahoo.com

### რეზიუმე

განვითარებული ტექნოლოგიის, ახალი ეკონომიკური რეალობისა და გლობალიზაციის პირობებში დიდი ყურადღება ეთმობა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დამოუკიდებლად სწავლის უნარის გამომუშავების საკითხს. მოხდა ძვრები სხვადასხვა თვალსაზრისის შეფასების კუთხით, როგორც ხშირად ამბობენ - პარადიგმის ცვლილება, რამაც თავის მხრივ, სწავლის თეორიების გადასინჯვა და შეჯერება გამოიწვია. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა სასწავლო პროცესის წარმართვის სპეციფიკაზე და ახალი მოთხოვნები წაუყენა განათლების დარგის სპეციალისტებისა და პრაქტიკოს მასწავლებლებს.

ახლებურმა შეხედულებებმა/აღნიშნულმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა აგრეთვე მასწავლებლისა და მოსწავლის როლის, სწავლების შედეგების და მათი მიღწევის გზების ახლებურ გააზრებაზე, სწავლის კონცეპტუალურ მოდელზე.

სწავლების ყველა ეტაპზე წინა პლანზე წამოიწია ისეთი უნარების შეძენის საჭიროებამ, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, მუდმივად ახალი ცოდნის შეძენის, დამოუკიდებლად სწავლის, პრობლემის გადაწყვეტის, გადაწყვეტილების მიღების უნარები. დღის წესრიგში დადგა სასწავლო პროცესში შესაბამისი სასწავლო მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება. ყოვე-

ლივე ამან კი უფრო აქტუალური გახადა და გზა გაუხსნა სასწავლო პროცესში ინდუქციური მიდგომების უფრო ფართო გამოყენებას.

როდესაც ინდუქციური მეთოდების სარგებლიანობაზე ვსაუბრობთ, არ იგულისხმება, რომ მხოლოდ ამგვარი მიდგომებია ეფექტიანი, ან რომ ეს მეთოდები სრულად ჩაენაცვლებიან/შეცვლიან, მაგალითად, მოსწავლის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალის შესწავლა/ათვისებას, მასწავლებლის მიერ ინფორმაციის გადაცემასა და ახსნა-განმარტებას, სახელმძღვანელოზე/წიგნზე მუშაობას, საშინაო დავალების შესრულებას და ა.შ., იმისათვის, რომ სასურველი სასწავლო შედეგები მივიღოთ, სწავლებისა და სწავლის კომპონენტები ურთიერთგამომრიცხავად არ უნდა აღვიქვათ, ისინი ერთობლიობაში უნდა მოვიაზროთ და ცალმხრივ მიდგომას მოვერიდოთ. თუმც ერთი რამ ცხადია – შეცვლილი მოთხოვნების პირობებში ინდუქციური სწავლების მეთოდების გამოყენების როლი იზრდება და მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს სწავლების ყველა საფეხურზე.

### საკვანძო სიტყვები:

სწავლების ინდუქციური მეთოდები, სწავლაში ჩართულობა, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება (Inquiry Learning), პროლემაზე ორიენტირებული სწავლება (Problem-Based Learning), პროექტის მეთოდი (Project Method), შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება (Case-Based Teaching), აღმოჩენით სწავლა (Discovery Learning).

### შესავალი

ოცდამეერთე საუკუნე სწრაფი ცვლილებების ხანაა და ამ მხრივ გამონაკლისს არც

განათლების სფერო წარმოადგენს. ახალი ათასწლეულის სპეციფიკურმა მოთხოვნებმა კიდევ ერთხელ დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები თუ მოზრდილები უკეთ, როგორ გავლენას ახდენს სწავლების სხვადასხვა მეთოდები და მიდგომები სწავლის შედეგებზე, რა უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ დღევანდელმა ბავშვებმა თუ ახალგაზრდებმა, რათა წარმატებულ მოქალაქეებად და სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ და ა.შ. დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა უწყვეტი სწავლა, დისტანციური სწავლა, საყოველთაო განათლება, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა, სწავლა სამუშაოდან მოუწყვეტლად და ა.შ. სულ უფრო ხშირად გვესმის ისეთი ტერმინები თუ ცნებები, როგორიცაა – აქტიური ჩართულობა სწავლაში, სოციალური ჩართულობა/მონაწილეობა, თვითრეგულაცია, მოსწავლეების მოტივირება, გამოცდილებით სწავლა, რეფლექსია, მეტაკოგნიცია და ა.შ.

როგორც პროფესორი შერონ ფრიზენი აღნიშნავს, დადგა დრო, „როდესაც ის, თუ რა ვიცით, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ ცოდნას სხვადასხვა კონტექსტში.“ [1]

როგორც განათლების დარგის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, აღმოცენდა სწავლის თეორიის ახალი კატეგორია, რომელსაც პირობითად “კოგნიტურ ჰუმანიზმს” უწოდებენ და რომელიც, ასე ვთქვათ, ადაპტირებულია კოგნიტური, სოციალური და ჰუმანიტური მოძღვრებებიდან და მათ სინთეზს წარმოადგენს. ახალ მიდგომებს ის კვლევები ასაზრდოებს, რომლებიც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ტარდებოდა კოგნიტურ ფსიქოლოგიაში. [2]. აღნიშნული მიდგომა აერთიანებს კონსტრუქტივიზმის, სოციალური სწავლის, ტრანსფორმაციული სწავლის და ჰუმანიტური თეორიების პრინციპებს და თანამშრომლობითი სწავლის მიდგომებსა და სტრატეგიებს.

## ძირითადი ნაწილი

### ინდუქციური სწავლების ზოგადი მიმოხილვა

ინდუქციური სწავლება წარმოადგენს ზოგად ტერმინს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სწავლების სხვადასხვა მეთოდს, რომელთა შორისაა: კვლევაზე დაფუძნებული სწავლება (Inquiry learning), პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება (Problem-based learning), პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ე.წ. პროექტის მეთოდი (Project method), /შემთხვევის ანალიზზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლება (Case-based teaching) და აღმოჩენით სწავლა (Discovery Learning). ინდუქციური და დედუქციური მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების თანმიმდევრობის სქემა პირობითად შემდეგნაირად შეიძლება გამოესახოს:

დედუქციური მიდგომა: ზოგადი წესი – კონკრეტული მაგალითები – ვარჯიში.

ინდუქციური მიდგომა: კონკრეტული მაგალითები – ვარჯიში – ზოგადი წესი.

მრავალი მკვლევარისა და პრაქტიკოსი მასწავლებლის აზრით, ინდუქციური სწავლების მეთოდები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სიღრმისეულად ჩაერთონ სწავლის პროცესში, გააანალიზონ როგორც თავად პროცესი, ასევე - შედეგები. ქმედებაზე ორიენტირებულ გაკვეთილზე თუ მეცადინეობაზე ისინი მეტად მოტივირებულები და აქტიურები არიან და ნაკლებად ბეზრდებათ სწავლა, რადგან არ არიან ინფორმაციის პასიური მიმღებები. [3, 4, 21].

აღნიშნული მეთოდების გამოყენებისას მოსწავლეები ერთვებიან დისკუსიაში, მონაწილეობენ დასმული პრობლემის გადაწყვეტაში, მუშაობენ ჯგუფებში, რაც, თავისთავად, სწავლის პროცესს თანამშრომლობით ხასიათს ანიჭებს.

მ. პრინსის და რ. ფელდერის აზრით, ინდუქციური სწავლების მეთოდები მოსწავლეზე ორიენტირებულად მიიჩნევა, რადგან მოსწავლეებს მეტ პასუხისმგე-



ბლობას აკისრებს საკუთარ სწავლაზე. [3]. მიხედავად, რომ ინდუქციური მეთოდების გამოყენება მოსწავლეების მოტივირების ერთ-ერთ საუკეთესო გზას წარმოადგენს. [4]. მასწავლებელი აყენებს კონკრეტულ პრობლემას/საკითხს, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს, მაგალითად, შემთხვევას, რომელიც უნდა გაანალიზდეს, კომპლექსურ პრობლემას, რომელიც არსებულ რეალობას უკავშირდება, ექსპერიმენტულ მონაცემებს, რომელთა ინტერპრეტირებაც უნდა მოხდეს და ა.შ. მოსწავლეები, ცდილობენ რა პრობლემის გადაწყვეტას, აცნობიერებენ, რომ ამისათვის ესაჭიროებათ გარკვეული ფაქტები თუ ინფორმაცია, კონცეპტუალური გააზრება, განსაზღვრული უნარები. აქ ერთვება მასწავლებელი, აწვდის საჭირო ინფორმაციას და ამავდროულად ეხმარება მოსწავლეებს, რომ თავად გაიაზრონ, გამოიტანონ დასკვნები და ისწავლონ.

სწავლების პროცესში ინდუქციური მეთოდების გამოყენების მოსალოდნელი შედეგები ლაკონურად შეიძლება კონფუციუსის (551–479) სიტყვებით გამოვხატოთ: „*მე გავიგონე და დამავიწყდა, მე დავინახე და დამამახსოვრდა, მე გავაკეთე და გავიგე*“.

ედგარ დეილის „გამოცდილების კონუსის“ (Edgar Dale’s Cone of Experience) მიხედვით, ადამიანები, ზოგადად, იმახსოვრებენ წაკითხულის 10%-ს, მოსმენილის 20 %-ს, – ვიზუალურად აღქმულის 30%-ს, – მოსმენილის და ვიზუალურად აღქმულის 50%-ს, მათ მიერვე სიტყვიერად ჩამოყალიბებულის ან დაწერილის 70%-ს და თავად გაკეთებულის 90%-ს. [Brudnik et al. 2000].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტ აქტუალობას იძენს „სწავლაში ჩართულობის“ ფაქტორი, რომლის მნიშვნელობაზეც ბოლო ხანს მრავალი მკვლევარი შეთანხმდა, როგორც ოცდამეერთე საუკუნის შეცვლილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ერთ-ერთ აუცილებელ საჭიროებაზე. შემუშავებულ იქნა აგრეთვე „სწავლაში

ჩართულობის“ ინდიკატორები, რომლებსაც ამგვარი სასწავლო პროცესის წარმართვის „კომპასად“ მოიხსენიებენ. [5].

აღნიშნული ინდიკატორების ავტორების სეული განმარტება შემდეგში მდგომარეობს:

### 1. „სწავლაში ჩართულობის“ ხედვა:

ამგვარი პრაქტიკის განხორციელებისას მოსწავლეები საკუთარ სწავლაზე მეტ პასუხისმგებლობას იღებენ, სახავენ სწავლის მიზნებს და ახდენენ შედეგების შეფასებას; სწავლა სახალისო ხდება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ შესწავლას, პრობლემის გადაჭრას, შემოქმედებით მიდგომას, სტიმული ეძლევა თანამშრომლობით სწავლასა და მუდმივად სწავლის მსურველად ჩამოყალიბებას.

### 2. „სწავლაში ჩართულობის“ ამოცანები

იმისათვის, რომ მივალწით სწავლაში ჩართულობას, წარმართული სასწავლო საქმიანობა და დავალებები უნდა იყოს საინტერესო, ინტეგრირებული, რაც თავის მხრივ გულისხმობს პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებულ სწავლასა და პროექტების დამუშავებას, რომლებიც შესაბამისობაშია სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) მოთხოვნებთან.

### 3. „სწავლაში ჩართულობის“ შეფასება

აუცილებელია მოსწავლეებმა შეასრულონ აუტენტური ამოცანები/დავალებები – იმუშაონ პროექტზე, იკვლიონ და ა.შ. შეფასებისათვის კი საჭიროა დაკვირვება, კითხვების დასმა, მათი პასუხებისა და სწავლის შედეგების თუ პრაქტიკული ნამუშევრის ანალიზი. ამგვარი შეფასება მიმდინარე ხასიათს ატარებს და ითვალისწინებს კურიკულუმის მოთხოვნებს, ისევე, როგორც მოსწავლის ყველა ასპექტს. შეფასებაში მონაწილეობენ თავად მოსწავლეებიც.

### 4. „სწავლაში ჩართულობის“ სასწავლო მოდელები და სტრატეგიები

სწავლების ძირითადი მოდელი ინტერაქტიურია. მოსწავლეები თანამშრომლობენ როგორც სხვა მოსწავლეებთან, ასევე

მასწავლებელთან. ეს ხელს უწყობს ცოდნის ერთობლივ შენებას და სწავლაში ჩართულობას, რომელიც, თავის მხრივ, მიმართულია პრობლემის გადაჭრისაკენ, სასწავლო მიზნის მიღწევისაკენ და ხშირად ეფუძნება პროექტების განხორციელებას. ხდება ინდივიდუალური და ჯგუფური შეჯამება, სხვადასხვა თვალსაზრისის გაზიარება, გამოიყენება აზროვნების შტურმი, სოკრატული დიალოგი (Socratic dialogue) და ა.შ.

### **5. „სწავლაში ჩართულობის“ სასწავლო კონტექსტი**

იმისათვის, რომ მივაღწიოთ სწავლაში ჩართულობას, საკლასო ოთახი თუ ჯგუფი უნდა გარდაიქმნას შემსწავლელთა ერთობად, რომლის წევრებიც თანამშრომლობით სწავლობენ, ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს და გამოაქვთ დასკვნები. გარდა ამისა, უნდა სუფევდეს ემფატიური სასწავლო გარემო, სადაც პატივისცემით ეკიდებიან განსხვავებულ ხედვას. გამოყენებულ უნდა იქნას სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებს ჯგუფის წევრების ძლიერ მხარეებს.

### **6. ჯგუფებში მუშაობა**

თანამშრომლობითი სწავლის პროცესი ხშირად მცირე ან ორი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში ხორციელდება. ჯგუფების შექმნის დროს მოქნილი მიდგომა უნდა იყოს გამოყენებული. შეიძლება შეიქმნას ჰეტეროგენული ჯგუფები, რაც საკითხის განხილვისას განსხვავებულ ხედვას, უნარებს, ცოდნის დონეს წარმოგვიდგენს და სწავლის გაზრდილ შესაძლებლობას ქმნის.

### **7. მასწავლებლის როლი**

მასწავლებლის როლი იცვლება და მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებლის მაგივრად, მასწავლებელი იქცევა დამხმარედ, მეგზურად და შემსწავლელადაც კი. მასწავლებელი ქმნის თანამშრომლობითი სასწავლო გამოცდილებისათვის შესაფერის სასწავლო გარემოს.

### **8. მოსწავლეების როლი**

მოსწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა კვლევა. სხვებთან და ფიზიკურ სამყაროსთან ურთიერთობით მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას, აღმოაჩენს ახალ მოვლენას, იძენს უნარ-ჩვევებს და ა.შ. მოსწავლეები ახდენენ რეფლექსიას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია შემეცნებითი თვალსაზრისით. შემეცნების პროცესში მოსწავლეები პრაქტიკოსებიც არიან. ამგვარი სასწავლო პროცესის დროს მოსწავლეები ახდენენ ათვისებული მასალის/ინფორმაციის ურთიერთდაკავშირებას, ასე რომ, ისინი დიდწილად თავად წარმოადგენენ ცოდნის „შემქმნელებს“, რომელთაც მომავალში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეეძლება.

ზემოთმოყვანილ „სწავლაში ჩართულობის“ ინდიკატორებს თუ გადავხედავთ, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამგვარი სასწავლო პროცესის წარმართვაში მნიშვნელოვან როლს სწავლების ინდუქციური მეთოდები თამაშობს.

როდესაც ინდუქციური მეთოდების სწავლების პროცესში გამოყენებაზე საუბრობენ, ხშირად ეხებიან ორ ძირითად საკითხს: შესაძლებელია, რომ სწავლება იყოს სრულიად ინდუქციური?

ხარისხიანი სწავლება, რა თქმა უნდა, ორივე მიდგომის გამოყენებას გულისხმობს, როგორც ინდუქციურის, ასევე – დედუქციურის. როდესაც ინდუქციური სწავლების მეთოდების გამოყენებაზე ვსაუბრობთ, არ გამოირიცხება მზა ინფორმაციის მიწოდების საჭიროება და მხოლოდ „თვითაღმოჩენაზე“ დაყრდნობა. მასწავლებელს მრავალი მნიშვნელოვანი როლი აკისრია: ახსნა-განმარტება, სასწავლო აქტივობის გაძღოლა, დახმარება, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. როგორც ბრენსფორდი (Bransford) აღნიშნავს, მას შემდეგ, რაც მოსწავლეები თავად შეეჭიდებიან ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტას, და გარკვეულ დონეზე გაითა-

ვისებენ მას, მასწავლებლის მიერ ინფორმაციის მიწოდება მეტად ღირებულია. [6].

მეორე კითხვა, რომელიც ინდუქციური სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით დაისმის, შემდეგში მდგომარეობს: კერძოდ რაზე ვსაუბრობთ – ინდუქციურ სწავლაზე თუ ინდუქციურ სწავლებაზე? ხანდახან სწორედ აქ ხდება სემანტიკური აღრევა. კერძოდ, ლიტერატურაში ხან გვხვდება „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება“, ხან კი „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა“, „კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“ და „კვლევაზე დაფუძნებული სწავლა“ და ა.შ. რაღა თქმა უნდა, არსებობს განსხვავება სწავლასა (მოსწავლეების სასწავლო საქმიანობას) და მასწავლებლის საქმიანობას შორის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, საკითხის განხილვისას თუ კვლევისას პროცესის ორივე მხარე მოიაზრება, ანუ იგულისხმება როგორც ის მეთოდები/მიდგომები, რომელსაც მასწავლებელი იყენებს, ასევე ის პროცესი, რომელშიც მოსწავლეები არიან ჩართულნი და ის გამოცდილება, რომელსაც მოსწავლეები იძენენ სასწავლო პროცესში.

### **ძირითადი ინდუქციური მეთოდების ზოგადი დახასიათება**

#### **კვლევაზე დაფუძნებული სწავლება (Inquiry Learning)**

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება კომპლექსურ მიდგომად მიიხსნევა, რომელიც აქცენტს, გარდა ცოდნის ათვისებისა და კონკრეტული უნარების შექმნისა, საკითხის სიღრმისეულ შესწავლაზე აკეთებს და მოსწავლეებს სწავლაში აქტიური ჩართულობის პირობებს უქმნის.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ეს არის „კეთებით, გონებით და კვლევით სწავლა.“ [7]. კვლევაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებს სთავაზობს აუთენტურ საკითხებზე მუშაობას, ხელს უწყობს კითხვების გენერირებას, კვლევას, კომუნიკაციუ-

რი უნარების განვითარებას, პრობლემების გადაწყვეტის მიგნებას.

იმისათვის, რომ ასეთი მიდგომით განხორციელებული სწავლა ეფექტიანი იყოს, მასწავლებლების მხრიდან დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა ისეთი სასწავლო „დავალებები“ შექმნას, რომლებიც როგორც სასწავლო პროგრამას, ასევე რეალურ ცხოვრებას უკავშირდება. ეს კი მასწავლებლისგან მუდმივ სწავლასა და კვლევას მოითხოვს.

როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორი დეივიდ პერკინსი აღნიშნავს, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება კარგად სტრუქტურირებული უნდა იყოს. მას მოჰყავს ჯონ სილი ბრაუნის სიტყვები, რომელიც პარალელს ავლებს კვლევაზე დაფუძნებულ სწავლასა და თამაშს შორის და აღნიშნავს, რომ „თამაში, როგორც შემოქმედებითი საქმიანობა, იცავს ბალანსს წესებსა და თავისუფლებას შორის, ნაცნობსა და უცნობს შორის. როგორც თამაშის დროს უნდა დავიცვათ წესები, ასევე უნდა დავიცვათ საზღვრები აღნიშნული მიდგომის განხორციელებისას“ [8].

გარდა ამისა, აქცენტი უნდა კეთდებოდეს უკვე არსებულ ცოდნაზე – ფუნდამენტურ ცნებებზე და მთავარ იდეაზე, არსზე, მაგრამ უნდა დავტოვოთ ადგილი შემოქმედებითობისა და ინტერპრეტირებისათვის.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლეებს უსვამენ კითხვებს, ისინი წყვეტენ ამა თუ იმ პრობლემას, აწარმოებენ დაკვირვებას და უყალიბდებათ მოსაზრებები. [9]. თუკი აღნიშნული მიდგომა ხარისხიანად ხორციელდება, მოსწავლეებს თავად ებადებათ კითხვები და ეძიებენ პასუხებს, გამოაქვთ დასკვნები, აანალიზებენ შედეგებს. [10].

ზოგადად იგივე შეიძლება ითქვას პრობლემაზე დაფუძნებულ (Problem-based learning), პროექტზე დაფუძნებულ (Project-based learning), აღმოჩენაზე დაფუძნებულ სწავლებაზე (Discovery learning) და ზოგიერთი სახის შემ-

თხვევაზე (case) დაფუძნებულ სწავლებაზე (Case based instruction). ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება სხვა ინდუქციური მეთოდების მახასიათებლებს აერთიანებს კიდევ, თუმცა, როგორც აღინიშნა, თითოეულ მათგანს საკუთარი სპეციფიკა გააჩნია. როგორც ლი აღნიშნავს, „ერთადერთი სტრატეგია, რაც შეუსაბამოა ასეთი მიდგომისათვის, არის მხოლოდ ინფორმაციის პასიურ გადაცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა“.[10].

გარდა იმისა, რომ აღნიშნულ მიდგომას საერთო აქვს სხვა ინდუქციურ მეთოდებთან, ის თვითონაც იყენებს განსხვავებულ ტექნოლოგიას. მაგალითად, სტავერი და ბეი [11] გამოყოფენ სტრუქტურირებულ (მოსწავლეებმა გარკვეულ მითითებებზე დაყრდნობით უნდა გადაჭრან ესა თუ ის პრობლემა), გაძლოლით (თავად უნდა მოძებნონ პრობლემის გადაჭრის გზა) და ღია კვლევას (თავად უნდა დააყენონ პრობლემა).

სმიტი [12] განასხვავებს მასწავლებლის მიერ ინიცირებულ კვლევას (teacher inquiry), სადაც მასწავლებელი სვამს კითხვებს და მოსწავლის მიერ ინიცირებულ კვლევას (learner inquiry), სადაც კითხვებს მოსწავლეები აყალიბებენ.

პროცესზე ორიენტირებული კვლევის დროს (process-oriented-guided-inquiry-learning-POGIL) მოსწავლეები პატარა ჯგუფებში მუშაობენ. მათ მიცემული აქვთ გარკვეული ინფორმაცია/მასალა და საორიენტაციო კითხვები, რომლებიც დასკვნების გამოტანაში ეხმარებათ. მასწავლებელი დამხმარის როლშია და საჭიროებისამებრ მოქმედებს.

#### **აღმოჩენით სწავლა (Discovery Learning)**

აღმოჩენით სწავლისას მოსწავლეებს უსვამენ კითხვას, რომელზედაც პასუხი უნდა გასცენ, უყენებენ პრობლემას, რომელიც უნდა გადაჭრან, ხდება მათი ჩართვა დაკვირვების პროცესში, რის შედეგადაც უნდა გამოიტანონ დასკვნები – გააკეთონ აღმოჩენა და ამგვარად შეიძინონ ახალი ცოდნა

თუ ინფორმაცია ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის შესახებ. [13]. აღნიშნული მიდგომის დროს მასწავლებელი ამყარებს უკუკავშირს მოსწავლესთან, თუმცა არ აძლევს კონკრეტულ მითითებებს.

მასწავლებლები უფრო ხშირად მიმართავენ ე.წ. „გაძლოლით აღმოჩენის“ მეთოდს. (guided discovery), რომლის პროცესშიც მასწავლებელი მიმართულებას აძლევს მოსწავლეებს. [14]. ასეთ შემთხვევაში ზღვარი აღნიშნულ მიდგომასა და კვლევაზე და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას შორის თითქმის იშლება.

ჯ. ბრუნერი აღნიშნავს, რომ ცოდნის შექმნა პროცესია, რომელშიც მთავარია წვდომა, გაგება-გაცნობიერება, აქტიური სწავლა კი ამ მიზნის მიღწევის წინაპირობას ქმნის.

ბრუნერი თვლის, რომ განათლების მიზანი ინტელექტუალური განვითარება უნდა იყოს და სასწავლო პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს პრობლემის გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბებას კვლევასა და აღმოჩენაზე დაფუძნებული სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობითა და მეშვეობით. ბრუნერის აზრით, აღმოჩენით სწავლა ავითარებს მოსწავლეთა ინტუიციას, წარმოსახვას და შემოქმედებითობას.

აღმოჩენით სწავლისას გასაქანი ეძლევა ინდუქციურ აზროვნებას, იწყებს რა კონკრეტულით და მიდის ზოგადისკენ. [13]. მაგალითად, მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებს მაგალითებით, ისინი კი ადგენენ ურთიერთკავშირს. ბრუნერი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესში ინდუქციური მიდგომები უნდა იყოს გამოყენებული და აზროვნებისა და ცოდნის შექმნის პროცესი კონკრეტული მაგალითებიდან ზოგადი პრინციპის ფორმულირებისკენ უნდა იყოს მიმართული. იგი თვლის, რომ სასწავლო პროცესში გზა უნდა გაეხსნას ინდუქციურ აზროვნებას ისეთი პრაქტიკის მეშვეობით, რომლის განხორციელების დროსაც მასწავლებელი ბიძგს აძლევს მოსწავლეებს,

საკითხის თუ პრობლემის შეცნობისა და გადაწყვეტისათვის, არასრული ინფორმაციის თუ ფაქტების მიწოდებით, ხოლო შემდგომ კითხვების დასმით ეხმარება მათ აღმოაჩინონ კავშირები, ჩამოაყალიბონ ინტუიტიური ვარაუდები და ამ პროცესში მიაგნონ პასუხს.

აღმოჩენით სწავლების არსი ლაკონურად შეიძლება შემდგენაირად განვსაზღვროთ: „ცოდნის შექმნა ის კი არ არის, რომ დავიმასსოვროთ და გავიმეოროთ, არამედ ის, რომ აღმოვაჩინოთ და გამოვიყენოთ.“ (National Research Council. 2007). აღნიშნული გამონათქვამი შესაძლოა თითქმის ყველა ინდუქციურ მიდგომასთან მიმართებაში გამოვიყენოთ.

იმისათვის, რომ აღმოჩენით სწავლის პროცესი სათანადოდ წარიმართოს, მოსწავლეებს უნდა გააჩნდეთ საკითხის საბაზო ცოდნა და პრობლემის გადაწყვეტის უნარი. კრიტიკოსების აზრით, ამგვარი სასწავლო პრაქტიკის პროექტირება თუ ორგანიზება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მოითხოვს რესურსებს და ზედმიწევნით მომზადებას, რათა სათანადო შედეგები იყოს მიღწეული.

### **პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება (Problem Based Learning)**

ამგვარი მიდგომის დროს მოსწავლეების წინაშე დგას „ღია დაბოლოებიანი“ აუთენტური, რეალურ სიტუაციასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელსაც გადაწყვეტა ესაჭიროება. მასწავლებლები დამხმარეების როლში გამოდიან და არა ინფორმაციის ძირითადი წყაროს როლში. მოსწავლეები ჯგუფებად მუშაობენ. სათანადოდ დასმული პრობლემა იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოყენებული იყოს როგორც უკვე არსებული ცოდნა, ასევე დაისახოს ახალი სასწავლო საკითხები და სამუშაო გეგმა. გამოიყენება დისკუსია როგორც ცალკე ჯგუფებში, ასევე მთელ ჯგუფთან ერთად. ამგვარი მიდგომა საშუალებას აძლევს მო-

სწავლეებს, თავად მივიდნენ მათთვის მნიშვნელოვან დასკვნებამდე და ყოველთვის არ მიიღონ მზა პასუხები. მოსწავლეების ჩართულობა მაღალია, რაც დადებითად მოქმედებს სწავლების შედეგებზე. გამოიყენება დისციპლინათაშორისი მიდგომაც. [4].

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლის თვითრეგულირებასა და სხვებისგან – თანატოლებისაგან სწავლას, რასაც შესაფერისი სასწავლო სიტუაციის შექმნა სჭირდება, რომელიც განსხვავებული იქნება მოსწავლეთა ჯგუფების, მათი ასაკის, სასწავლო სფეროს და სხვა მახასიათებლების მიხედვით. [Wee & Kek. 2002].

აღნიშნული მიდგომის გამოყენებისას ყურადღება უფრო მეტად მოსწავლეების მიერ „შეცნობასა“ და „წვდომაზე“ გამახვილებული, ვიდრე ინფორმაციის გადაცემაზე.

პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისას მოსწავლეები უმეტესად ჯგუფებად მუშაობენ, სადაც ხორციელდება „მიზნობრივი ჯგუფური დიალოგი“, რომელშიც მასწავლებელიც ერთვება, რათა სასწავლო პროცესი ხარისხიანად წარიმართოს. [27]. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მიდგომა როგორც მოსწავლეებს აკისრებს მეტ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე, ასევე მასწავლებლისგან მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციასა და მომზადებას.

### **შემთხვევის ანალიზზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლება (Case Based Teaching)**

შემთხვევაზე (ქეისზე) დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლეები ანალიზებენ „ქეისებს“, ცალკეულ შემთხვევებს, რომლებიც გულისხმობს პრობლემის გადაწყვეტას, გადაწყვეტილების მიღებას. „ქეისები“ ხშირად შეიცავს გარკვეულ სირთულეს, დილემას, რომელიც ამა თუ იმ თემასთან, კონტექსტთან, სიტუაციასთანაა დაკავშირებული. „ქეისი“ აუთენტური უნდა იყოს და აღწერდეს კონკრეტულ სიტუაციას, რომელიც მოითხოვს მსჯელობას და გადა-

წყეტას, ანალიზს. მოსწავლეები ეჩვევიან ლოგიკურ მსჯელობას, უვითარდებოთ კრიტიკული აზროვნება, გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს საკითხთან მიმართებაში. როგორც რ.ფელდერი (R. Felder) აღნიშნავს, ამგვარი მიდგომა სრულად ჯდება კონსტრუქტივიზმის ჩარჩოებში.[15].

შემთხვევის ანალიზზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლება შეიძლება ყოველთვის არ ჩაითვალოს ინდუქციურ მიდგომად. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განვახორციელებთ მას. როგორც ლინი აღნიშნავს, როდესაც „ქეისი“ უბრალოდ მონათხრობია ამა თუ იმ თუნდაც პროლემატურ სიტუაციაზე და მოსწავლეებს იგი წინასწარ ეძლევათ, რათა შემდგომში ერთობლივად იმსჯელონ და განიხილონ, ის უფრო საიდუსტრაციო მაგალითად შეიძლება გამოდგეს. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღებისას თუ ანალიტიკური აზროვნების და ა.შ კუთხით, მაგრამ თავად არ ავითარებს აღნიშნულ უნარებს, რადგან აზრი და დასკვნები უკვე გამოტანილია და მოცემული. მსგავსი ქეისების გამოყენება ინდუქციურ მიდგომად ვერ ჩაითვლება. ინდუქციის დროს მოსწავლეებმა თავად უნდა გააკეთონ ანალიზი და მიიღონ გადაწყვეტილება. ამიტომაც ასეთ „ქეისებს“ ლინი „სასწავლო ქეისებს“ უწოდებს. [16].

ასეთი „ქეისები“ სასწავლო მიზნებით გამოყენებას თავისი ფაზები/ეტაპები აქვს: 1) შინაარსის გაცნობა; 2) რელევანტური მოძიება; 3) ალტერნატივების მოძიება; 4) ალტერნატივების შეფასება; 5) მოქმედების გეზის არჩევა; 6) მიღწეული გადაწყვეტის შეფასება და შედეგების განხილვა.

„ქეისებით“ სწავლებას გარკვეული საერთო აქვს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასთან, მაგრამ „ქეისები“ მეტად სტრუქტურირებულია და კონტექსტუალურად მდიდარი. გარდა ამისა, მოსწავლეები გარკვეულწილად მათთვის უკვე ნაცნობ მასალასაც იყენებენ. „ქეისებით“ სწავლება

ახალი არ არის და XIX ს-ის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს, თუმცა მას დღესაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ანალიტიკური აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარის შექმნაში [4].

### **პროექტზე დაფუძნებული სწავლება-პროექტის მეთოდი (Project Based Learning – Project Method)**

პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას (პროექტის მეთოდი) საერთო აქვს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასთან. ორივე მიდგომა მოსწავლეებს მიზნად უსახავს „ღია დაბოლოებიანი“ დავალების შესრულებას, თუმცა პროექტზე მუშაობის არეალი გაცილებით ფართოა და არა ერთი პრობლემის გადაწყვეტას შეიძლება გულისხმობდეს. გარდა ამისა, პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები იყენებენ უკვე ათვისებულ სასწავლო მასალას და ცოდნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეები ეყრდნობიან საკუთარ ცოდნას და ახდენენ მის ინტეგრირებას, მაშინ, როდესაც პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს აქცენტი ძირითადად ახალი ცოდნის შექმნაზე კეთდება. თუმცა პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ ორივე მიდგომის პრინციპები ერევა ერთმანეთს. ამგვარ მიდგომას ჰიბრიდულს უწოდებენ.

მასწავლებლები იმგვარად არჩევენ პროექტებს, რომ ისინი სასწავლო პროგრამის მიზნებს შეუხამონ. ამავე დროს, ისინი მოსწავლეებს გარკვეულ ავტონომიასაც აღეგონებენ პროექტის ფორმულირების, სტრატეგიების შერჩევის თვალსაზრისით, რაც მოსწავლეთა მოტივაციას ზრდის. გრააფი და კოლმოსი მოსწავლეებისათვის მინიჭებული ავტონომიის თვალსაზრისით სამი სახის პროექტს განასხვავებენ:

- სამუშაო პროექტი (Task project)

მოსწავლეთა ჯგუფები მუშაობენ მასწავლებლის მიერ შერჩეულ პროექტზე მის მიერვე მითითებული მეთოდების გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები ნაკლებად მოტივირებულები არიან.

- საგნობრივი პროექტი (Discipline project):  
მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო სფეროს (საგანს), რომელშიც უნდა შესრულდეს პროექტი და იძლევა ზოგად მითითებებს იმ მიდგომების შესახებ, რომელთა გამოყენებაც მოსწავლეებს შეუძლიათ, მოსწავლეები კი ირჩევენ პროექტს და სასურველ მიდგომას.

- პრობლემური პროექტი (Problem project)  
აღნიშნულ შემთხვევაში მოსწავლეებს ეძლევათ სრული ავტონომია, რომ აირჩიონ და განახორციელონ პროექტი. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ადრე და ახლად განხორციელებულ პროექტებს შორის კავშირების დადგენაში და ასევე იმაში, რომ მათ ე.წ. „ცოდნის ნაპალები“ შეავსონ, რადგან პროექტზე მუშაობა შემოქმედებითი პროცესია და ხშირად იმ ცოდნის/ინფორმაციის მოძიებასაც მოითხოვს, რომელიც გავლილი ან მზად მიწოდებული არ არის. გარდა ამისა, პროექტებზე მუშაობისას ხშირად იკვეთება ინტერდისციპლინარული/საგანთაშორისი კავშირები, რაც როგორც სწავლების, ასევე ცოდნის ინტეგრირებას უწყობს ხელს. [17].

პროექტზე მუშაობის დროს (თუკი სასწავლო პროცესი სათანადოა დაგეგმილი და წარმართული) თითქმის ყველა ზემოთხაზოვანი ინდუქციური მიდგომის პრინციპი ხორციელდება, რადგან სახეზეა როგორც კვლევა, ასევე აღმოჩენა (ახალი ფაქტის, ინფორმაციის, კანონზომიერების და ა.შ.), პრობლემის გადაწყვეტა, დასკვნების გამოტანა, კითხვების დასმა და მათზე პასუხების ძიება, შემოქმედებითი მიდგომა, რომლის დროსაც შესაძლოა კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია იყოს ათვისებული, ვიდრე განსაზღვრული იყო. გარდა ამისა, ხდება უნარ-ჩვევების შექმნა, საგანთაშორისი კავშირების დამყარება და მათი დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან.

რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, პროექტზე მუშაობა სასწავლო პროგრამის ნაწილია,

რომელსაც გარკვეული დრო ეთმობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიდგომის განხორციელება საკმაოდ შრომატევადია და გამოცდილი, კვალიფიციური მასწავლებელი სჭირდება. პროექტებზე მუშაობის დროს მასწავლებლის როლი არა თუ დაკნინებულია, არამედ მეტად კომპლექსური და მნიშვნელოვანი, რათა სწავლის სათანადო შედეგები იქნეს მიღწეული.

### დასკვნა

დასასრულ, კიდევ ერთხელ უნდა გაეკვას ხაზი, რომ სწავლება/სწავლა არ შეიძლება იყოს მხოლოდ ინდუქციური ან დედუქციური. ხარისხიანი სასწავლო პროცესი ორივე მიდგომის ელემენტებს უნდა იყენებდეს. როდესაც ინდუქციურ მეთოდებზე ვსაუბრობთ, არ იგულისხმება, რომ მხოლოდ ამგვარი მიდგომებია ეფექტიანი, ან რომ ეს მეთოდები სრულად ჩაენაცვლებიან/შეცვლიან, მაგალითად, მოსწავლის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალის შესწავლა/ათვისებას, მასწავლებლის მიერ ინფორმაციის გადაცემასა და ახსნა-განმარტებას, სახელმძღვანელოზე/წიგნზე მუშაობას, საშინაო დავალების შესრულებას და ა.შ.

როგორც ანალიტიკოსი და აკადემიური სფეროს ექსპერტი მარტინ შათელვორსი აღნიშნავს, ინდუქციური და დედუქციური მიდგომები გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და ისინი ერთი მთლიანი ციკლის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენენ. [18].

იმისათვის, რომ სასურველი სასწავლო შედეგები მივიღოთ, სწავლებისა და სწავლის კომპონენტები ურთიერთგამომრიცხავად არ უნდა აღვიქვათ, ისინი ერთობლიობაში უნდა გავიაზროთ და ცალმხრივ მიდგომას მოვერიდოთ. თუმცა ერთი რამ ცხადია – შეცვლილი მოთხოვნების პირობებში

ინდუქციური სწავლების მეთოდების გამოყენების როლი იზრდება და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სწავლების ყველა საფეხურზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ როგორც საიმონი აღნიშნავს, „ინფორმაცია და ცოდნა ისეთი სისწრაფით გროვდება, როგორც არასდროს კაცობრიობის ისტორიაში. ამიტომ, თუ ადრე „რაიმეს ცოდნა“ ძირითადად დამახსოვრებასა და გამეორებასთან ასოცირდებოდა, ახლა უფრო მეტად მოძიებასა და გამოყენებას გულისხმობს.“ [19].

### ლიტერატურა

1. Teaching Effectiveness: A Framework and Rubric What did you do in school today? (2009): Published by the Canadian Education Association (CEA)
2. Don Prickel, Ph.D. The Influence of New and Emerging Theories on Teaching Practices
3. Michael J. Prince, Richard M. Felder, inductive Teaching and Learning Methods: Definitions, Comparisons, And Research Basis, Bucknell, Carolina State University
4. Prince M. and Felder R. (2007): The Many Faces of Inductive Teaching Copyright © 2007, National Science Teachers Association (NSTA). *Journal of College Science Teaching*, Vol. 36, No. 5, March/April 2007).
5. Jones B., Valdez G., Nowakowski J., & Rasmussen C. (1994): *Designing Learning and Technology for Educational Reform*. Oak Brook, IL: North Central Regional Educational Laboratory)
6. Bransford J.D., Brown A. L., and Cocking R.R. (2000): eds., *How People Learn: Brain , Mind, Experience, and School*, Washington, D.C.: National Academy Press. Online at <<http://www.nap.edu/books/0309070368/htm>
7. Neil Stephenson. Introduction to Inquiry Based Learning <http://www.teachinquiry.com/index/Introduction.html>
8. Douglas Thomas and John Seely Brown, A New Culture of Learning Cultivating the Imagination of a World of Constant Change. <http://www.newcultureoflearning.com>
9. Bateman W., *Open to Question: The Art of Teaching and Learning by Inquiry*, San Francisco: Jossey-Bass, 1990.
10. Lee V.S. (2004): ed. *Teaching and Learning through Inquiry*. Sterling, VA: Stylus Publishing
11. Staver J.R., Bay M. (1987): “Analysis of the Project Synthesis Goal Cluster Orientation and Inquiry, Emphasis of Elementary Science Textbooks”. *J. Research in Science Teaching*. Vol. 24. pp.629–643
12. Smith D. (1996): *A Meta-Analysis of Student Outcomes Attributable to the Teaching of Science as Inquiry as Compared to Traditional Methodology*, Ph.D. dissertation. Temple University. Department of Education
13. Bruner J .S. (1961): “The Act of Discovery”. *Harvard Educational Review*. Vol. 31. No. 1
14. Spencer J. A., Jordan R.K. (1996): “Learner-Centred Approaches in Medical Education,” *BMJ (British Medical Journal)*. Vol. 313. pp. 275–283
15. . Felder R.M. (1996): “Matters of Style”. *ASEE Prism*. Vol. 6. No. 4. pp. 18–23  
<http://www.ncsu.edu/felder-public/Papers/LS-Prism.htm>
16. Lynn Jr. (1999): L.E. *Teaching and Learning with Cases*. New York: Chatham House Publishers
17. Graaff E. and Kolmos A. (2003): “Characteristics of Problem-Based Learning”. *Intl. J. Engr. Education*. Vol. 19. No. 5. pp. 657–662
18. Martyn Shuttleworth Inductive Reasoning. (Mar 16, 2008). <https://explorable.com/inductive-reasoning>
19. Simon (1996): in National research Council, 2000 p. 5. <http://www.mq.edu.au/>



## **Inductive Approaches in the Process of Teaching**

*Natalia Dolidze*

*Tbilisi State University*

*Faculty of Psychology and Education Sciences*

*Institute of Pedagogy*

*1 Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 599 140 037*

*E-mail.: natodolidze@yahoo.com*

### **Abstract**

In the era of rapid changes, advanced technology, new economic reality and globalization increased attention is paid to acquisition of such skills as effective application of the knowledge in practice and independent learning. The new reality significantly transforms the model of teaching and learning, as these changes represent a paradigm shift, which requires to rethink and reconsider the existing learning theories. All the above mentioned influences teaching and learning practices and sets new requirements for educationalists and classroom teachers.

Much more emphasis is made on the acquisition of such skills as critical thinking, problem solving, decision making, independent and lifelong learning, which entails the demand for relevant teaching methods and approaches. These developments result in wider application of inductive methods in teaching and learning practices.

When stating the benefits of using inductive approaches, it is not meant, that solely these methods are effective, and/or that they will fully substitute such components of teaching and learning as transmission of the information by the teacher, homework assignments, acquiring theoretical knowledge by students, etc. In order to achieve desired learning outcomes, the teacher should successfully combine all the essential elements of the educational process. Nevertheless, the trend of the increasing the role of inductive methods at all stages of teaching and learning becomes more and more evident.

### **Keywords:**

Inductive teaching methods, Engaged Learning, Inquiry Learning, Problem-Based Learning, Project Method, Case-Based Teaching, Discovery Learning.

## **Индуктивный подход в процессе обучения**

*Долидзе Наталия Зурабовна*

*Тбилисский государственный университет*

*Факультет психологии и образовательных наук*

*Институт Педагогики*

*Пр. И. Чавчавадзе №1, 0179, Тбилиси, Грузия*

*Tel.: 599 140 037*

*E-mail.: natodolidze@yahoo.com*

### **Резюме**

В условиях развитой технологии, новой экономической реальности и глобализации возрастающее внимание уделяется формированию таких навыков, как эффективное применение знаний в практике и их самостоятельное приобретение. Новая реальность трансформирует и модель обучения, так как имеет место изменение парадигмы, которое, в свою очередь, влечет за собой пересмотр соответствующих теорий. Все это влияет на учебный процесс и ставит новые требования перед педагогами.

Все большее внимание уделяется выработке критического мышления, умению разрешения проблем, принятия решений, приобретения знаний на протяжении всей жизни. Все вышесказанное приводит к более широкому применению индуктивных методов в учебной практике.

Когда мы говорим о пользе применения индуктивных подходов, не имеется в виду, что такие методы эффективны обособленно, или

что они заменят такие компоненты обучения, как передача информации учителем, домашние задания, теоретическое знание предмета, и т.д. Для того, чтобы достичь желаемых результатов, учитель должен скомбинировать все основные элементы учебного процесса. Однако, растущая роль применения индуктивных подходов

в учебном процессе становится все более очевидным.

**Ключевые слова:**

индуктивные методы обучения, вовлеченность в обучении, проблемно-ориентировочное обучение, проектный метод, эвристическое обучение, обучение путем открытий, исследовательское обучение, кейс-метод.

# Contextual Frame as the Theory of Text Processing

Marina Zoranyan  
Georgian Technical University  
Department of Liberal Sciences  
77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia  
Tel. : 593 783 826  
E-mail: marinaziger@gmail.com

## Abstract

The paper views contextual frame theory (CFT) as the theory of text processing. Introduced by Emmott, the theory is based on empirical studies in psychology. It explores what happens cognitively to a reader who tries to understand what is described in a narrative, and stresses the dynamic relationship between the cognitive aspect of reader's activity and what is written in the text. Contextual frame theory gives an explanation of how we keep track of the elements of a narrative as we read. It suggests that readers make sense of narrative events by relating them to the contexts in which they occur in the text world. To do this readers construct contextual frames.

## Keywords:

contextual frame, episodic information, non-episodic information, frame modification, frame-switch, overt reference, covert reference

## Introduction

Contextual frame theory (CFT) is the theory of text processing. It was introduced by C. Emmott and discussed thoroughly in her book *Narrative Comprehension* (1997). Based on empirical studies in psychology, the theory explores what happens cognitively to a reader who tries to understand what is described in a narrative, and stresses the dynamic relationship between the cognitive aspect of reader's activity and what is written in the text.

**Contextual frame theory** gives an explanation of how we keep track of the elements of a narrative as we read. It suggests that readers make sense of narrative events by relating them to the contexts in which they occur in the text world. To do this readers construct **contextual frames**.

## Main Body

C. Emmott [1997: 121] describes a contextual frame as "a mental store of information about the current context, built up from the text itself and from inferences made from the text". Contextual frames "are not simply 'snapshots' of successive moments across the narrative, however, but are a series of ongoing and shifting mental representations of the world of the literary work". [Stockwell, 2002: 155]

Contextual frames contain information which may be **episodic** or **non-episodic** in nature. Episodic information is that which is true at a particular point in the narrative, but which is not necessarily relevant beyond this point. Non-episodic information, conversely, is that which is true "beyond the immediate context" [C. Emmott 1997: 122]. As an example, in Jonathan Coe's novel "The Rotters' Club", the fact that the main character, Benjamin Trotter, is a schoolboy, growing up in the 1970s constitutes non-episodic information i.e. it is information which remains true across the course of the narrative as a whole. We may compare this with an instance of episodic information. In Chapter 7 of the novel, Benjamin comes to school for a swimming lesson and finds that he has forgotten his swimming trunks. Since the punishment for this is to swim naked, Benjamin is mortified and prays to God for an answer to his dilemma. As he does so, a locker door opens and Benjamin sees that inside the locker is a pair of swimming trunks. This is an episodic information: i.e. a one-off occurrence in the narrative. While Emmott (ibid.) notes that episodic information does not

have relevance beyond its immediate context, in this particular case it does, since the discovery of the swimming trunks leads Benjamin to believe that his prayer has been answered. As a result of this, Benjamin becomes convinced of the existence of God and embraces Christianity, an action that is to have a significant impact on his behaviour throughout the remainder of the novel.

The process by which we are able to take stock of all the variations in frames is called contextual monitoring. Emmott [1997: 123] explains that contextual monitoring allows readers to create an overall context for the narrative. However, while it is possible for readers to hold information about more than one context at any given time, we tend to focus our attention on one particular context. The terms binding and priming explain the means by which we do this. **Binding** refers to the process of linking particular entities to particular contexts, while **priming** refers to the process by which particular contextual frames are brought to the forefront of the reader's mind. Emmott (ibid.) treats the primed frame as the one that receives the 'main focus of attention', suggesting that there are other contextual frames which might draw a small amount of our attention and stay at the background of our mind. And these backgrounded frames are what Emmott [1997: 123] calls bound – they are not in the focus of our attention, but remain in our short-term memory and can be retrieved any-time during the reading. Burke [2011: 2] notes that memory and cognition interact with emotion during the reading. When a reader finds a certain context emotionally provocative, it is likely that this particular context might still be in or come to the forefront of the reader's mind several pages after its textual depiction (and hence be primed in Emmott's terms).

A good example of binding and priming can serve Ian Fleming's James Bond novel, *Dr No*. It begins with a scene in a Jamaican street in which three blind beggars make their way slowly along the road. These three characters are bound into this particular situational context. The scene then switches to a gentlemen's club where Brigadier Bill Tem-

plar, John Strangways, a professor from Kingston University and a criminal lawyer are playing cards. These four characters are bound into this second situational context. At this point in the reading process, the scene in the cardroom of the gentlemen's club constitutes the primed context, since this is the context on which the reader's attention is currently focused. The characters of Strangways, Templar and the two others are therefore primed as well as bound. However, the three beggars of the first scene remain bound into their own particular context, despite the fact that it is now unprimed.

Binding and priming are thus processes of monitoring that readers engage in. Characters that are primed will remain in a reader's mind even if they are not referred to directly in the text. A primed character that is referred to in a sentence is said to be **overt**. One that is present in the scene but not referred to is said to be **covert**. In the following paragraph from *Dr No*, Templar is the overt primed character, since he is referred to directly in the proper noun and its appositive noun phrase, and by the pronoun *he*:

*Bill Templar, the Brigadier, laughed shortly. He pinged the bell by his side and raked the cards towards him. He said, "Hurry up, blast you. You always let the cards go cold just as your partner's in the money."* [Fleming, 1985 [1958]: 7]

The other characters (Strangways, the professor and the lawyer) are, at this point in the narrative, covert, since they are not mentioned in the text but remain primed; i.e. we remain aware of their presence within the scene, despite the fact that the text does not refer to them. Only primed characters may be overt or covert. Unprimed characters – that is, characters not present in the primed frame but bound into some other context – are neither overt nor covert, but simply bound into the reader's main context.

Contexts described above are continually modified across the course of a whole narrative. The reader's attention will shift to new contexts, and these new contexts will involve new entities and characters. The means by which readers track such context changes is also covered by contextual frame theory.

Emmott suggests, for instance, that frame modification occurs when characters enter or leave a particular location. For example, the sentence that follows in example above describes Strangways leaving the club: “*Strangways was already out of the door.*” As a result of this, the reader modifies the contextual frame in which Strangways was previously bound. The other elements of the frame remain in place – we assume, for instance, that Templar, the professor and the lawyer remain in the cardroom – and so the frame is not radically altered but simply modified by Strangways becoming unbound from the frame.

This example is an instance of the modification of a primed frame, though unprimed frames may also be modified. However, this cannot be done via **overt reference** or it would prime the frame. The way in which unprimed frames can be modified without consequently priming them is via **covert reference**. E.g., in Chapter 2 of *Dr No* the character of James Bond enters the narrative. Bond, at this point, is in London, hence he is bound into this contextual frame. At the beginning of Chapter 4, however, Bond is on board a plane to Jamaica. We assume, therefore, that he has become unbound from the previous contextual frame (the London scene), despite the fact that there was no overt reference to this happening.

Frame modification then refers to the adding or removing of a character from a particular frame. The notion of a **frame-switch** refers to the process by which a reader stops monitoring one frame and starts monitoring another. Frame-switches generate new frames, usually leaving the previously established frames intact (although potentially modified). Frame-switches may be instantiated pragmatically or via adverbials of time or place. They may also be instantaneous or progressive.

**Instantaneous** frame-switches involve a sudden mental leap in space or time. A **progressive** frame-switch is one which does not involve such a mental leap, but where the temporal or locative change is tracked explicitly.

Frame-switches do not discount the possibility that a previously primed frame may be re-primed.

If characters remain bound into an unprimed frame, then the potential exists for frame recall. The potential for frame recall diminishes over time. For instance, if a year passes within the text world we might assume that one set of characters are no longer bound into the same contextual frame in which we left them. Similarly, if we happen to be reading a particularly long text, the sheer length of time between one mention of a set of characters and another may reduce our capacity to re-prime the frame into which those characters were initially bound. The author is likely instead to be forced into re-establishing the triggers for the construction of a renewed frame.

Contextual frame theory, then, provides a number of hypotheses about the nature of reading and how readers monitor the progression of a narrative. The concepts described so far, refer to the activities of a reader who experiences no difficulties in processing a narrative. Occasionally, though, a reader may make a mistake, or be intentionally misled by an author/narrator. When this happens, the reader makes a **frame repair** in order to receive the sense of the narrative. Writers often exploit both a reader’s capacity for making such misjudgments and their capacity for repairing them in order to generate particular stylistic effects. Emmott (2003), for example, shows how contextual frame theory can account for the way in which readers react to short stories that incorporate a “twist in the tale”. Examples of this kind of technique can be seen in science fiction narratives, ghost stories and fantasy novels.

## Conclusion

To sum up we can say that contextual frame theory provides an explanation of how we keep track of the complex information that it is necessary to manage in order to achieve these rich representations of a narrative world. Readers make sense of narrative events by relating them to the contexts in which they occur in the text world. To do this they construct contextual frames. Frame modification occurs

when characters enter or leave a particular location. The notion of a frame-switch refers to the process by which a reader stops monitoring one frame and starts monitoring another. Frame-switches generate new frames, usually leaving the previously established frames intact.

## Literature

1. Emmott C. (1997): *Narrative Comprehension: a Discourse Perspective*. Oxford; New York: Clarendon Press; Oxford University Press.
2. Emmott C. (2003): Reading for pleasure: a cognitive poetic analysis of “twists in the tail” and other plot reversals in narrative texts”, in Gavins J. and Steen G. (eds.) *Cognitive Poetics in Practice*, pp. 145-60. London: Routledge
3. Stockwell P. (2002): *Cognitive Poetics: An Introduction*. London: Routledge.
4. Burke M. (2011): *Literary Reading, Cognition and Emotion*. New York & London; Routledge.
5. Coe J. (2004): *The Rotters’ Club*. London: Penguin.
6. Fleming I. (1985 [1958]): *Dr No*. London: Triad/Panther.

## Контекстуальный фрейм как теория обработки текста

Зоранян Марина Георгиевна  
Грузинский технический университет  
Департамент либеральных наук  
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел.: 593 783 826  
E-mail: marinaziger@gmail.com

## Резюме

Статья рассматривает теорию контекстуальных фреймов (CFT) как теорию обработки текста. Представленная Катериной Эммотт, данная теория основана на эмпирических исследованиях в психологии и изучает, что когнитивно происходит с читателем, пытающимся понять то, что описано в повествовании. Она подчеркивает динамическую связь между познавательным аспектом деятельности читателя и тем, что написано в тексте. Теория контекстуальных фреймов объясняет, как мы в процессе чтения отслеживаем элементы повествования. Она предполагает, что читатель постигает смысл повествуемых событий, связывая их с контекстами, в которых они встречаются в текстовом мире. Для этого он создает контекстуальные фреймы.

## Ключевые слова:

контекстуальный фрейм, эпизодическая информация, неэпизодическая информация, модификация фрейма, переключение с фрейма на фрейм, открытая ссылка, скрытая ссылка.

## კონტექსტუალური ფრეიმი როგორც ტექსტის დამუშავების თეორია

მარინა ზორანიანი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 593 783 826  
E-mail: marinaziger@gmail.com

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია კონტექსტუალური ფრეიმების თეორია (CFT) როგორც ტექსტის დამუშავების თეორია. იგი შემოტანილი იქნა კატერინა ემოტის მიერ და ემყარება

ემპირიულ კვლევებს ფსიქოლოგიის დარგში. აღნიშნული თეორია იკვლევს, თუ რა ხდება იმ მკითხველის გონებაში კოგნიტიურად, რომელიც ცდილობს გაიგოს, რა არის აღწერილი თხრობაში. თეორია ამახვილებს ყურადღებას დინამიკურ ურთიერთობებზე მკითხველის აქტივობას კოგნიტურ ასპექტსა და ტექსტს შორის. კონტექსტუალური ფრეიმების თეორია განმარტავს იმას, თუ როგორ მივსდევთ ჩვენ თხრობის აზრს კითხვის პროცესში. აღნიშნული თეორიის მიხედვით,

მკითხველს აზრი გამოაქვს თხრობიდან, როცა ის აკავშირებს თხრობაში მომხდარს იმ კონტექსტთან, რომელიც გვხვდება ტექსტის სამყაროში.

**საკვანძო სიტყვები:**

კონტექსტუალური ფრეიმი, ეპიზოდური ინფორმაცია, არაეპიზოდური ინფორმაცია, ფრეიმის მოდიფიცირება, ფრეიმიდან ფრეიმზე გადართვა, ღია მოხსენიება, ფარული მოხსენიება.

## კონოტაციის ცნება ანტროპოცენტრისტულ და სოციოკულტურულ ჭრილში

რუსუდან თაბუკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას №77, 0175, თბილისი, საქართველო  
ტელ.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

### რეზიუმე

ენა, როგორც სოციალური ინტერაქციისა და კულტურის განმაპირობებელი საშუალება, როგორც წინაპირობა სოციალური ურთიერთობებისა და ინტერკულტურული კომუნიკაციისა, პირველ რიგში სოციალური და კულტურის მეცნიერებების ინტერესთა სფეროში მოექცა, სადაც მნიშვნელოვანი აქტანტი ადამიანია, მისი სუბიექტივიზმია. შესაბამისად ენასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოვლენა, აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა განხილულ იქნას მრავალი თვალსაზრისით.

კონოტაცია, როგორც ენობრივი მოვლენა, ძალზე დიფუზური და ამორფულია. დიდი მოცულობისა და მასშტაბურობის გამო, ასევე მისი მოქმედების ელასტიურობიდან გამომდინარე, მას არ გააჩნია მკვეთრი საზღვრები. კონოტაცია გულისხმობს სუბიექტისა და მისი სოციალური სტატუსის დომინირებას და ამ დომინირებით გამოწვეულ პრაგმატულ შედეგს გარკვეულ სოციოკულტურულ გარემოში. ამდენად, პრიორიტეტად მივიჩნევთ კონოტაციის კვლევას ანტროპოცენტრისტულ და სოციოკულტურულ ჭრილში.

### საკვანძო სიტყვები:

კონოტაცია, უზუალური, ოკაზიონალური, ანტროპოცენტრიზმი, კულტურული კონოტაცია, სოციალური ფაქტორები.

### შესავალი

სპეციალურ ლიტერატურაში კონოტაცია განმარტებულია როგორც უზუალური ან ოკაზიონალური ხასიათის ენობრივი ერთეულის შეფასებითი, ემოციურ-სტილისტიკური შეფერილობა. ფართო გაგებით, კონოტაცია – ესაა ნებისმიერი კომპონენტი, რომელიც ავსებს ენობრივი ერთეულის საგნობრივ-ცნებით შინაარსს და ანიჭებს მას ექსპრესიულ ფუნქციას.

### ძირითადი ნაწილი

სემანტიკური კონოტაციების შესახებ პირველად გვამცნო ბლუმფილდმა, რომელმაც ისინი უზუალოდ შემეცნების სფეროს მიაკუთვნა. „...secondary associations which a word gives rise to“ [ბლუმფილდი, 1933]. მისი განმარტებით კონოტაცია დესიგნატის დამატებითი ინფორმაციაა, მნიშვნელობის ისეთი ელემენტია, რომელიც დამატებით ინფორმაციას ფლობს ობიექტის არსებით თვისებებსა და ნიშნებზე. [ბლუმფილდი. 2002:156]. სემანტიკურ კონოტაციებს მიეკუთვნება კონოტაციები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალური ფენის მიერ სიტყვის გამოყენებასთან, სხვადასხვა დიალექტებთან, სლენგში კონოტაციას ხუმრობის დატვირთვა აქვს და მას ძირითადად ახალგაზრდობა იყენებს. [იქვე, 2002:160].

ბლუმფილდი თვლის, რომ ნასესხებ სიტყვებში კონოტაცია გამოხატავს ჩვენს დამოკიდებულებას უცხოელებთან, ხოლო ნასესხებ ენობრივ ფორმათა განმასხვავებელი ნიშნები ენობრივ თავისებურებებსა და ფონეტიკურ მოდელირებაში უნდა ვეძებოთ. ტექნიკურ ტერმინთა კონოტაცია, მეცნიერის აზრით, დამოკიდებულია იმ პროფესიისა თუ ხელობის პოზიციაზე, ან ავტორიტეტსა თუ სტატუსზე, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან. [იქვე, 2002:158].



ამდენად, კონოტაციის სახესხვაობებისა და მრავალფეროვნების გამო იგი, ბლუმფილდის აზრით, არ ექვემდებარება განმარტებებს და მთლიანობაში რთულია მისი გამიჯვნა პირდაპირი დენოტატიური მნიშვნელობისაგან. საბოლოოდ, თითოეულ ენობრივ ფორმას აქვს საკუთარი ემოციური შეფერილობა, რომელიც საერთოა მთელი ენობრივი კოლექტივისათვის, მაგრამ ის, თავის მხრივ, სახეცვლილია თვითოეული კომუნიკატორისთვის. ავტორის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ხშირად კონოტაციის ესა თუ ის ფორმა ნულს უტოლდება, თუკი კომუნიკატორს არა აქვს ინდივიდუალური ენობრივი გამოცდილება ან ამა თუ იმ კონტექსტისათვის შესაფერისი სოციალური სტატუსი. [იქვე, 161].

კონოტაციის ამგვარი ექსტრალინგვისტიკური განმარტებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ლინგვისტი ფიქრობს, რომ კონოტაცია გადის ლინგვისტიკის ჩარჩოებიდან და ინტეგრირდება სხვა მეცნიერებებში, მაგალითად, პრაგმატიკაში ან სემიოტიკაში.

ბრინკერი ლინგვისტიკური სემანტიკის ჩარჩოებში განმარტავს კონოტაციას და მიიჩნევს, რომ *Unter der «konnotativen Bedeutung» eines Wortes versteht man in der linguistischen Semantik den Komplex von Begleit- und Nebenvorstellungen wertender und emotionaler Art, der zusammen mit dem begrifflichen Inhalt (der sog. denotativen Bedeutung) die Gesamtbedeutung eines Wortes ausmacht.*“ [ბრინკერი, 1992:119].

ჰიელმსლევმა კონოტაციის სისტემა მოაქცია სემიოტიკური კვლევის ჩარჩოებში და კონოტაცია განიხილა როგორც ნიშანი, რომლის მიხედვითაც კომუნიკატორი არჩევს ერთ-ერთს მრავალ სტილთა და დიალექტთა შორის (სხვადასხვა სტილისტიკური ფორმები, სხვადასხვა შეფასებითი სტილის ფორმები, სხვადასხვა საშუალებები, სხვადასხვა ემოციური ტონი, სხვადასხვა კილოკავი, თქმა, პროფესიული ჟარგონი, სხვადასხვა ინდივიდუალური თავისებურებანი.) [ჰიელმსლევ. 1960: 369-370]. ამასთანავე, ავ-

ტორი ჩამოთვლილ კლასთა და ერთეულთა ინდივიდუალურ წევრებს, რომლებიც ინდივიდუალურ წევრთა კომბინაციით იქმნება, უწოდებს კონოტატორებს. [ჰიელმსლევ. 1960: 369-371].

XIX საუკუნის დასაწყისში ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ ენა ადამიანის გრძნობებითაა გამსჭვალული და მასთან გადაჯაჭვული. თანამედროვე ლინგვისტიკამ ისევ მიმართა ჰუმბოლდტის მოძღვრებას, შეისწავლოს ენა ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით და მასთან მჭიდრო კავშირში. [ჰუმბოლდტი. 1985]. აუცილებელია საზგასმით აღინიშნოს, რომ ლინგვისტიკის, როგორც იმ ტიპის მეცნიერების განვითარება, რომელიც მყისიერად აღწევს შემეცნების თეორიის განვითარების ზოგად ტენდენციებში, ეყრდნობა ჰუმანიტარულ ღირებულებებს. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ ლინგვისტიკაში ასე სწრაფად შემოიჭრა ანტროპოცენტრიზმი, რომელიც ენობრივი მექანიზმების შესწავლას უკავშირებს ადამიანს. ანტროპოცენტრიზმი, როგორც ენის შემსწავლელი მეცნიერების პრინციპი, განიმარტება როგორც ენობრივი მასალის კვლევა და გაანალიზება „ენაში ადამიანური ფაქტორის“ ასპექტის გათვალისწინებით, ენობრივი პიროვნების თეორიის პრიზმაში.

მიიღო რა დომინანტური მნიშვნელობა ლინგვისტიკურ კვლევებში, ანტროპოცენტრიზმმა განსაზღვრა პრობლემათა დასმისა და მათი გადაჭრის მეთოდების ახალი მოდელი ცოდნის ყველა სფეროში, მათ შორის ფილოლოგიაშიც. ანტროპოცენტრული მიდგომის გამოყენებამ გამოიწვია დისციპლინათაშორისი კვლევების აუცილებლობა, მათ შორის კოგნიტიური, კომუნიკაციური ფუნქციონალური და სხვა. XX საუკუნის 70-იან წლებში ლინგვისტიკაში მოხდა „თეორიული პარადიგმის შეცვლა“ – სტრუქტურული პარადიგმა შეიცვალა „კომუნიკაციური“ და „კოგნიტიური“ პარადიგმით. ლინგვისტთა ინტერესები ფოკუსირებულ იქნა „ადამიანზე ენაში“. აქედან გამომდინარე, ანტროპოცენ-

ტრიზმი გახდა თანამედროვე ლინგვისტიკის ერთერთი უმთავრესი პარამეტრი.

განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს გამოვლინდა კოგნიტიურ ლინგვისტიკაში, რომლისთვისაც რელევანტურია მნიშვნელობასა და ცოდნას შორის მიმართებები.

ნებისმიერ მნიშვნელობას საფუძვლად უდევს გამოცდილება, რომელიც ადამიანს ეძლევა სამყაროს შემეცნებისას და მისი შეგრძნებისას. სწორედ აღქმის თავისებურებებით განიმარტება ენობრივი ანთროპოცენტრიზმის მოვლენა.

დღეს ანთროპოცენტრიზმი როგორც მოძღვრება იმის შესახებ, რომ ადამიანი მსოფლმხედველობის ცენტრია, სულ უფრო იპყრობს და მყარად იკავებს წამყვანი პრინციპის პოზიციებს სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა სფეროში. ფილოლოგიასთან კავშირში ეს ტენდენცია გამოიხატება თანამედროვე მკვლევართა ინტერესების სფეროს მიმართებით ენის კონოტაციურად მარკირებული ლექსიკისადმი, სადაც ექსპრესიულობა, ემოციურობა, ევალუაცია, ენის შემადგენლობის მობილურობა, სოციალური კოდირება – თანამედროვე ემოციურად შეფერილი ლექსიკის ყველა ეს თვისება - მრავალი მკვლევარის ყურადღებას იპყრობს.

ამასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია ექსპრესიულ-ემოციონალურ-შეფასებითი საშუალებების სისტემის ლინგვისტიკური გააზრება. ვანდრიესი თვლის, რომ ლინგვისტის ფუნქციაა იკვლიოს მნიშვნელობისა და გამოხატვის ენობრივი მექანიზმები, მით უფრო, რომ გრძნობები მხოლოდ მაშინაა მნიშვნელოვანი ლინგვისტისათვის, როცა ის გამოხატულია ენობრივი საშუალებებით [ვანდრიესი. 1937: 136].

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ადამიანის ემოციებთან დაკავშირებული იმ მექანიზმების გამოვლენა, თუ რომელი მექანიზმები მონაწილეობენ კონოტაციის მოვლენაში. ამ ამოცანის გადაჭრა კავშირშია იმასთან, რომ კონოტაცია გაიგივე-

ბულია ასოციაციასთან, რომელიც ასახავს იმ „სახეობით წარმოდგენებს, რომლებიც უკავშირდება ენის მატარებლის შემეცნებაში ობიექტს“ და რომელიც აღნიშნულია განსაზღვრული ლექსებით. „კონოტაციები ... ასოცირდება რეალურ საგანთან არა პირდაპირ, უშუალოდ, არამედ მისი ენობრივი აღნიშვნის საშუალებით“ [აპრესიანი. 2004: 32]. ამასთანავე ლექსემის კონოტაციური მნიშვნელობა განიმარტება როგორც „არაარსებითი, მაგრამ მისით გამოხატული ცნებისათვის მყარი ნიშანთვისებები, რომლებიც ასახავენ ანუ გამოხატავენ სინამდვილის შესაბამისი საგნის ან ფაქტის მოცემულ ენობრივ კოლექტივში მიღებულ შეფასებას. [იქვე, 1995:159]. აქედან გამომდინარე, კონოტაციის ძირითადი ელემენტებია ექსპრესიულობა, ემოციურობა, შეფასებითობა, რომლებიც ინტეგრირებულია სიტყვის ასოციაციურ კავშირებში.

არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც კონოტაციური მნიშვნელობა არის ინფორმაციის მნიშვნელოვანი ტიპი, რომელიც სიტყვის პრაგმატიკას ეკუთვნის. ამ შემთხვევაში კონოტაცია მაშინ განხორციელდება, თუ სახეზეა სემანტიკური ხასიათის ასოციაცია ან თავად სემანტიკური ასოციაციები, რომლებიც ღირებულია სიტყვის სემანტიკისათვის.

ამდენად, სემანტიკაში კონოტაცია დამატებითი აზრობრივი სტრუქტურაა, რომელიც დენოტატის ძირითად მნიშვნელობას ახლავს თან და სიტყვის მნიშვნელობის სტილისტიკურ, ემოციურ და აფექტურ კომპონენტებს შეიცავს, რომელსაც კომუნიკატორი ასოციაციური და შეფასებითი ინტენციურობის საფუძველზე იყენებს და რომელიც ამა თუ იმ ცნებას – საგანსა თუ ხდომილებას სხვა კუთხით წარმოაჩენს.

შიპანი აღნიშნავს, რომ კონოტაციებმა, პირველ რიგში, უნდა დაამყარონ კომუნიკაციური კონტაქტი. ამას გარდა, იგი კონოტაციის ფუნქციად მიიჩნევს დამატებითი

ინფორმაციის გადაცემას კომუნიკანტის, კომუნიკაციის სოციალური პირობების, კომუნიკაციის განზრახვისა და მისი საგნის შესახებ. კომუნიკაციისას კონოტაციები აქტუალიზდება კონტექსტით. მნიშვნელოვანი ელემენტი კონოტაციისას ემოციის ხარისხია. იგი კონტაქტშია სიტყვის გამოყენების შემდეგ სფეროებთან: ემოციური პირობები, კომუნიკაციის სფერო, ფუნქცია, სოციალური ღირებულება, რეგიონალური და ტემპორალური კავშირი, კომუნიკაციური ქმედების მოდალობა და სიტყვის გამოყენება. კონოტაციები განსაზღვრავენ ტექსტის პროდუქციის კანონზომიერებებს. ისინი არა მხოლოდ განსაზღვრავენ ტექსტის მნიშვნელობასა და არსს, არამედ ლექსემის ადგილსაც ენის სისტემაში. [შიპანი. 1984:155-161].

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, თანამედროვე მეცნიერებები ანთროპოცენტრისტულია და მათ ცენტრში ადამიანი დგას. ადამიანი კი სოციალური არსებაა და ის გარკვეულ სოციუმში „მოღვაწეობს“. სწორედ ეს სოციალური გარემო განსაზღვრავს მისი მეტყველების სპეციფიკას და ხასიათს, შესაბამისად, იგივე ვრცელდება ისეთ ლინგვისტიკურ მოვლენაზე, როგორცაა კონოტაცია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იმავე სიტყვის კონოტაცია შეიძლება განსხვავებული იყოს კომუნიკატორის ასაკის, სოციალური სტატუსის, სქესისა და კულტურულ-ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით.

განსაკუთრებით საინტერესოა კულტურული კონოტაციის მოვლენა. კონოტაცია ყოველ კულტურაში სიტყვის აზრობრივ-ასოციაციური ინტერპრეტაციაა, რომელიც კულტურულ-ეროვნულ-ეთნიკურ სტერეოტიპებსა და პროტოტიპებს ეყრდნობა. ამ კონტექსტში კონოტაცია ერთგვარი განმასხვავებელი კულტურული ნიშანიცაა.

პირველად სოციოკულტურული კომპონენტი კონოტაციაში შემოიტანა ბლუმფილდმა, რომელმაც ერთმანეთისაგან გამიჯნა

წმინდა სემანტიკური კონოტაცია, რომელიც უშუალოდ შემეცნების სფეროს მიეკუთვნება და კონოტაცია, რომელსაც აქვს ემოციური ბაზისი. პირველი ჯგუფის კონოტაციაში ბლუმფილდს ესმოდა მეტყველების განსაზღვრული დონე, რომელიც განპირობებულია სოციალური, რეგიონალური და კულტურული ფაქტორებით, ამავე ჯგუფს იგი მიაკუთვნებდა ნასესხები სიტყვების კონოტაციებსაც. კონოტაციის ცნებაში ექსტრალინგვისტიკური ასპექტებისა და ფაქტორების ინტეგრირებამ ლინგვისტთა წრეში განაპირობა მათი მოტივაცია, მიაკუთვნონ კონოტაცია არა ლინგვისტიკის სფეროს, არამედ პრაგმატიკასა და სემიოტიკას. [ბლუმფილდი. 2002:156-164].

### დასკვნა

ამდენად, კონოტაციას, როგორც მრავალმხრივ, დიფუზურსა და მასშტაბურ ენობრივ მოვლენას, შეისწავლის არა ერთი რომელიმე კონკრეტული დისციპლინა, არამედ მისი კვლევა მისივე კომპლექსურობის გამო რამდენიმე დისციპლინის კვეთაზე ხორციელდება. გამომდინარე იქედან, რომ კონოტაციის ცნება საფუძვლად უდევს კომუნიკაციის კლიმატის, მისი ლანდშაფტის შექმნას და ეს კი ხელეწიფება მხოლოდ მეტყველ სუბიექტს, რომელიც გარკვეული სოციალური კლასისა და კონკრეტული კულტურის წარმომადგენელია, კონოტაცია უნდა ვიკვლიოთ ოკაზიონალურად, კომუნიკაციის პროცესის თანამდევი ფაქტორების გათვალისწინებით.

### ლიტერატურა

1. Bloomfield L. (1933): *Language*. New York: Henry Holt

2. Блумфилд Л. (2002): **Язык. 2-е изд-е, стереотип.** Едиториал УРСС. 608 с. М.
3. Brinker К. (1992): *Linguistische Textanalyse*. Berlin, S. 114, Anm. 89
4. Ельмслев Л. (1960): Прологомены к теории языка // Новое в лингвистике. Вып.1. М.
5. Гумбольдт В. (1985): Язык и философия культуры. Прогресс, 452 с. М.
6. Вандриес Ж. (1937): Язык. М.
7. Новый объяснительный словарь синонимов русского языка. / Под рук. Ю. Д. Апресяна. М.: Языки русской культуры. Вып. 1, 1997. Вып. 2, 2000. Вып. 3, 2003. Второе издание, исправленное и дополненное (в одном томе): М.: Языки русской культуры, 2004.
8. Апресян Ю.Д. (1995): Избранные труды. Том 1. Лексическая семантика (Синонимические средства языка). 470 с. М.
9. Schippan Т. (1984): *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. Leipzig: VEB Bibliographisches Institut

## Concept of Connotation in Anthropocentric and Socio-cultural Viewpoint

*Rusudan Tabukashvili*  
*Georgian Technical University*  
*Department of Liberal Sciences*  
*77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia*  
*Tel.: 5593 512 484*  
 E-mail: r.tabukashvili@gmail.com

### Abstract

As modern humanitarian investigations are becoming more complex, it becomes more difficult to indicate the boundaries between the fields whose prerogatives may become the subject of study. The interest of modern linguistic studies gets beyond language as a framework of structural system and widens its action area. Consequently, language as a

means of social interaction and intercultural communication has become an interest of social and cultural sciences. Accordingly any language phenomenon can be discussed envisaging many standpoints.

Connotation as a language phenomenon, it is diffusive and amorphous. Due to its great scope and scale and resulting from the elasticity of its operation, it hasn't got clear limits. Connotation as the basis of conveying the expressiveness of a speaking person, stimulator of the communication tonality, the guarantor of its coloring and evaluation, implies domination of a person and his/her social status and the pragmatic result caused by the above-mentioned domination in a certain socio-cultural environment. Consequently, the investigation of connotation in anthropocentric and socio-cultural viewpoint is considered to be a priority.

### Keywords:

connotation, usual, occasional, anthropocentrism, cultural connotation, social factors.

## Понятие коннотации в антропоцентрическом и социокультурном разрезе

*Табукашвили Русудан Михайловна*  
*Грузинский технический университет*  
*Департамент либеральных наук*  
*Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 593 512 484*  
 E-mail.: r.tabukashvili@gmail.com

### Резюме

Язык как средство социальной интеракции и культуры, как предпосылок социальных отношений и интеркультурной коммуникации, в первую очередь, попал в сфере интересов социальных и культурных наук, где значительным актантом является человек, его субъективизм. В

связи с этим, всякое явление, связанное с языком, можно рассматривать с разных точек зрения.

Коннотация, как языковое явление, является аморфной и диффузной. Из-за масштабности и эластичности её действия, она не имеет четких границ. Коннотация подразумевает доминирование субъекта и его социального статуса, а так же прагматический результат, вызванный этим доминированием в той или иной

социокультуре. Поэтому, приоритетным считаем рассмотреть коннотацию в антропоцентрической и социокультурной среде.

**Ключевые слова:**

Коннотация, узурпаторский, оппортунистический, антропоцентризм, культурная коннотация, социальные факторы.

## ექვნი იონესკოს შემოქმედების კომუნიკაციური ასპექტი

ექა თაფლაძე  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36. 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 599 728 945  
E-mail: tapladzeeka@yahoo.com

### რეზიუმე

იონესკოს ლინგვისტიკურ ინტერესს კომუნიკაცია, უფრო სწორად მისი შეფერხება წარმოადგენს. მის ადრეულ პიესებში ხშირია ენობრივ ელემენტებს შორის მიმართებებისა და სტრუქტურების რღვევა. დრამატურგი მიმართავს აღმნიშვნელების გადანაცვლებას. ხშირია lapsus linguae, რაც თავისთავად ერთი აღმნიშვნელის სხვა აღმნიშვნელით ჩანაცვლებას გულისხმობს. იონესკო ვოკაბულას ჩვეულ მნიშვნელობას უცვლის, რაც აღმნიშვნელებსა და აღსანიშნებს შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართებების ნაცვლად დიაგონალური მიმართებების დამყარებაში ვლინდება. დრამატურგი ამ საკომუნიკაციო ხერხს უპირატესად გამომსახველობით საშუალებად აქცევს.

### საკვანძო სიტყვები:

აბსურდი, „ლაფსუს ლინგვე“, აღსანიშნადმნიშვნელი, დიაგონალური მიმართება.

### შესავალი

ძნელია იპოვნო სფერო, რომელიც არ დაინტერესებულა ადამიანთაშორის ურთიერთობისა და კომუნიკაციის საკითხით. ეს აქტუალურია დღეს, XXI საუკუნეში, აქტუალური იყო გასულ ასწლეულშიც. განსაკუთრებულია ინტერესი ამ თემისადმი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდ-

ში. 50-იან წლებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად რამდენიმე დრამატურგი ქმნის პიესებს, რომელთა ცოცხალი ინტერესის სფერო სწორედ კომუნიკაცია და მისი მთავარი იარაღი – სამეტყველო ენა გამხდარა. სამუელ ბეკეტი, არტურ ადამოვი და ექვნი იონესკო უნებურად ლიტერატურული მიმართულების ფუძემდებლები ხდებიან. ამ მიმდინარეობას დღეს ახალი ან აბსურდის თეატრის სახელით ვიცნობთ. რატომაა კომუნიკაციის პრობლემა ახალ თეატრში? რა სიახლე შემოიტანა აბსურდმა ამ თვალსაზრისით ლინგვისტიკაში? რა დამოკიდებულება აქვს მას საერთოდ ენის, როგორც კომუნიკაციის წამყვანი ინსტრუმენტისადმი?

### ძირითადი ნაწილი

ლინგვისტიკები, სოსიურიდან მოყოლებული, მეტყველებას და ენას მისი კომუნიკაციური ფუნქციიდან გამომდინარე შეისწავლიან, ვინაიდან ეს მათი თვალთახედვით მთავარია. აბსურდის თეატრი საპირისპირო პროცესს წარმოგვიდგენს.

იონესკოს პიესებში ვხვდებით როგორც სინტაგმატური, ასევე პარადიგმატული ხასიათის მიმართებათა რღვევას. დრამატურგისათვის ერთ-ერთი სერიოზული სამიზნე სიტყვის სემანტიკური ასპექტია: კავშირი სიტყვის ფორმასა და მის მნიშვნელობას შორის. ეს მიმართება, პირველ რიგში, გულისხმობს ვერტიკალურ დამოკიდებულებას აღსანიშნსა (სოსიურის ტერმინოლოგიით-signifie) და აღმნიშვნელს (სოსიურის ტერმინოლოგიით- signifiant) შორის. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ჰორიზონტალური პლანი, სადაც ერთი მხრივ, განიხილება მიმართებები აღსანიშნებს შორის (შინაარსის პლანში) და მეორე მხრივ, მიმართე-

ბები შესაბამის აღმნიშვნელებს შორის (გამოხატულების პლანში).



პირველ რიგში, უმთავრესი საშუალება, რასაც დრამატურგი მიმართავს, აღმნიშვნელების გადანაცვლებაა. ხშირია lapsus linguae, რაც თავისთავად გულისხმობს ერთი აღმნიშვნელის სხვა აღმნიშვნელით შეცვლას. ამ ფენომენს ფროიდი შეუშეცნებელს უწოდებს, რითაც მოსაუბრე თავისდაუნებურად საკუთარ ფარულ აზრს ამჟღავნებს. ამასვე ემსახურება იონესკოსთან პერსონაჟების მეტყველება – გამოააშკარაოს ის, რისი გადმოცემაც ჩვეულ, დახვეწილ მეტყველებას უჭირს – გადმოსცეს ნამდვილი, შეფარული აზრი არაცნობიერიდან. იონესკოს დიალოგების თეატრში აღსანიშნისა და აღმნიშვნელის გადანაცვლება განსაკუთრებით ხშირია, საპირისპიროდ ტრადიციული თეატრისა, სადაც აღსანიშნი წინ უსწრებს აღმნიშვნელს. ამის საილუსტრაციოდ პიესების სათაურიც კი კმარა. სათაური, რომელსაც მკითხველის ინფორმირების, ყურადღების ფოკუსირების ფუნქცია აქვს, იონესკოსთან სხვაგვარად წარმოგვიდგება. „მელოტი მომდერალი ქალი“ სხვა არაფერია, თუ არა lapsus linguae, ცრუ აღმნიშვნელი, მსახიობის მიერ რეპეტიციაზე შემთხვევით წამოსროლილი ფრაზა, რომელსაც იონესკო ჩაეჭიდა და პიესის სათაურად აქცია. სათაურიდან გამომდინარე, მაყურებელი ელოდება მელოტი მომდერლის გამოჩენას. მას თეატრალური ტრადიცია ქვეცნობიერად კარნახობს, რომ ანტიკური ტრაგედიების მსგავსად, სათაურში დასახელებული პირი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი უნდა იყოს, სინამდვილეში კი იმედგაცრუებული რჩება.

აბსურდის თეატრში ზოგადად და კერძოდ, იონესკო სიტყვის მნიშვნელობის დონეზე ერევა. სიტყვაფორმა, რომელიც თავისთავად ორ პლანში მოიაზრება: ბგერითი ანუ მატერიალური მხარე და შინაარსი ანუ ცნება, აქ დარღვეულია. უცვლის რა იონესკო ვოკაბულას ჩვეულ მნიშვნელობას, ამ ხერხს უპი-

რატეს საკომუნიკაციო საშუალებად აქცევს. ამ მეთოდს დღესაც ხშირად მიმართავენ პოეზიაში, პოლიტიკაში და რეკლამირებისას.

დრამატურგი ენის ტერატოლოგიურ ფორმებს იყენებს. ტერატოლოგია, როგორც მეცნიერება თანდაყოლილი ნაკლის შესახებ, იონესკოსთან ვლინდება აღმნიშვნელებსა და აღსანიშნებს შორის დიაგონალურ მიმართებებში. დრამატურგი ხშირად პათოლოგიას მიმართავს და სიტყვებს შორის ლოგიკა ირღვევა. ასეთ შემთხვევებში აღსანიშნი ტოვებს შესაბამის აღმნიშვნელს და შეერწყმის სხვას (სხვა აღმნიშვნელს), რომელიც, თავის მხრივ, „მოშორდა“ თავის შესაფერის აღსანიშნს.

პათოლოგიაში ცნობილია, რომ „ნორმალური“ ჰორიზონტალური მიმართებანი ნიშნებს შორის შეიძლება დაირღვეს და მათ სანაცვლოდ, ვერტიკალურ მიმართებათა დაკარგვით, ჩამოყალიბდეს „დიაგონალური“ მიმართებანი.



აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის დიაგონალური მიმართება მყარდება, როდესაც დედა საცოლის წარდგენისას ზრდასრულ ვაჟს ასე მიმართავს:

„Mon chou, tu la vois, elle est à toi, ta petite mariée...“ [Ionesco. 2008:57].

ზრდასრული ვაჟი -- ბავშვი

Mon fils (Mon chou)

შემდგომი მაგალითი კიდევ უფრო ნათელი ილუსტრაციაა იონესკოს მიგნებისა. ჟაკი მოითხოვს, საცოლე მეტად უშნო იყოს. როგორც წესი, საცოლეს, როგორც აღმნიშ-

ვენელს, „ლამაზი“ უფრო შეესაბამება, ვიდრე უშნო. აქ კი ავტორი არღვევს აღმნიშვნელობებსა და აღსანიშნებს შორის ჰორიზონტალურ მიმართებას და კვლავ დიაგონალური მიმართების ხარჯზე ეფექტურ სურათს წარმოგვიდგენს.

ლამაზი უშნო

საცოლვე დედაბერი

ამავე მიზნით დრამატურგი ხშირად მიმართავს ანტიფრაზას, სადაც სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობით გამოყენება იგულისხმება. მაგ. „მას შესანიშნავი ძრავა აქვს“ (ავტოსალონი), – ამბობს აქტანტი, დრამატურგის მითითებით კი გაფუჭებული ძრავის ხმა ისმის. დრამატურგი აღმნიშვნელს სხვა ცრუ აღმნიშვნელით ჩაანაცვლებს. „მე მხიარული ბუნება მაქვს“ [Ionesco. 2008:63] – ამბობს სხვა პიესაში პერსონაჟი. დრამატურგი კი დიდასკალით მიუთითებს, რომ პერსონაჟმა ეს სიტყვები სამგლოვიარო ტონით უნდა წარმოთქვას. ეს ფრაზა, თავისთავად ტონალობის დონეზე დისოციაციასაც გულისხმობს. აქ იონესკო ტონალობას იყენებს, რათა აღმნიშვნელს განსხვავებული ღირებულება მიანიჭოს. ამ შემთხვევაში ნიშანი უცვლელია, მას სხვა ღირებულება აქვს მინიჭებული.

„ჩვენს ქალიშვილის ბრალი არ არის, ჩვენი ქალიშვილის ბრალი არ არის. ის უშვილო იმიტომ არ არის, რომ დედისერთაა.“ [Ionesco. 2008:87].

აქ იონესკოს ენობრივი რეცეპტის უმთავრესი კანონი იქნეს თავს: ფორმა განდევნის შინაარსს. ზემომოყვანილი მაგალითი სხვა არაფერია, თუ არა ენობრივი კოშმარი, რომელსაც ეფექტურად იყენებს იონესკო თავის დრამატურგიაში.

დრამატურგი მნიშვნელობის მქონე ერთეულსა და მის დენოტატს შორის კავშირს არღვევს და სხვა დენოტატით ჩაანაცვლებს. დენოტატი შეიძლება ოდნავ სახეცვლილი იყოს, როგორცაა, მაგალითად: “Oh, père Indigent!” [Ionesco. 2008:46] – მიმართავს ქალ-

იშვილი მამას. რეპლიკაში სიტყვის indulgent (მომთმენი, მიმტყვებელი) ნაცვლად, რაც სრულიად ბუნებრივი იყო, დრამატურგი სემანტიკურად სხვა აღსანიშნს – Indigent-ს (ღარიბი, ღატაკი) იყენებს. ეს ფონიკური შეცდომა ხაზს უსვამს მამის გონებრივ სიღარიბეს. ამ საკომუნიკაციო ხერხით ქალიშვილი მამას სულელს უწოდებს.

## დასკვნა

შეცდომა, დამახინჯება შეტყობინების გადაცემისას, ე. წ. ლინგვისტიკური ხმაური ხშირია იონესკოს ადრეულ პიესებში. იონესკო ამ ტიპის ენობრივ ანომალიებს წესის სახეს აძლევს და იგი იონესკოსეული საკომუნიკაციო მოდელის უმთავრეს ფორმულას წარმოადგენს. ამასთან, ამ ხერხის სისტემატიზირებით იონესკოს ენობრივი ექსპერიმენტი მკითხველისათვის თანდათან გასაგები და საბოლოოდ „დეკოდირებადი“ ხდება.

## ლიტერატურა

1. Bergson H. (1995): Le rire. Essai sur la signification du comique. Paris
2. Fontanier P. (1968): Les Figures du discours, in-8. Flammarion. Paris
3. Ionesco E. (1990): Théâtre complet. Gallimard. Paris
4. Ionesco E. (1990): Notes et Contre-Notes. Idées. Gallimard. Paris
5. Ionesco E. (2008): Jaques ou la Soumission/ L'avenir est dans les oeufs. Gallimard. Paris
6. Jacquart E. (2002): Le théâtre de dérision, Gallimard. Paris
7. Jakobson R. Waugh L. (1979): The sound of language. Bloomington
8. Pruner M. (2003): Les Theatres de l'absurde. Paris
9. არისტოტელე (2013): პოეტიკა. პეგა. თბილისი



10. გამყრელიძე თ. (2003): თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი
11. იონესკო ე. (2006): მელოტი მომდერა-ლი ქალი, გაკვეთილი, სკამები. თბილისი
12. ყარაღაშვილი რ. (1977): წიგნი და მკითხველი. განათლება. თბილისი
13. გამყრელიძე თ. ენა და ენობრივი ნი-შანი. science.org.ge
14. Dictionnaire Littré-littre. Reverse.net
15. Dictionnaire Le Robert-<https://www.lerobert.com>

## Коммуникационный аспект творчества Эжена Ионеско

*Тапладзе Эка Альбертовна*  
*Тбилисский государственный университет*  
*Факультет гуманитарных наук*  
*Пр. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 599 728 945*  
 E-mail: [tapladzeeka@yahoo.com](mailto:tapladzeeka@yahoo.com)

### Резюме

Лингвистическим интересом Ионеско является коммуникация, точнее её препятствия. В его ранних пьесах часто встречаются нарушения обращений и структур между языковыми элементами. Драматург использует перемещение означающих. Часто встречается lapsus linguae, что, в свою очередь, подразумевает замену одного означающего другим означающим. Ионеско меняет привычное значение вокабулы, что проявляется в установлении диагональных отношений вместо горизонтальных и вертикальных отношений между означающими и означаемыми. Данный коммуникационный способ драматург превращает в приоритетное выразительное средство.

### Ключевые слова:

Абсурд, ляпус лингве, означаемое-означающее, диагональное отношение.

## Communicative Aspect in the Works of Eugène Ionesco

*Eka Tapladze*  
*Tbilisi State University*  
*Humanitarian science faculty*  
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*  
*Tel.: 599 728 945*  
 E-mail: [tapladzeeka@yahoo.com](mailto:tapladzeeka@yahoo.com)

### Abstract

The linguistic interest of Ionesco is communication, to be more exact, hindering of communication. In his early plays breaking of structures and relationships between language elements is rather frequent. The playwright uses the transferring of a denotation. Lapsus linguae, which means transferring of one denotation with the other is frequent. Ionesco changes the traditional definition of a vocabulary demonstrating it by diagonal relationship. This communicative technique is made a dominant expressive device by the playwright.

### Keywords:

absurd, lapsus linguae, denotation, diagonal relationship

## ლექსიკის ტიპოლოგია სიძნელეთა წარმოქმნის წყაროების მიხედვით

მანანა ივანისელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო  
ტელ.: 551 118 489  
E-mail: mivaniseli@gmail.com

### რეზიუმე

სტატია განიხილავს სირთულეთა ტიპებს, რომლებსაც სტუდენტები შეიძლება წააწყდნენ ლექსიკის შესწავლისას. ყოველ სიტყვას გააჩნია მნიშვნელობათა გარკვეული მოცულობა, ფორმა და მნიშვნელობა. სიტყვის ფორმას წარმოადგენს მისი ფონეტიკა და სფელინგი, მისი სტრუქტურა და გრამატიკული ფორმა. ყოველი ენის ლექსიკას გააჩნია სირთულეები, მაგალითად, ინგლისური ენისათვის დამახასიათებელია პოლისემია და ომონიმია.

სტატიაში შევეცადეთ დაგვეყო ინგლისური ენის ლექსიკა ჯგუფებად, რომლებსაც შეუძლიათ ერთნაირი სირთულეები შეუქმნან სტუდენტებს და რომლებსაც სწავლის შესაფერისი მეთოდები ესაჭიროებათ.

არსებობს სირთულეები, რომლებიც დამახასიათებელია გარკვეული სიტყვებისათვის და სირთულეები, რომლებიც გამოწვეულია მშობლიური ენის ინტერფერენციით. ინტერფერენცია არის სერიოზული პრობლემა და ხშირად შესაძლოა მიგვიყვანოს არაადეკვატურ თარგმანამდე.

### საკვანძო სიტყვები:

ლექსიკა, ტიპი, სირთულე, პოლისემია, სტრუქტურა.

### შესავალი

უცხო ენაზე სიტყვათა წარმოქმნა და დამწერლობა უცხოა სტუდენტებისათვის

და ამიტომაც მათი ათვისება საკმაოდ დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

სიტყვა თავისთავად მეტად რთული და მრავალფეროვანი მოვლენაა. ყოველ სიტყვას აქვს მნიშვნელობათა გარკვეული მოცულობა, ფორმა და გამოყენება. სიტყვის ფორმაში იგულისხმება მისი ფონეტიკური და ორთოგრაფიული მხარე, მისი სტრუქტურა და გრამატიკული ფორმა. ყოველი შესასწავლი ენის ლექსიკას ისევე, როგორც მთლიან ენობრივ მასალას, მისთვის დამახასიათებელი თვისებები გააჩნია. ინგლისური ენის ლექსიკისათვის, მაგალითად, დამახასიათებელია პოლისემია და ომონიმია.

### ძირითადი ნაწილი

დავუშვათ, რომ პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, სტუდენტებმა უნდა შეითვისონ 1200 სიტყვა და ფრაზეოლოგიური შენაერთი. სიტყვათა ამ მოცულობის რეალურად ათვისების გასაადვილებლად აუცილებელია მოსწავლეთა ლექსიკური მინიმუმის შიგნით გამოიყოს სიტყვების ის ჯგუფები, რომელთა ათვისებაც მსგავს სიძნელეებთანაა დაკავშირებული და რომელთათვისაც საჭირო იქნება სწავლების ერთიანი სისტემის დამუშავება. ლექსიკის სიძნელეთა დასადგენად ამოსავლად სიტყვის ფორმას და მის მნიშვნელობას მიიჩნევენ.

რ. ლადოს აზრით, მაგალითად, ფორმითა და შინაარსით მსგავსი უცხოური სიტყვები იოლ სიტყვათა ჯგუფს მიეკუთვნებიან; ფორმით მსგავსი და შინაარსით განსხვავებულები ძნელი სიტყვებია; ხოლო შინაარსით მსგავსნი და ფორმით განსხვავებულები წარმოადგენენ ნორმას.

ზემოთ აღნიშნული სამივე ასპექტიდან (ფორმა, მნიშვნელობა, გამოყენება) თითო-

ეულს შეუძლია წარმოქმნას სირთულეები.

ზოგიერთი სიტყვა (daughter, busy, woman) ფორმით რთულია, გამოსაყენებლად კი ადვილი; სხვა სიტყვები ფორმით არ ქმნიან სირთულეს (enter, get, happen), გამოყენებაში კი მთელ რიგ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება მოვახდინოთ სიტყვების კლასიფიკაცია იმ სირთულეების მიხედვით, რომლებსაც ენის შემსწავლელები ხვდებიან სწავლების პროცესში.

არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ლექსიკის მეთოდოლოგიური ტიპოლოგიის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სიტყვათა მეტყველებაში გამოყენების საკითხთან დაკავშირებული ისეთი სიძნელეები, როგორიცაა მისი შეხამებულობა და ფუნქციონირება მეტყველებაში. მაგალითად, ჩ. რიზი ლექსიკის ფუნქციონირების პოზიციიდან სიტყვათა ოთხ ჯგუფს გამოყოფს. ესენია: გრამატიკულ სტრუქტურათა ურთიერთობის გამომხატველი დამხმარე სიტყვები; შემცველი სიტყვები; შინაარსის მქონე სიტყვები. ყველაზე რთულ სიტყვებად ფრიზი მეორე ჯგუფის სიტყვებს მიიჩნევს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სიტყვები სიძნელის მიხედვით სამ კლასად უნდა დაიყოს: აბსტრაქტულ, კონკრეტულ და სტრუქტურულ სიტყვებად.

სიტყვები, რომლებიც კონკრეტულ საგნებს (book, street, sky), მოქმედებებს (walk, dance, read) და თვისებებს (long, big, good) გამოხატავენ, სასწავლად უფრო ადვილია, ვიდრე აბსტრაქტული ცნებების გამომხატველი სიტყვები (world, home, honest).

სტრუქტურული სიტყვები განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნიან იმ მოსწავლეთათვის, რომელთა ენაც სინთეზურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება.

სიტყვათა ტიპოლოგიის დამუშავებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სიტყვათა ათვისებასთან დაკავშირებული სიძნელეები,

რომლებიც განპირობებულია თვითონ სიტყვათა თავისებურებებით და დედა ენის შესასწავლი ენის ლექსიკის უარყოფითი გავლენით, რასაც ინტერფერენცია ეწოდება.

ე.ი. მეთოდური ტიპოლოგიის დასადგენად საჭიროა გამოვლინდეს: 1) ცალკეული სიტყვებისათვის დამახასიათებელი სირთულეები; და 2) ინტერფერენციის შედეგად გაჩენილი სირთულეები.

რის საფუძველზე ხდება სიტყვის ფორმის მიხედვით განსაზღვრა-გამოყოფა?

1. მოცემული სიტყვის ფორმის ცვალებადობა-უცვლელობის საფუძველზე. ფორმაცვალებადი სიტყვები უფრო ძნელი დასამახსოვრებელია, ვიდრე ფორმაუცვლელი;

2. სიტყვის მარცვალთა რაოდენობის საფუძველზე;

3. ზუსტად გამოხატავს თუ არა მოცემული სიტყვის გრაფიკული მხარე მის ბგერით ფორმას;

4. სიტყვათა სტრუქტურული სხვაობის მიხედვით – ამორფული სიტყვები და ნაწარმოები სიტყვები.

ათვისების მიხედვით სიტყვები იყოფა აქტიურ და პასიურ ასათვისებელ სიტყვებად. თითოეულ ამ ჯგუფს ახასიათებს ათვისების საკუთარი სირთულეები.

ფორმაცვალებადი სიტყვები ითვლება უფრო ძნელ სიტყვებად აქტიური ლექსიკის ათვისებაზე მუშაობის პროცესში.

პასიური ლექსიკის ათვისებაზე მუშაობისას სიტყვის ფორმის დამახსოვრებასთან დაკავშირებული სირთულე არ იხსნება, მაგრამ სიტყვის ფორმაზე ყურადღების გამახვილება აადვილებს მის გამოცნობას და გაგებას კონტექსტში.

ერთმარცვლიანი სიტყვები სირთულეს სწორედ პასიურ ლექსიკაზე მუშაობისას ქმნიან, რადგან მათ ფორმაზე ყურადღების გამახვილება თითქმის არ ხდება. პასიურ ლექსიკაში შემავალი მრავალმარცვლიანი სიტყვები კი შედარებით რთულია ასათვისე-

ბლად, რადგანაც ამგვარ სიტყვებში არის მათი ფორმის ანალიზის საშუალება. აქტიურ ლექსიკაზე მუშაობისას არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენმარცვლიანია სიტყვა.

მნიშვნელობის მიხედვით სირთულეთა დასადგენად შემდეგ კრიტერიუმებს გამოყოფენ:

1. სიტყვების მრავალმნიშვნელობა;
2. სიტყვების ძირითადი და დამატებითი ანუ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობა;
3. სიტყვის დამოუკიდებელი ან დამხმარე სიტყვის ფუნქციით გამოყენების შესაძლებლობა;
4. მისი გრამატიკული შეზღუდულობის ხარისხი (მაგალითად, არსებითი სახელი უფრო შეზღუდულია გრამატიკულად, ვიდრე ზედსართავი სახელი);
5. სიტყვის მეტყველებაში თავისუფლად გამოყენების უნარი.

ლექსიკის ტიპოლოგიის ახსნისადმი სხვადასხვა მიდგომები არსებობს. შექმნილია ლექსიკის მთელი რიგი პრინციპები. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია ისინი, რომლებიც გამომდინარეობენ სწავლების მიზნებისა და სიტყვის შეთვისების სირთულისაგან. იმ სირთულეებიდან, რომლებიც განაპირობებენ სიტყვათა აქტიურ ათვისებას, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1. მშობლიური და უცხოური ენების სიტყვების მნიშვნელობათა მოცულობების დამთხვევა ან არ დამთხვევა. ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობათა მოცულობა არ ემთხვევა, წარმოადგენენ აქტიური ათვისებისათვის უფრო დიდ სირთულეს, ვიდრე ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობების მოცულობებიც ემთხვევა.
2. სიტყვის თავისუფლების ანუ სხვა სიტყვებზე დამოკიდებულების ხარისხი: თავისუფალი სიტყვაშეთანხმებები, ფრაზეოლოგიზმები, იდიომები. სიტყვათა თავისუფალი შეთანხმებები უცხოურ ენაში ხშირად არ

ემთხვევა მათ შესატყვისობებს მშობლიურ ენაში და კომბინაციურად უფრო მრავალგვარია, ამიტომ სიტყვაშეთანხმების ეს ტიპი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე რთულია.

მყარი ანუ ფრაზეოლოგიური სიტყვაშეთანხმებები, რომელთა კომპონენტებიც არ იცვლება, არამედ გამოიყენება ყოველთვის „მზა სახით“, ქმნიან სიძნელეებს იმდენად, რამდენადაც საჭიროა მათი დამახსოვრება როგორც ერთი მთლიანის, უცვლელი სახით გარკვეულ კონტექსტში.

3. სიტყვის სტრუქტურის ხასიათი: მარტივი, რთული და შედგენილი სიტყვები, როგორც წესი, უფრო ადვილად ასათვისებელია, ვიდრე რთული და შედგენილი.

4. სიტყვის მნიშვნელობის კონკრეტულობა და აბსტრაქტულობა. კონკრეტული სიტყვების ათვისება უფრო ადვილია, ვიდრე აბსტრაქტულის.

უცხოური ენების დაუფლების პროცესში ენის შემსწავლელი განიცდის როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური ჩვევების ზეგავლენას. იმისათვის, რომ გავიგოთ ამ ზეგავლენის ხასიათი, საჭიროა შევჩერდეთ სიტყვაწარმოებისა და სიტყვათგამოყენების თავისებურებებზე.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ სიტყვათგამოყენების საკითხი. უცხოურ ენაზე მეტყველების ლექსიკური სისწორე, პირველ რიგში, გამოიხატება სწორ სიტყვათგამოყენებაში, ე.ი. სიტყვათა შეთანხმებები შესასწავლ ენაში თავიანთი ნორმებით ხშირად განსხვავდება ეკვივალენტებისაგან მშობლიურ ენაში. ეს შეუსაბამობა გამოწვეულია ორი ენის ლექსიკური სისტემის განსხვავებით, როგორც ცნებასა და სიტყვის მნიშვნელობას შორის განსხვავების გამოვლინება.

ცნება აზროვნების ფსიქოლოგიური კატეგორიაა და გააჩნია „არაენობრივი“, „არარაციონალური“ ხასიათი. მნიშვნელობა ლინგვისტიკური კატეგორიაა და ამიტომ

მას ნაციონალური გამოსახულება აქვს. მნიშვნელობას წარმოშობს ენის სისტემა. ის ყოველ ენაში იძენს თავისებურ, განუმეორებელ ხასიათს. ცნება და მნიშვნელობა ქმნიან დიალექტიკურ ერთიანობას. მნიშვნელობა გამოხატავს რაიმე ცნებას მხოლოდ ნაწილობრივ. ამიტომ ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ენებში სხვადასხვა სიტყვებით არის აღნიშნული, ხოლო ერთიდაიგივე აღმნიშვნელი სხვადასხვა ენის სიტყვებში არ ემთხვევა ერთმანეთს მნიშვნელობათა მოცულობით. ამაში დავრწმუნდებით, თუ ავიღებთ ნებისმიერ შესაბამის სიტყვათა წყვილს ორენოვან ლექსიკონში.

ლინგვისტიკურ და მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში მშობლიურ და უცხოურ ენათა სემანტიკური სტრუქტურის თანხედომის ან განსხვავების მიხედვით არჩევენ ლექსიკის შემდეგ ჯგუფებს:

1) ლექსიკური შესატყვისობები, რომელთა მნიშვნელობებიც მთლიანად შეესაბამება ერთმანეთს. ასეთი შესატყვისობების რაოდენობა ძალიან ცოტაა ორ ენაში;

2) ლექსიკური წყვილები, რომლებშიც ემთხვევა ძირითადი მნიშვნელობები და დამატებითი მნიშვნელობების ნაწილი;

3) სიტყვები, რომლებშიც ძირითადი მნიშვნელობები არ ემთხვევა, მაგრამ ემთხვევა დამატებითი მნიშვნელობები.

მშობლიური და უცხოური ენების ლექსიკურ სისტემათა შორის რთულ დამოკიდებულებათა დამადასტურებელი ეს ობიექტური ფაქტორები შემეცნებაში, აზროვნებასა და მეტყველებაში წარმოშობენ სხვადასხვა სახის ურთიერთქმედებებს, რომლებიც, ლინგვისტიკურ და განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განსაზღვრული არიან ან როგორც ენათშორისი ლექსიკური ინტერფერენცია, ან გადატანა, რაც დამოკიდებულია იმაზე, დადებითია თუ უარყოფითი მშობლიური ენის, როგორც ძლიერი ლექსიკური სისტემის გავლენა ფორმირების პროცესში მყოფ უცხოური ენის ლექსიკურ სისტემაზე.

უცხოურ ენაზე მეტყველების ლექსიკური სისწორე დამოკიდებულია ლექსიკური ჩვევების ჩამოყალიბების დონეზე, ანუ ცნებასა და უცხო სიტყვებს შორის კავშირის განმტკიცებაზე. ამიტომ სიტყვის გამოყენების გადამწყვეტი ფაქტორია იმ კავშირების სიმტკიცე, რომლებზედაც იგება ენის ცოდნა.

როგორც ექსპერიმენტების მონაცემები ადასტურებს, მშობლიური ენის ინტერფერენციული ზეგავლენა გარდამავალია, ვინაიდან მშობლიური ენა გვევლინება საყრდენად, მაგრამ ეს შეიძლება შევასუსტოთ ან გადავლახოთ ორივე ენაში სიტყვათა გამოყენების მსგავსებისა და განსხვავების გამომხატველი ნიშნების ჩვენებით.

### დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, ინტერფერენციის შედეგად გამოწვეული სირთულეების შიგნით უნდა გავარჩიოთ მშობლიური ენის ინტერფერენცია და უცხოური ენის ინტერფერენცია. ქართული ენის სინამდვილეში ასევე შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში ინტერფერენცია რუსული ენის გავლენითაც.

ინტერფერენცია უცხოური ენის გავლენით შეინიშნება მაშინ, როდესაც სიტყვები ფორმით გვანან ერთმანეთს, მნიშვნელობების თვალსაზრისით კი სირთულეებს ქმნიან სინონიმები და ანტონიმები.

ფორმის თვალსაზრისით ინტერფერენციას დედაენის გავლენით იწვევს გრამატიკული ფორმის წარმოების საშუალებათა მსგავსება თუ განსხვავება, ხოლო შინაარსის თვალსაზრისით კი სიტყვის მნიშვნელობათა დამთხვევა ან არ დამთხვევა.

მშობლიური ენის ჩვევათა ინტერფერენციის წინააღმდეგ ბრძოლის წამყვან ფაქტორად გვევლინება პრაქტიკა, რომლის პროცესშიც ყალიბდება უცხოურ ენაზე მე-

ტყველების მტკიცე ჩვევები. მათ უპირის-პირდება მშობლიური ენის ინტერფერენცია. სიტყვაწარმოქმნა არის ლექსიკური ჩვევების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. მან აგრეთვე შესაძლოა განიცადოს მშობლიური ენის ინტერფერენცია, რაც აუცილედ ბლად უნდა მივიღოთ მხედველობაში.

### ლიტერატურა

1. მ. კრავეიშვილი. “ინგლისური ენის სწავლების მეთოდთა”. განათლება. თბილისი
2. Вухвингер В. А. (1972): Вопросы обучения лексике. Иностранные языки в школе. №6

## The Typology of Vocabulary According to the Sources of Difficulties

*Manana Ivaniseli*  
*Georgian Technical University*  
*Department of Liberal Sciences*  
*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*  
*Tel.: 551 118 489*  
E-mail [mivaniseli@gmail.com](mailto:mivaniseli@gmail.com)

### Abstract

This article considers the forms of difficulties that vocabulary may present for students. Each word has a certain volume of meanings, form and use. The word form means its phonetics and spelling, its structure and grammatical form. The vocabulary of each language has its difficulties. English is characterized by polysemy and homonymy.

This article is an attempt to split English vocabulary into groups which make similar difficulties for students and need similar methods for learning. There are difficulties characteristic to certain words and difficulties which are possible

through the interference of a native language. Interference becomes a serious problem and may lead to an inadequate translation.

### Keywords:

lexic, type, structure, difficulties, polysemy.

## Типология лексики по источникам сложностей

*Иванисели Манана Шотаевна*  
*Грузинский технический университет*  
*Департамент либеральных наук*  
*Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 551 118 489*  
E-mail [mivaniseli@gmail.com](mailto:mivaniseli@gmail.com)

### Резюме

Статья рассматривает типы сложностей, с которыми студенты могут столкнуться изучая лексику. Каждое слово имеет определенный объем значений, форму и использование. Форма слова-это фонетика и спеллинг, ее структура и грамматическая форма. Лексика каждого языка имеет определенные трудности, например, для английского языка характерна полисемия и омонимия.

В статье были попытки разделить английскую лексику на группы, которые одинаково трудны для студентов и нужны одинаковые методы для запоминания. Существуют сложности, характерные для определенных слов и сложности, которые вызваны интерференцией родного языка. Интерференция является серьезной проблемой и может привести к неадекватному переводу.

### Ключевые слова:

лексика, тип, структура, трудности, полисемия.

## თამაში როგორც უცხოური ენის სწავლების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება

მარინე კობეშავიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 591 222 007  
E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

ნინო აფხაიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 593 177 999  
E-mail: n.apkhaidze@yahoo.com

### რეზიუმე

თამაში სწავლების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე. ბოლო ხანებში უამრავ დიდაქტიკურ ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება უცხოური ენების სწავლების დროს სწორედ თამაშის ტექნიკაზე. სტატია მიზნად ისახავს გამოყოს თამაში როგორც უცხოური ენის სწავლების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება, რომელიც შეიძლება სამ ძირითად ნაწილად დავყოთ: თამაში, დიდაქტიკური მასალა და ტექნიკური ჯგუფი. მეორე მხრივ, ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თამაშისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება უცხოური ენის სწავლებისთვისა და მეტი შედეგიანობისათვის.

### საკვანძო სიტყვები:

სწავლა, სწავლება, თამაში, მეთოდი, კრეატიულობა, სტრატეგია, თამაშზე დაფუძნებული სწავლება, მოტივაცია.

### შესავალი

მეტყველება აზრების ფორმირებისა და გამოხატვის საშუალებაა. კომუნიკაცია ურთიერთობის აქტია, რომელიც ორ ან რამდენიმე ინდივიდს შორის ვითარდება და, რა თქმა უნდა, ეფუძნება ურთიერთგაგებას, ინფორმაციის მიწოდებასა და გაზიარებას.

უცხოური ენები აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურასა და ისტორიასთან ერთობლიობაში.

უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგია მუდმივად იცვლებოდა, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული. ეს პროცესი უფრო მეტად დაჩქარდა ბოლო წლებში სწავლების მეთოდის სხვადასხვა შემოთავაზებებთან ერთად, რომლებიც ძირითადად კომუნიკაციურ მიდგომას გულისხმობენ.

ამ წლების განმავლობაში ახალი თეორიების განვითარებამ (ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა და სხვ.) ცხადყო მათი შესაძლო გამოყენება, პრაქტიკული ეფექტურობა და თეორიული მიდგომა, როდესაც საქმე ეხება სწავლებას და იმ რეალურ პრობლემებს, რომლებიც ჩნდება უცხოური ენის სწავლების დროს აუდიტორიაში.

უცხოური ენის სწავლების შემთხვევაში დიდი ხნის განმავლობაში (და ახლაც მათ შორის), მიმართავდნენ სწავლების ტრადიციულ მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნებოდა გრამატიკის სწავლებასა და თარგმანს; ამასთანავე არსებობდა კიდევ ერთი დამოკიდებულება სწავლების მეთოდოლოგიისადმი სხვა ენებში, როგორც იყო სტრუქტურული მეთოდი, ასევე კომუნიკაციური მიდგომა, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის სწავლების შემთხვევაში.

გასული საუკუნის შუა წლებში დაიწყო მსჯელობა სწორედ იმის შესახებ, თუ რამდენ

ნად ეფექტურია ენის სწავლებისას მხოლოდ გრამატიკისა და თარგმანის ტრადიციული მეთოდების გამოყენება, რომელიც დღესაც აქტუალურია, თუმცა ნაწილობრივ. ეს მეთოდი, რომელიც კლასიკური ენების სწავლებას ეფუძნება, ყურადღებას ამახვილებს წერილობით ენაზე, განსაკუთრებით კი ლიტერატურაზე, სადაც ზეპირი მეტყველება არ არის მიღებული მხედველობაში. მეტაენის შესწავლა კი ხდება გრამატიკის ექსპლიციტური წესების სწავლებისა და დამახსოვრების შედეგად, ორგანიზებულად და სისტემატურად. ხდება ტექსტების კომენტარი, თარგმნა და გრამატიკული ანალიზი, ლექსიკის დაზეპირება და შემდეგ ეს ცოდნა გამოიყენება თარგმნის დროს, იქნება ეს ზეპირი თუ წერილობითი. ამისათვის სულაც არ არის საჭირო გაკვეთილზე ზეპირმეტყველებაში გამოყენებულ იქნას მეტაენა, რადგან გარკვეული სამეტყველო სიტუაციების ახსნა-განმარტება მოსწავლისთვის მუდმივად მის მშობლიურ ენაზე ხდება.

ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურს უცხოური ენის შესწავლა, გარკვეული მიზანი ამოძრავებს. ვიდაცას სჭირდება საბაზისო ცოდნის მიღება, ზოგს კი ლექსიკონის დახმარებით კითხვა და თარგმნა.

სხვადასხვა მიზნების მისაღწევად კი განსხვავებული მეთოდების გამოყენებაა საჭირო. ენის ხანგრძლივი სწავლება, როგორც წესი, გათვლილია ისეთ ადამიანებზე, რომელთაც უნდათ ენა სრულყოფილად შეისწავლონ. დღესდღეობით, ყველაზე ეფექტურ მეთოდად უცხოური ენის სწავლებისას მიჩნეულია სწავლების კომუნიკაციური მეთოდი. ეს მეთოდი პირველად 50 წლის წინ იყო გამოყენებული და საკმაოდ კარგი შედეგებიც აჩვენა. აღნიშნულ მეთოდს ფართოდ იყენებენ მსოფლიოს უამრავ ენობრივ სკოლებში.

თუმცა ეს არ არის ერთადერთი ეფექტური მეთოდი ენის სწავლებისას. დღეს, უკვე, ტექნიკის განვითარების ერაში, უამრავი ახალი

და ეფექტური საშუალება გაჩნდა უცხოური ენის შესწავლის გასამარტივებლად, მათ შორისაა, რა თქმა უნდა, ინტერნეტი. კომპიუტერის გამოყენების სხვა ასპექტებიდან, ჩვენ შემთხვევაში კომპიუტერი და ინტერნეტი წარმოადგენს შემეცნებით საშუალებას. ბავშვებსა და დიდებსაც შეუძლიათ გამოიყენონ მულტიმედია როგორც სწავლების ეფექტური საშუალება. ეს არის როგორც მარტივი პროგრამები, რომელთაც შეუძლიათ ბავშვებს ფერების აღქმა შეასწავლონ, ასევე უფრო მაღალი ინტელექტუალური პროგრამებიც, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეისწავლიან უცხოურ ენას, ან თუნდაც მათემატიკურ კანონებს. ამავდროულად ერთ კომპაქტდისკზე შესაძლებელია დაეციოს ენციკლოპედიის რამდენიმე ტომი. ტექსტის გარდა კომპიუტერს და მულტიმედიას შეუძლია მუსიკის ჩართვა, მულტიგლემების თუ რომელიმე სხვა გადაცემის მიწოდება. სხვადასხვა მულტიმედიაური ხერხები საშუალებას აძლევს პედაგოგს ორგანიზება გაუკეთოს გაკვეთილს და სტუდენტების ჯგუფურ მუშობას შეუწყოს ხელი. გარდა ამისა, უცხო ენის კომპიუტერით სწავლებას გააჩნია რამდენიმე უპირატესობა: სტუდენტები დიდი ინტერესით ეკიდებიან კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, რაც თავისთავად ზრდის მათში მოტივაციას ენის შესწავლისადმი; ინდივიდუალური მუშაობა და სწავლა კომპიუტერის დახმარებით აძლევს სტუდენტს საშუალებას უფრო ეფექტურად შეასრულოს მიცემული დავალება. ახალი მულტიმედიაური საშუალებები ძალიან კარგ ეფექტს იძლევა უცხოური ენის სწავლების დროს, თუკი ეს საშუალება აუცილებლად ერთობლივად გამოიყენება სხვა წამყვან მეთოდებთან ერთად.

### **ძირითადი ნაწილი**

დღესდღეობით, როცა გაჩნდა უცხოური ენის სწავლების აუცილებლობა, მისი შეს-



წავლის სურვილი უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდა. შესაბამისად, სწავლის პროცესი უნდა გახდეს სწრაფი და ნაყოფიერი, რაც თავის მხრივ, გამოირიცხავს გრამატიკის სიღრმისეულ შესწავლას. ადამიანთა ამ ჯგუფს სჭირდება უცხოური ენის სწავლა არა იმისათვის, რომ ლიტერატურა წაიკითხონ, არამედ იმისათვის, რომ დაეუფლონ ენას იმ ელემენტარულ საკომუნიკაციო დონეზე, რომლის მეშვეობითაც ისინი ამ ენის მატარებელ ქვეყანაში საკუთარი აზრების გამოხატვას შეძლებენ. რიგ შემთხვევაში, ზოგიერთი დაინტერესებული პირი მიზნად ისახავს დაეუფლოს უცხოურ ენას და გახდეს პროფესიონალი ფილოლოგი. აქედან გამომდინარე, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან უცხოური ენების სწავლების მეთოდები და შესაბამისად გათვალისწინებულ უნდა იქნას შემსწავლელთა მიზნები/ინტენცია.

უცხოური ენების შესწავლის უამრავი ახალი მეთოდი არსებობს: მულტიმედია, ინტერნეტ საშუალებები, ფილმის გამოყენება უცხოური ენის სწავლების დროს, რაც ხშირად ეხმარება დაინტერესებულ პირებს უკეთესად გაიგონ და აითვისონ გარკვეული სამეტყველო სიტუაციები. ასევე ფართოდ გამოიყენება ისეთი ტექნოლოგიები, რომლებსაც TIC-ტექნოლოგიებს უწოდებენ, რაც გულისხმობს კომუნიკაციურ-ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, სადაც სწავლება ძირითადად კონცენტრირებულია სტუდენტზე, სწავლება არის ავტომატიზირებული, კომუნიკაციური მიდგომა იყოფა დავალებების განაწილების მეშვეობით, ჯერ ხდება აქტიური მასალის შესწავლა მისი შემდგომ პრაქტიკაში გამოყენებით, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპიუტერი და ინტერნეტი ამ ტექნოლოგიების გამოსაყენებლად (ციფრული კამერა, ინტერაქტიური ციფრული დაფა, CD ROM და სხვ.) ახალი დიდაქტიკური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება (NTIC) მნიშვნელოვნად

უწყობს ხელს უცხოური ენის სწავლებასა და მის უკეთეს ათვისებას. თუმცა ამ ტექნოლოგიების გამოყენება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უნდა დავივიწყოთ ტრადიციული, უკვე კარგად ნაცნობი და ეფექტური მეთოდები.

ამდენად, უცხოური ენის სწავლების დროს მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს, ვის ვასწავლით უცხოურ ენას და რა მიზნით ისწავლება ის.


ენის სწავლებისას ყველაზე მეტად ყურადსაღებია ლექსიკა. მისი არჩევისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული როგორც ის ლექსიკა, რომელსაც ვირჩევთ ლექციისათვის, ასევე კონკრეტული ტექნიკა და მისი საკომუნიკაციო ხასიათი. თუმცა პირველი ეტაპის დაძლევისას, ხშირად გვხვდებიან ისეთი სტუდენტებიც, რომელთაც საკმაოდ დიდი ლექსიკური მარაგი აქვთ, მაგრამ ეს მარაგი მათ პასივში რჩებათ, განსაკუთრებით ეს ვლინდება წერილობით მეტყველებაში, რაც აქტივში არ გვხვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს უფრო მეტის გაგება შეუძლია, ვიდრე წარმოთქმა.

დღეს უამრავი ახალი მედია საშუალებები გაჩნდა, მათ შორის ინტერნეტი, რომელიც ყველაზე აქტუალურია და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა უფრო მეტად გაუადვილდეს სტუდენტს ენის შესწავლა, რადგანაც მას ერთდროულად მიუწვდება ხელი როგორც საგაზეთო სტატიებზე, ასევე ტელეგადაცემებზე თუ სხვა სასურველ უცხოენოვან წყაროზე.

უცხოური ენის სწავლებისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი იყო და დღესაც ასეთად რჩება ზეპირი და წერილი მეტყველება, რასთანაც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული აუდიოვიზუალური საშუალებებიც. თემები უნდა შეირჩეს იმ ქვეყნის ყველაზე აქტუალური სოციოკულტურული თუ პოლიტიკური საკითხების ირგვლივ, რომელ ენასაც ვასწავლით. დღეს სტუდენტს უკვე შეუძლია კომპიუტერის გამოყენებით უამრავი ინფორმაციის მიღება

და მრავალი სიძნელის დაძლევა, რომელსაც ადრე აწყდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხოური ენის სწავლების ტრადიციულ მეთოდს გრამატიკის სწავლება და თარგმანი წარმოადგენდა. რაში მდგომარეობს ტრადიციული მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები? უცხოური ენის ცოდნა დღეს გულისხმობს სხვადასხვა ენობრივ აქტებს: საუბარს, უცხოენოვანი მეტყველების გაგებას, აუდირებას, წერას, კითხვასა და წაკითხულის გაგებასა და გააზრებას. ყველა ეს აქტი გულისხმობს თავიანთი მეთოდების გამოყენებას. ის მეთოდი, რომელიც გამოდგება წერის სწავლებისას, რა თქმა უნდა არ გამოდგება საუბრის სწავლებისას. რასაკვირველია, არ შეიძლება უარყოფილი იყოს მთლიანად ტრადიციული მეთოდი, თუმცა ასევე უნდა იქნას დამატებული და დანერგი-



ლი უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებიც.

არ არსებობს ისეთი მეთოდი, რომელიც იმის გარანტიას მოგვცემდა, რომ შეძენილი ცოდნა იქნება სამუდამო. თუკი ენას და ენობრივ უნარებს არ ავითარებს ადამიანი, ის მას ძალიან მალე ავიწყდება, მიუხედავად იმისა, რომ მან თავის დროზე ესა თუ ის უცხოური ენა ტრადიციული მეთოდით ისწავლა. თუმცა ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ არატრადიციული მეთოდების გამოყენების დროსაც, რომელიც უფრო პოპულარულია უცხოური ენის კურსებზე, ენის დავიწყება ასევე უფრო ხშირად და უფრო მალეც ხდება. რა თქმა უნდა, ეს გამოწვეულია იმით, რომ ენის კურსები, როგორც წესი, ორიენტირებულია ყოველთვის საუბრის სწავლებაზე, სწრაფ მეთოდზე. თუკი ადამიანი, რომელმაც გაიარა მსგავსი კურსები, ვერ მოხვდება ენობრივ გარემოში,

მას აუცილებლად დაავიწყდება მთელი ათვისებული მასალა, რომელიც მას პასივში დარჩება.

როგორც ცნობილია, ევროპული ჩარჩო მოიცავს სწავლება-სწავლა-შეფასებას. სერვანტესის ცენტრმა ესპანური ენის საერთაშორისო კურიკულუმი შეიმუშავა 2002 წელს. ეს დოკუმენტი 10 წელზე მეტი ხნის დაკვირვების შედეგია, რაშიც მონაწილეობდნენ ლინგვისტიკისა და პედაგოგიკის წარმომადგენლები და ევროპული საბჭოს წევრები. იგი მუშავდებოდა თანამედროვე ენების ყველა ასპექტის გათვალისწინებითა და სწავლების მეთოდოლოგიების შესწავლა-დაკვირვებით. შეიქმნა საერთო კურიკულუმის შემუშავებისათვის საჭირო ბაზა, პროგრამები, გამოცდები და შეფასების კრიტერიუმები. განისაზღვრა ენის ცოდნის დონეები (A1, A2, B1, B2 და C1, C2).

ენის საერთო ევროპული ჩარჩოდან გამომდინარე ნათელია, თუ როგორი მნიშვნელოვანია ენის სწავლების პროცესში სხვადასხვა მეთოდების გამოყენება. რა არის მეთოდი? მეთოდი განსაზღვრულ მიზნამდე მისაღწევი გზაა. მასწავლებელი კი ფასილიტატორია საგანსა და მოწაფეს შორის. მასწავლებელს აქვს ძალიან დიდი შესაძლებლობა საინტერესოდ და სახალისოდ წაიყვანოს სწავლების პროცესი სწავლების ყველა ეტაპზე.

### თამაშის მეთოდის გამოყენება ესპანური ენის გაკვეთილზე

უცხოური ენის სწავლებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, რომელთა საშუალებით სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემებისა და სირთულეების დაძლევა შესაძლებელია. წინამდებარე ნაშრომი განიხილება თამაშის მეთოდი ესპანური ენის სწავლების პროცესში.

რა არის თამაში?

ჰოლანდიელი ისტორიკოსის, იოჰან ჰაინციგას წიგნში „Homo ludens“ ანუ „Man the Player“ ვხვდებით წყაროებს იმის შესახებ, რომ თამაში ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა და გეოგრაფიულად მისი წარმოშობის ადგილად მიჩნეულია ირანი, ეგვიპტე, ინდოეთი, ერაყი, სადაც 5000 წლის წინაც არსებობდა პირველი თამაშები. როგორც ჩანს, თამაში სპონტანურად წარმოიქმნებოდა დედამიწის სხვადასხვა წერტილებში, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ არც ადამიანს და არც ცხოველს უსწავლია თამაში, არამედ თამაშით ისწავლეს მათ ცხოვრება.

თამაში, სწავლა, სწავლება: ამ სიტყვების დეფინიციას თუ გავეცნობით, ისინი ერთმანეთთან შემდეგი ტერმინებითაა დაკავშირებული: წესები-ინტერესები-ცოდნის შექმნა გამოცდილების შესაბამისად.

ასევე „სკოლა“ - σχολή (skholé) არის ბერძნული სიტყვა, რაც ნიშნავს გართობას თავისუფალ დროს. რომაულ კულტურაშიც გვხვდება ტერმინი ludi – თამაშები და თამაშების მმართველსა და წამყვანს ერქვა Magister Ludi.

„თამაში კარგია, ტობიას. მე არავის ვიცნობ, რომ თამაში არ მოსწონდეს. და ეს მიხარია: თამაშით მას უკეთ გაიცნობ ... მიუხედავად იმისა, რომ ყველა თამაში ერთმანეთს არ ჰგავს: ზოგისთვის გასართობია, ზოგისთვის რთულად ამოსაცნობი, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მგონი, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რასაც თვით ნიცშე – არაოპტიმისტი ფილოსოფოსიც კი ეთანხმებოდა, რომ ზრდასრულ ადამიანში ყოველთვის იმალება ბავშვი, რომელსაც სურვილი აქვს თამაშის ... და ასევე შესაძლებელია ის, რომ რაც არ კეთდება თამაშით, არასდროს გამოვა კარგად!“ [I. Huizinga. Homo ludens].

ბევრი ავტორი თავის ნაშრომსა თუ თეორიებში აღნიშნავს თამაშის უპირატესობასა და მნიშვნელობას პიროვნული განვი-

თარების განათლების მიღების პროცესში. „თამაშს თან ახლავს მოთამაშის აქტიური ჩართულობა“ – აღნიშნავს კატერინა გარვეი წიგნში – საბავშვო თამაში. იგი ავითარებს ადამიანის კრეატიულობას, პრობლემის გადაჭრის გზებს აადვილებს, სოციალურ „როლს“ აყალიბებს, რაც მნიშვნელოვანი „აქტივობაა“. და ბოლოს, ესპანური ენის გაკვეთილზე სწავლებაში ჩართული თამაში ძალიან დიდი უპირატესობაა.

#### **რატომ უნდა გამოვიყენოთ თამაშები?**

თამაში აღვიძებს კრეატიულობას და მოსწავლეებს/სტუდენტებს ავიწყდებათ, რომ ენის გაკვეთილზე/ლექციაზე იმყოფებიან. ამაღდროულად უფრო მეტად ერთობიან, ინტერაქტივი და კომუნიკაცია იზრდება.

თამაშის თემა ენის სწავლებაში უკვე აღარაა ახალი. უამრავი ნაშრომია შექმნილი ამ პრობლემის ირგვლივ. ასევე შექმნილია თამაშები, რაც შესაძლებელია გამოიყენოს პედაგოგმა სწავლებისას. სანამ თამაშებზე გადავიდოდეთ, გავეცნოთ თამაშის პროცესის თანამდევ უპირატესობებსა თუ ნაკლოვანებებს.

#### **უპირატესობები:**

- თამაში ქმნის პოზიტიურ, დამამშვიდებელ, დასასვენებელ და სანდომიან კლიმატს აზრებისა და ცოდნის ურთიერთგაცვლისას.

- აღვივებს მონაწილეობის სურვილს. თამაშის მსვლელობისას ყველა აქტიურადაა ჩართული პროცესში.

- აღვივებს კრეატიულობას და სწავლის პროცესის მნიშვნელოვან აღქმას.

- სტუდენტში იწვევს აქტიურობის სურვილს და უღვივებს პასუხისმგებლობას თავის ცოდნაზე.

#### **ნაკლოვანებები:**

- ზედმეტი შეჯიბრებითობა, რომელიც იწვევს კონფლიქტს, ხმაურს და სტრესს მოგების სურვილის გამო.

- ზოგი სტუდენტი თამაშს უყურებს როგორც დროის კარგვას.

○ ზოგმა სტუდენტმა შეიძლება თავი იგრძნოს ბავშვურ სიტუაციაში ან წაგების შემთხვევაში - დამცირებულად.

სამწუხაროდ, „თამაში“ არ ნიშნავს სტუდენტის წარმატებულ მონაწილეობას (მოგებას). თამაშის წამოწყებისას უნდა გავითვალისწინოთ ბევრი ფაქტორი:

- თამაში უნდა იყოს კარგად შერჩეული, უნდა იფიქროთ მონაწილეთა ჯგუფზე და მთარგოთ საჭიროებებს.

- წესები უნდა იყოს ნათელი და გათვალისწინებული ყველას მიერ. თამაში არ ნიშნავს წესების არარსებობასა და ბრმა აქტივობას.

- თამაშს აქვს თავისი კომუნიკაციური ფუნქცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი თამაშების წინ ნათლად იყოს ახსნილი ფრაზები „ვისი ჯერია“, „გადმომეცი კამათელი“ და სხვ. ასევე არსებობს სპეციალური ლექსიკა: „ჩამორჩენა“, „კამათელის გაგორება“, „განაწილება“, „შეკრება“ და სხვ. ანუ ამ ფრაზებს თუ ცალკეულ სიტყვებს წინასწარ ამზადებენ მონაწილეები, თამაშის პროცესში გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად.

- შეცდომის დაშვების დროს უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე, თამაშის პროცესში არაა კარგი ჩარევა და აქტივობის შეჩერება შესწორების მიზნით, რადგანაც სტუდენტები ორიენტირებულნი არიან სისწრაფესა და სიზუსტეზე.

- თამაშის მიზანი უნდა იყოს ნათელი. სტუდენტებს წინასწარ უნდა აუხსნათ, ესა თუ ის თამაში რა შედეგზე გადის და ენის რომელი ასპექტის განვითარებას უწყობს ხელს.

**თამაშის ტიპები:**

არსებობს თამაშის უამრავი სახეობა და სხვადასხვა კლასები. დაკვირვების, მახსოვრობის, დედუქციური და ლოგიკური და სხვ. ეს თამაშები არის ინდივიდებზე, ჯგუფებზე, წყვილებზე მორგებული. ზოგიერთი მათგანი ავითარებს წარმოსახვას, ზოგი არის მეტად

თავისუფალი, ზოგიც მკაცრად განსაზღვრული. საბოლოო ჯამში არის უსასრულო შესაძლებლობები და ხერხები თამაშის შესაქმნელად და შემდეგ „გასათამაშებლად“. ონლაინ სივრცეში ვხვდებით უამრავ მასალას, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს მასწავლებელმა, შექმნას თავისი თამაშები ან უკვე შექმნილები გამოიყენოს სწავლების პროცესში.

ესპანელები გვთავაზობენ შემდეგი ტიპის თამაშებს ენის სწავლების დონის მიხედვით; გასათვალისწინებელია ისიც, რომ თამაშს უნდა დაეთმოს გაკვეთილის მაქსიმუმ 10-15 წუთი.

**თამაში 1:** „როგორ ხედავ?“ – გამზადებულია A4 ფორმატის ფურცლები, დაბეჭდილი სხვადასხვა სიტყვებით; ეს სიტყვები განთავსებულია, როგორც მხედველობის შესამოწმებელ ბარათებზე (ოკულისტის), სხვადასხვა ზომის ასოებით. თამაშის არსი შემდეგია: ბარათზე განთავსებულია განვლილი მასალიდან სიტყვები. ყოველ ხაზს მიკუთვნებული აქვს ქულა სირთულის მიხედვით. ყოველ გამოცნობილ დანახულ სიტყვაზე ჯგუფი იღებს ქულებს. მოცემული სიტყვების ასოები შეგიძლიათ აურიოთ და ჯგუფმა უნდა შეძლოს ასოების სწორად დალაგება, რომ მიიღონ სიტყვა. მაგალითად, 15 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი იყოფა სამად, ერთმანეთს ეჯობრება სამი ხუთკაციანი ჯგუფი.

Vocabulario Casa

N	A	N	A	T	E	V	
(VENTANA)							
L	F	A	O	R	M	B	A
(ALFOMBRA)							
D	A	R	E	P			
(PARED)							
E	U	R	T	P	A		
(PUERTA)							



**თამაში 2:** ზმნების უღლება „კამათელის“ მეშვეობით. ჯგუფში წარმოდგენილია ზმნები ჯგუფის დონის მიხედვით. სტუდენტებს აქვთ საშუალება გააგონონ კამათელი და „ამოსული (მითითებული)“


პირის ნაცვალსახელის მიხედვით ჩასვან ზმნა შესაბამის ფორმაში. ეს კამათელი შეიძლება სხვადასხვანაირად გამოიყენოთ გაკვეთილზე, ანუ შევამოწმოთ სხვადასხვა გრამატიკულ დროში ზმნის უღლება სტუდენტის დონის მიხედვით.

**თამაში 3:** „იპოვეთ განსხვავებები“. თამაშის დროს წარმოდგენილია განვლილი ლექსიკის მიხედვით ორი ერთნაირი სურათი მცირედი განსხვავებებით და სტუდენტმა მარტივად უნდა იპოვოს განსხვავებები და დონის მიხედვით მოძებნოს ხერხი, თუ როგორ აღწეროს ეს განსხვავება. მაგალი-



თად, AI დონის სტუდენტი ენის შესწავლის პირველ ეტაპზე მოახერხებს დაასახელოს ის სიტყვები, რომელიც გამოხატულია სურათზე: ამ ნიმუშით შესაძლებელია სტუდენტმა გამოავლინოს როგორც ლექსიკური ცოდნა, ასევე გრამატიკულიც წინადადებების სწორად შედგენაც.

**თამაში 4:** „გვირილა“. ეს



თითქოსდა ჩვეულებრივი ყვავილი შეგვიძლია სხვადასხვაგვარად გამოვიყენოთ ლექციაზე. 1. ცენტრში ჩაწეროთ ფრაზა: „ჩემი ჩვეულებრივი ღღე“. სტუ-

დენტს მოსაფიქრებელი აქვს 5 ზმნა, რითაც მან უნდა გადმოსცეს სხვადასხვა აქტივობა. 2. „არასდროს დამავიწყდება ღღე“ და სტუდენტმა უნდა შეავსოს გვირილის ფურცლები წინადადებებით, რომელიც გადმოცემული იქნება წარსულ დასრულებულ დროში და სხვ.

ეს მეთოდი ასევე საშუალებას გვაძლევს თავად მოვიგონოთ თამაშები, თავად დავადგინოთ წესები და მიმართულებები, რომლებიც სხვადასხვა უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ასევე შესაძლოა უკვე მოცემული აპრობირებული თამაშების მოდიფიცირება და მათი მორგება ჯგუფებთან სწავლის დონის მიხედვით.

პირადი პრაქტიკიდან გამომდინარე ვთლი, რომ ე. წ. თამაშის მეთოდი მართლაც კარგი საშუალებაა, რომ სტუდენტმა საგანი უფრო ხალისიანად დაძლიოს. სიტყვა „თამაში“ თითქოს ბავშვთან ასოცირდება, თუმცა ზრდასრულ ადამიანსაც წარმატებულად შეუძლია ამ გზით ადვილად დაძლიოს სიახლე და შეუმჩნეველად აითვისოს ახალი მასალა.

უცხოური ენის მასწავლებლებს მასალის შექმნის დიდი არეალი აქვთ. ინტერნეტი იძლევა უსაზღვრო შესაძლებლობებს, როგორც ბეჭდური, ასევე ვიდეო თუ აუდიო მასალის მოსაპოვებლად, რაც მათ ეხმარება სწავლების პროცესში.

ასევე ეს თამაშები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა ენების და ასევე ქართული ენის როგორც უცხოური ენის სწავლებისას.

უცხოური ენის სწავლებისას გრამატიკის სწავლების გარეშე შეუძლებელია ენის შესწავლა. სხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენების დროსაც ხომ ვაწვდით სტუდენტებს საჭირო გრამატიკულ მასალას. თამაშებიც სწორედ ისე უნდა იყოს შერჩეული და ადაპტირებული, რომ ხელს უწყობდეს გარკვეული მასალის ათვისებას, იქნება ეს გრამატიკული თუ ლექსიკური.

წარმოვიდგინოთ, რომ ყველანაირი სახელმძღვანელოს გარეშე დავრჩით, არც

არანაირი დამხმარე მასალა არ გაგვანია. ამ შემთხვევაში რას გავაკეთებთ? აუდიტორიაში უამრავი სტუდენტია და ყველას საგნის ინდივიდუალური აღქმა აქვს. სულაც არ არის საკმარისი, რომ ლექტორი იყოს კარგი ფილოლოგი ან კარგად ფლობდეს უცხოურ ენას, ან კარგი სახელმძღვანელო ჰქონდეს ხელთ, თუკი მასწავლებელი არ არის მოტივირებული, რომ სტუდენტი დააინტერესოს. ჩვენ მუდმივ მოძრაობაში უნდა ვიმყოფებოდეთ, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ ერთადერთ მეთოდს მივმართოთ და გამოვიყენოთ. არ შეიძლება უარყოფით რომელიმე მეთოდი და მხოლოდ თანამედროვე სწავლების მეთოდიკას დავუყრდნობთ, რადგან კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერი მეთოდი, რომელსაც ჩვენ საუკეთესოდ მივიჩნევთ, შესაძლოა სულაც არ გამოდგეს ეფექტური. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ სტუდენტის მოთხოვნილებები და სურვილები, რისთვის უნდა ისწავლოს მან უცხოური ენა, ისარის ტურიზმის ის ფაკულტეტის სტუდენტი, ფილოლოგი, თუ ადამიანი, რომელიც უცხოეთში მიემგზავრება საქმიან შეხვედრაზე. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერი მასალა და მეთოდი უნდა იყოს ადაპტირებული იმ სტუდენტთა ჯგუფზე, რომელიც ენას სწავლობს.

უნდა შევთავაზოთ სტუდენტებს სხვადასხვა თემები, გამოვიყენოთ ჩვენი კრეატიულობა, რითიც უფრო მეტად დავაინტერესებთ სტუდენტს და გავუადვილებთ რთული გრამატიკული მასალის აღქმასა და ლექსიკური მასალის ათვისებას.

### დასკვნა

ამგვარად, სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, დახვეწა და შემუშავება დაგვეხმარება იმაში, რომ ენის შესწავლა გავხადოთ უფრო საინტერესო და იოლად ასათვისებელი. წარმოდგენლი მეთოდები, კერძოდ კი

თამაშის გამოყენება უცხოური ენის სწავლებაში და სწორად შერჩეული სტრატეგიები დაეხმარება სტუდენტებს, მარტივად დაეუფლონ ლექსიკას, გრამატიკას, თავისუფალ მეტყველებასა და აზროვნებას უცხოურ ენაზე.

დაბოლოს, შეგვიძლია გამოვიყენოთ რამდენიმე ძირითადი პუნქტი თამაშის როლის შესახებ სწავლების პროცესში:

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ყურადღება უნდა მივაქციოთ სტუდენტთა ჯგუფებს და ცალკეულ სტუდენტს, შევადაროთ ისინი, რაც ჩვენ დაგვეხმარება სწორად შევარჩიოთ ესა თუ ის აქტივობა და თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა; მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ თამაშმა, რომელმაც კარგი შედეგი გამოიღო სტუდენტების ერთ ჯგუფთან, შესაძლოა იგივე შედეგი არ მოგვცეს სხვა სტუდენტთა ჯგუფთანაც. მოვუსმინოთ ყურადღებით, თუ რას ფიქრობენ სტუდენტები ყოველ შეთავაზებულ აქტივობაზე, რის მეშვეობითაც შევძლებთ ანალიზის გაკეთებას, სამომავლოდ ცვლილებებს შევიტანოთ და დავხვეწოთ ამა თუ იმ მეთოდს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თამაშში არ უნდა იკავებდეს გაკეთილი დიდ ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ გართობა დიდ სიამოვნებას ანიჭებს სტუდენტებს, იგი განტვირთვის და დაძაბულობის მოხსნის ერთ-ერთი საშუალებაა. ყოველთვის უნდა იყოს განსაზღვრული ლიმიტი, სად და რამდენი ხანი უნდა გრძელდებოდეს თამაში.

### ლიტერატურა

1. Moreno García C. y Tuts M. (1991): Curso de perfeccionamiento: hablar, escribir y pensar en español. SGEL. Madrid
2. Moreno García C. (1997): “Actividades lúdicas para practicar la gramática”. En núm. 41 de Carabela. SGEL. Madrid
3. Moreno García C. (1999): “Español lengua ex-

tranjera. ¿Qué enseñar y cómo enseñar?. En DEA (Documentos de Español actual) Carcedo. A (ed) Publicaciones de la Universidad de Turku. Finlandia

4. Vigotsky L. S. (1934): Pensamiento y lenguaje. La Pléyade. Buenos Aires. 1987

5. Moreno García C. Artículo “El componente lúdico y la creatividad en la enseñanza de la gramática”. revista redELE. número cero. marzo 2004

## **Game as One of the Effective Methods in Foreign Language Teaching**

*Marine Kobeshavidze*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 591 222 007*

E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

*Nino Apkhaidze*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 593 177 999*

E-mail: n.apkhaidze@yahoo.com

### **Abstract**

Playing has been a common learning technique through the ages, but recently several studies on the teaching of foreign languages have focused on this component as one of the important methods of foreign languages teaching. This article highlights the three different, but overlapping, aspects that make up the true dimension of playing as a learning tool: games, didactic instruments and group techniques. Furthermore, it intends to show that besides a great variety of methods of teaching foreign language, the utilization of playing in the learning process opens new possibilities for their teaching.

### **Keywords:**

teaching-learning process; creativity; strategy; game-based learning, motivation, method.

## **Игра как один из эффективных методов обучения иностранным языкам**

*Кобешавидзе Маринэ Валериевна*

*Тбилисский государственный университет*

*Факультет гуманитарных наук*

*пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 591 222 007*

E-mail: mkobeshavidze@yahoo.es

*Апхаидзе Нино Гуаевна*

*Тбилисский государственный университет*

*Факультет гуманитарных наук*

*пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 593 177 999*

E-mail: n.apkhaidze@yahoo.com

### **Резюме**

Игра в течении многих веков представляла собой одну из методов обучения. В последнее время различные дидактические труды сконцентрировали свое внимание на технику игры. В статье обращено внимание на значение и роль игры в процессе обучения иностранным языкам, как одного из эффективных методов обучения наряду с другими методами, которую можно поделить на три основных момента: игра, дидактический материал и техническая группа. С другой стороны, мы постарались показать, насколько важно использование игры и в других новейших технологиях в процессе обучения иностранным языкам для получения положительного результата.

### **Ключевые слова:**

обучение, процесс обучения, метод, игра, стратегия, техника обучения, мотивация.

## სომატიზმების შემცველი არგოტიკული ფრაზეოლოგიზმები თანამედროვე ფრანგულ ენაში

მარინა კურატაშვილი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 599 263 564  
E-mail: kuratashvilimarina@yahoo.com

### რეზიუმე

სომატიური კომპონენტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები თანამედროვე ფრანგული ფრაზეოლოგიის განუყოფელი ნაწილია და განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ფრანგულ არგოში; ისინი განსაკუთრებულ გამომხატველობასა და კოლორიტს ანიჭებენ მეტყველებას. სომატიურ არგოტიკულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მრავალი მოდელი ეხება ადამიანთა ყოველდღიური ყოფის სხვადასხვა თემას; ითავსებენ რა შემფასებლურ ფუნქციას, ისინი წარმოადგენენ აზრის ნათლად და ლაკონურად გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს.

### საკვანძო სიტყვები:

სომატიზმები, არგოტიკული ფრაზეოლოგია, კონტრაცია, სემანტიკური ველი.

### შესავალი

თანამედროვე ფრანგულ არგოში ფართოდ გამოიყენება სომატიური კომპონენტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ისინი გამოიყენებიან მეტყველების გამომხატველობის ძლიერი ეფექტის შესაქმნელად. ამგვარი ტიპის სომატიური ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც შეიცავენ სემანტიკური სტრუქტურისა და ლექსიკურ-გრამატიკული

შემადგენლობის თანაფარდობის მქონე არანაკლებ ორი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვას, ლექსიკონებში დაფიქსირებულია მინიმუმებით “arg.,” “pop.” ან “fam.”

### ძირითადი ნაწილი

სომატიურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტების ანალიზის შედეგად, გამოიყოფა მათი წარმოების შემდეგი ძირითადი მოდელები:

1. ფრაზეოლოგიურ ერთეულში შემავალი სომატიზმი წარმოადგენს ნეიტრალურ ლექსიკურ ერთეულს: se faire **des cheveux (blancs ან gris)** – ‘საზრუნავის (დარდის) გაჩენა; გაწვავლება’. Se casser **les pieds** – ‘თავის მოხერხება’.

2. კომპონენტ-სომატიზმს აქვს როგორც ნეიტრალური, ასევე არგოტიკული მნიშვნელობა გადააზრების შედეგად: se sucer **la pomme** – ‘ერთმანეთის კოცნა’ (la pomme – 1). ‘ვაშლი’, 2). არგო ‘თავი, სახე’); avoir de beaux **châsses** – ‘ლამაზი თვალების ქონა’ (les châsses «თვალები» - არგოს ენაზე).

3. კომპონენტი-სომატიზმი წარმოდგენილია მხოლოდ არგოტიზმით, ანუ მხოლოდ არგოტიკულ ლექსიკონში შემავალი ლექსიკური ერთეულით: faire suer **le colas** – ‘ყელის გამოჭრა’ (le colas «კისერი» - არგოს ენაზე).

4. ფრაზეოლოგიური ერთეული შედგება ნეიტრალურ კომპონენტ-სომატიზმისაგან და არგოტიკული ლექსიკური ერთეულისაგან: mettre **son pied dans les couilles** – ‘პანდურის ამორტყმა’ (le pied «ფეხი» – ნეიტრალური ლექსიკური ერთეული, les couilles «ტესტიკულა», ანატ. ‘მამაკაცის კვერცხი’ – არგოტიკული ლექსიკური ერთეული).



5. სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულის აგების საფუძველია ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმი, რომელიც სტრუქტურითა და ლექსიკურ-გრამატიკული შემადგენლობის მიხედვით ემთხვევა მცირე ზომის სომატურ ფრაზეოლოგიზმს, მაგრამ ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმის კომპონენტ-სომატიზმი შეცვლილია მისი არგოტიკული სომატიზმით: avoir mal **au cigare** («avoir mal à **la tête**» -საგან) – ‘თავის ტკივილი’ (ლექსიკური ერთეული «le cigare» წარმოადგენს ნეიტრალური ლექსიკური ერთეულის - «la tête» მცირე სინონიმს); donner un coup de **pogne** («donner un coup de **main**» – საგან) – ‘დახმარება’ (ლექსიკური ერთეული «la pogne» წარმოადგენს ნეიტრალური ლექსიკური ერთეულის - «la main» მცირე სინონიმს).

ფაქტიური მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ ყველაზე მეტ ფუნქციურ დატვირთვას ფლობენ ის სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა კომპონენტებსაც წარმოადგენს ადამიანის სხეულის შემდეგი ნაწილები: «ბაგეები, ლოყები» - les babines (f. pl.), les babouines (f. pl.), les badigoines (f. pl.), les bajoues და სხვ.; «თავი; სახე» - le citron, le chou, la façade, le tronc; le portrait, la bille და სხვ.; «ქალის, მამაკაცის სასქესო ორგანოები» - l'abricot (m.), la bite, le bouton, le chat, la chatte, le chinois, le dard, le flageolet, le paf და სხვ.

სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა კომპონენტებია «ბაგეებისა» და «ლოყების» მნიშვნელობის შემცველი არგოტიზმები, ასევე გადმოსცემენ «ჭამის», «ძღომის» მნიშვნელობას: se caler **les babines**; s'en mettre plein **les babines**; se caler **les babouines** (**les badigoines**); jouer **des badigoines**; se lester **les bajoues**.

ფრაზეოლოგიური ერთეულები კომპონენტ-სომატიზმებით «თავი, სახე», ასევე გადმოსცემენ:

- «ფიქრს; თავის მტვრევას» - se creuser **le citron**; avoir **le chou** farci; se casser **le tronc**;

- «ვინმეს ცემა, ცხვირ-პირის ჩამტვრევა» - démolir **la façade** à qn.; casser **la margoulette** à qn.; abîmer **le portrait** à qn.;

- «სიცილი; ხარხარი» - se payer **la fiole (la bille)** de qn.; se fendre **la frite (la bille)**.

სომატურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიდი რაოდენობის კომპონენტია «სასქესო ორგანოების» აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:

- «სექსუალურად აღზნებული მამაკაცი»: avoir **le bambou**; avoir **le flageolet** à la portière; avoir **le manche**;

- «სექსუალურად აღზნებული ქალი»: avoir **l'abricot** en folie; avoir **le bouton** qui fait robe à queue; avoir **la chatte** à l'agonie; avoir **la moule** qui baille; avoir **la praline** en délire;

- «თავის მობეზრება, ვინმეს ნერვებზე თამაში»: peler **les balloches** à qn.; casser **les burnes** à qn.; casser **les couilles** à qn.;

- «წარუმატებლობა; ჩავარდნა, ჩაჭრა; ხელმოცარული დაბრუნება»: rentrer **la bite** sous le bras; tomber (tourner) en **couilles**; tomber sur **un paf**; revenir avec **la pine** sous le bras;

- «სასიყვარულო ურთიერთობა; მოფერება»: laisser **le chat** aller au fromage; jouer un air de **clarinette** baveuse; se polir **le chinois**; caresser **la chatte**.

ასეთ სომატურ ფრაზეოლოგიზმთა გარკვეული რაოდენობა გამოხატავს დადებით ან უარყოფით შეფასებას: débourdi comme un **manche** – ‘მოუხერხებელი, მოუქნელი, უგერგილო, ჭკუასუსტი ადამიანი’; beau comme un **paf** – ‘ლამაზი, ელეგანტური’.

სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია შეიძლება გაფართოვდეს, თუ ფრაზეოლოგიზმებს განვიხილავთ ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური ველისადმი კუთვნილების მიხედვით; მაგ., სომატურ ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილი შეიცავს ადამიანის გონებრივი მოღვაწეობის შეფასებას; აღსანიშნავია, რომ ასეთ ფრაზეოლოგიზმთა სომატური კომპონენტებიდან ძირითადად გვხვდება «თავი» და «მამაკაცის სასქესო

ორგანო»; ამ ჯგუფიდან ნაწილი უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობის მატარებელია (dégourdi comme un **manche** ‘ჭკუასუსტი ადამიანი’, ნაწილი კი – დადებითისა (en avoir dans le **chou** ‘ჭკვიანი, გონიერი’ – **chou** გამოყენებულია «თავის» მნიშვნელობით).

სომატურ ფრაზეოლოგიზმთა წარმოების ერთ-ერთი პროდუქტიული ხერხია შედარებითი კონსტრუქციის გამოყენება, შესაძარებელ ობიექტებად კი უმეტესად გვხვდება სომატიზმები: «მამაკაცის სასქესო ორგანო» და «უკანალი»: beau comme **une bite** (en fleur) – ‘ძალიან ლამაზი’; ça saute aux yeux comme **une bite** au cul – ‘თვალში საცემია’; filer comme **un dard** – ‘ისარივით ქროლა’; partir comme **un dard** – ‘თავ-პირის მტვრევით გაქცევა’ და სხვ.

ასევე ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის ფიზიკურ ნაკლოვანებებს: boîter **des calots** – ‘დაეღმებულად ცქერა’; avoir **les éponges** bectées – ‘ფილტვებით დაავადებული’; aller à **pattes** – ‘ეოჭლობა’; ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს «სმენადაქვეითებულის, ყრუს» აღმნიშვნელი სომატური ფრაზეოლოგიზმები: être constipé **des écoutes** (**des feuilles**); avoir **la feuille dure**; être dur de **la feuille**; avoir des boules de gommes dans **les portugaises** (dans **les zozos**); avoir **les portugaises** ensablées. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ერთ-ერთი კომპონენტი სომატიზმი «ყურები». ასეთი სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები აგებულია იმ პრინციპით, რომ «რაც არის ყურებში, რაც აბრკოლებს სმენითი აღქმის პროცესს». ასეთ სომატურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შექმნის საფუძველი მეტაფორაა.

კვლევისას ასევე გამოვლინდა, რომ სომატიზმმა, რომელიც შედის მცირე ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში, შეიძლება შეიძინოს სხვა მნიშვნელობაც, გამოსატყულები ასევე ადამიანის სხეულის ნაწილით: sucrer **les fraises** – ‘მთრთოლი ხელე-

ბის ქონა’ (la fraise – «სახე; თავი»); perdre **les manettes** – ‘თავის დაკარგვა; გადარევა (les manettes – «ყურები»); bourrer **le mou** – ‘სისულელეებით თავის გამოტენა’ (le mou – «ფილტვები»); se sucer **la pomme** – ‘ერთმანეთის კოცნა’ (la pomme – «თავი»); en avoir plein **le cul** – ‘ყელამდე სავსედ ყოფნა’ (le cul – «უკანალი»); se lester **les bajoues** – ‘მუცლის გატენა, ამოყორვა’ (les bajoues – «ჩამოკიდებული, ფომფლე ლოყები»).

ასევე დიდი რაოდენობითაა სომატური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აღნიშნავენ «ფიზიკური ძალით სხვა ადამიანის სხეულის დაზიანებას»; ასეთი ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნაში მონაწილეობს შემდეგი კომპონენტ-სომატიზმები:

- «კიდურები (ხელები, ფეხები)»: numéroter **les abattis** de qn. – ‘ნეკნების ჩამტვრევა, გვერდების ამონაყვა ვინმესთვის’;

- «თავი; სახე; თავის ქალა»: donner (ან recevoir) un coup de boule – ‘მიაყენო ან მიიღო დარტყმა თავით სახეში ან მუცელში’; se créper **le chignon** – ‘თმებში ხელის ტაცებით ჩხუბი (ქალების შესახებ)’; casser **la gueule** à qn. – ‘სახეში დარტყმა’; défoncer **le portrait** à qn. – ‘მუშტებით ცემა’; déguster un coup de **tronche** dans le buffet – ‘თავის დარტყმა მუცელში’;

- «მუცელი»: enlever **le ballon** qn. – ‘ფეხის ჩარტყმა; ნაწლავების გადმოყრა ვინმესთვის’; avoir pris un coup dans **le birlingue** – ‘მუცელში დარტყმა’;

- «უკანალი»: cloquer **le baigneur** à qn. – ‘პანდურის ამორტყმა’; faire fumer **dargeot** à qn. – ‘დასჯა, გაწკეპვლა ვინმეს’;

- «ფეხები»: faire qn **aux béquilles** – ‘ფეხებით დაჭერა ვინმეს’; donner à qn. un coup de **latte** – ‘ფეხის ჩარტყმა’;

- «კისერი»: serrer **le kiki (quiqui)** – ‘დახრჩობა; ყელის გამოჭრა’;

- «კანი»: tanner **la basane** à qn. – ‘ვინმეს ცემა’.

-

## დასკვნა

სომატურ არგოტიკულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მოდელები ასახავენ ადამიანთა ყოფისა და ქმედების სხვადასხვა ასპექტს; ისინი ლოგიკურად, სხარტად და თვალსაჩინოდ აფასებენ ადამიანთა ქცევის ნაირფეროვნებას.

## ლიტერატურა

1. Hayard Napoléon (2011): Dictionnaire Argot-Français. Paris
2. Colin J.-P., Mével J.-P. (2010): Argot et français populaire. Paris

## Арготические фразеологизмы с соматизмами в современном французском языке

*Кураташвили Марина Георгиевна*  
*Тбилисский государственный университет*  
*Факультет гуманитарных наук*  
*Пр. И. Чавчаваძე №36, 0179, Тбилиси, Грузия*  
*Тел. 599 263 564*  
E-mail: kuratashvilimarina@yahoo.com

### Резюме

Фразеологические единицы с соматизмами являются неотъемлемой частью фразеологии современного аргот. Использование соматических фразеологизмов в речи придает ей особую выразительность и колорит. Большое количество моделей соматических фразеологизмов затрагивают различные темы повседневной жизни людей, несут оценочную смысловую нагрузку, что позволяет выразить мысли в яркой и лаконичной форме.

### Ключевые слова:

соматизмы, арготическая фразеология, коннотация, семантическое поле.

## Somatisms Containing Argotic Phraseologisms in Modern French Language

*Marina Kuratashvili*  
*Tbilisi State University*  
*Humanitarian Science faculty*  
*36 Chavchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia*  
*Tel: 599 263 564*  
E-mail: kuratashvilimarina@yahoo.com

### Abstract

Phraseological unit containing somatic components is an inseparable part of French phraseology and is especially widely used in French argot. It provides the speech with particular expressiveness and local colour. Many models of somatic argotic phraseological units deal with different topics of people's everyday life. Combining the evaluating function, they represent the lexical units that express the idea clearly and laconically.

### Keywords:

somatisms, argotic phraseology, connotation, semantic field.

# ფრანგული ფრაზეოლოგიური ერთეულები სომატიზმით «გული» («cœur»)

მარინა კურატაშვილი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 599 263 564  
E-mail: kuratashvilimarina@yahoo.com

## რეზიუმე

ფრანგულ ემოციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში აქტიურ, პროდუქტიულ კომპონენტებს წარმოადგენენ სომატიზმები, რომელთა შორის დიდი სიხშირით გამოირჩევა სომატიზმი «გული». მსოფლიოს ხალხთა ყველა კულტურაში, «გული» წარმოადგენს გრძნობათა და ემოციათა ცენტრს; ფრანგულ ენაში კი «გული» – ფიზიკური, ფსიქიკური და სულიერი ცხოვრების ცენტრია. ადამიანური ურთიერთობების ამსახველი ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკის გახსნას ხელს უწყობს კომპონენტ-სომატიზმები, რომლებიც, თავის მხრივ, ნათლად ასახავენ ფრანგი ხალხის ნაციონალურ-კულტურულ თავისებურებებს.

## საკვანძო სიტყვები:

ფრაზეოსემანტიკური ველი, სომატიზმი, ფრაზეოლოგიური ერთეული, ხატოვანი ასოციაცია.

## შესავალი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განსაკუთრებულმა ყურადღებამ ანთროპოცენტრიზმის მიმართ წარმოშვა ახალი საკვლევი სფეროები, რაც უკავშირდება ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს მრავალფეროვანი ურთიერთობების ასახვას. ლინგ-

ვისტებიც ამ თვალსაზრისით განიხილავენ ენობრივ მოვლენებს, კერძოდ, ფრაზეოლოგიზმებს, როგორც ადამიანური ურთიერთობის გამოვლენასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთეულებს. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში ხშირად გვხვდება სომატიზმები, რომლებიც იწვევენ ხატოვან ასოციაციებს, დაკავშირებულს ადამიანის ინტელექტთან, ფიზიკურ შრომასთან, ცხოვრებასთან, გრძნობებთან და ასევე იმ ასოციაციებს, რაც უკავშირდება ადამიანის მიერ სამყაროს აღქმასა და შეცნობას.

## ძირითადი ნაწილი

ადამიანთა შორის განსაკუთრებული ურთიერთობის – «სიყვარულის» ამსახველი ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან, ფრანგული ენის ოცდაათზე მეტი ფრაზეოლოგიზმი შეიცავს კომპონენტ-სომატიზმს «გული» («cœur»). კომპონენტის «გული» («cœur») შემცველი ფრაზეოლოგიზმების საშუალებით, შესაძლებელია აღვწეროთ ადამიანის გრძნობათა და მდგომარეობათა მრავალრიცხოვანი ნიუანსი:

- **სიყვარული:** n'avoir qu'un cœur, se ronger le cœur, ne former qu'un cœur et qu'une âme, deux cœur dans la même culotte, avoir le cœur pris და სხვ.

- **სიძულვილი:** tourner sur le cœur à qn., affadir le cœur, avoir la rage au cœur, barbouiller le cœur და სხვ.

- **გულგრილობა:** avoir le cœur léger, n'avoir rien sur le cœur contre qn., cœur (tout) neuf და სხვ.

- **ადამიანის ურთიერთობის გამოსატყაობის სამყაროსადმი:** avoir le cœur sur la main, parler le cœur sur la main, de tout mon cœur, de bon cœur და სხვ.

- **ადამიანის დახასიათება, მასთან ურთიერთობის გამოხატვა:** avoir le cœur sec, être sans cœur, avoir le cœur dur, cœur d'acier, cœur d'airain (de bronze, de caillou), cœur de marbre, cœur de tigre, cœur de vipère, cœur de cristal, grand cœur, avoir le cœur en écharpe, cœur double.

- **საზოგადოებაში ადამიანის ქცევის დახასიათება:** faire le joli cœur, y aller de bon cœur, rire de bon (ან de tout son) cœur, blesser qn au cœur, faire gros cœur, faire vibrer les cordes du cœur, faire voir son cœur à nu, fendre le cœur à qn და სხვ.

სომეტიზმით «გული» («cœur») ფორმირებული ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე გავლენა იქონია ბიბლიურმა ტრადიციამ. ბიბლიაში «გული» გაიგივებულია «გონებასთან», ენაში კი «გული» ასოცირდება ემოციებთან, გრძნობებთან, ურთიერთობებთან. ფრანგული კულტურის ისტორიაში, სიტყვასთან «cœur» დაკავშირებული ასოციაციები იცვლებოდა. შუა საუკუნეებში, «cœur» იყო სიმბოლო «სულისა», «გულადობისა, ვაჟკაცობისა». ეს მნიშვნელობები შენარჩუნებულია ზოგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: avoir du cœur»გამბედაობა, გულადობა», homme de cœur «გაბედული ადამიანი», haut les cœurs! «გაბედულად», avoir du cœur en ventre (სასაუბ.) «გამბედავია, მამაცია», donner (ან mettre, remettre) du cœur au ventre à qn (სასაუბ.) «გამხნეება», homme (ან femme) de cœur «1). კეთილი ადამიანი, 2). გამბედავი ადამიანი», avoir le cœur bien accroché «მამაცობა», avoir le cœur bien (mal) placé «გამბედავი (მშიშარა)», perdre cœur «გამბედაობის დაკარგვა».

XIV საუკუნიდან მოყოლებული იწყება მნიშვნელოვანი კულტურული ცვლილებები, საგმირო რომანების ეპოქა იცვლება ლირიკული პოეზიით და «გული» ხდება გრძნობების, სიყვარულის სიმბოლო, რაც ასევე აისახა მრავალ ფრაზეოლოგიურ ერთეულში.

სომეტიზმის «cœur» შემცველ ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნაციონა-

ლურ-კულტურული კონოტაცია მეტყველებს ნაციონალური ხასიათის ისეთ საერთო შტრიხებზეც, როგორცაა **ჭრილობა** (plaie du cœur – «გულის ჭრილობა»), **გულწრფელობა, სიწრფელე** (avoir le cœur sur les lèvres «გულწრფელობა», mettre la main sur son cœur – «საკუთარი გულწრფელობის დადასტურება»), avoir le cœur sur la bouche – «გულწრფელად, გულდიად ლაპარაკი»), **სიკეთე** (avoir bon cœur – «სიკეთე», n'avoir rien sur le cœur contre qn – «ვინმეს მიმართ ბოროტების არქონა»), être plein de cœur – «სულგრძელი, დიდსულოვანი»), **სიბრალული და თანაგრძნობა** (avoir qch sur le cœur – «რაიმეს სინანული», avoir (ან porter) un cœur d'homme – «ადამიანურობა, კაცურობა»), prendre son cœur par autrui – «სხვის ადგილას თავის დაყენება»), **გულშემატკივრობა, თანაგრძნობის გამოჩენა** (chauffer le cœur à qn – «ვინმეს გამხნეება», donner (ან redonner) du cœur – «წახალისება, გამხნეება»), remettre (ან remonter) le cœur à qn – «გამხნეება ვინმესი»), **შრომისმოყვარეობა** (mettre le cœur à... - «გულმოდგინეობის გამოჩენა», y aller de bon cœur – «სიამოვნებით რაიმეს გაკეთება»), **გამბედაობა და უშიშრობა** (avoir du cœur – «კეთილშობილი, ვაჟკაციური», faire contre (mauvaise) fortune bon cœur – «შეგუება გარდაუვალობასთან, წარუმატებლობის ვაჟკაცურად გადატანა»), **გულახდილობა და მიმდობელობა** (ouvrir son cœur à qn – «გულის გადაშლა ვინმესათვის»), avoir le cœur sur la main (სასაუბ.) – «1). სულგრძელობა, დიდსულოვნება; 2). გულწრფელობა», faire voir son cœur à nu – «გულის გადაშლა ვინმესათვის»), **თავშეკავება, მოკრძალება** (mettre son cœur dans sa tête «საკუთარი გრძნობებისა და სურვილების დამორჩილება გონებისადმი»), **მგრძნობიარობა** (le cœur saigne – «გულზე ცეცხლი ეკიდება, გული უღუღს»). ნაციონალური ხასიათის ისეთი თვისებები, როგორცაა **გულგრილობა** (avoir le cœur de pierre – «ქვის გულის ქონა»), avoir le cœur sec – «უგულობა, ეგოისტობა»), être sans cœur – «უსულგულობა»), cœur d'acier – «ულმო-

ბელი გულის ქონა»), ფხუკიანობა (garder une injure sur le cœur – «წყენის გულში ჩადება»), არაკეთილმოსურნეობა (avoir la rage au cœur – «ბრაზის, ბოროტების გულში ჩადება») - ფრანგი ხალხისათვის მიუღებელი და გასაკიცხია.

### დასკვნა

ადამიანთა შორის კომუნიკაციური ურთიერთობების გამომხატველ ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში არსებული კომპონენტ-სომატიზმები ხელს უწყობენ ფრანგი ხალხის ნაციონალურ-კულტურულ თავისებურებათა ნათლად ასახვასა და წარმოჩენას.

### ლიტერატურა:

1. Delbecque N. (2002) : Linguistique cognitive. Bruxelles
2. Lacotte D. (2011) : Les expressions de la langue française. Paris

### Фразеологические единицы с соматизмом “сердце” (“cœur”) во французском языке

Кураташвили Марина Георгиевна  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел. 599 263 564  
E-mail: kuratashvilimarina@yahoo.com

### Резюме

Во французских эмотивных фразеологизмах часто встречаются соматизмы, особенно соматизм “сердце” (“cœur”). Во всех культурах мира

“сердце” (“cœur”) является центром эмоций и чувств. Во французском языке сердце - это центр жизни вообще: физической, психической, духовной и душевной. Раскрытию семантики части фразеологизмов, репрезентирующих “человеческие отношения”, способствуют компоненты-соматизмы, которые в свою очередь ярко отражают национально-культурные особенности французского народа.

### Ключевые слова:

фразеосемантическое поле, соматизмы, фразеологическая единица, образная ассоциация.

### French Phraseological Units with the Somatism «Heart»

Marina Kuratashvili  
Tbilisi State University  
Humanitarian Science faculty  
36 Chavchavadze av., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel: 599 263 564  
E-mail: kuratashvilimarina@yahoo.com

### Abstract

Active, productive components in the structure of French emotive phraseological units are the somatisms, among which the somatism «heart» is very frequent. In every culture of the world communities «heart» is the centre of feelings and emotions. In French language «heart» is the centre of physical, psychic and spiritual life. The component somatisms clearly representing the national-cultural peculiarities of the French, enables the understanding of the semantics of phraseological units representing the human relations.

### Keywords:

phraseo-semantic field, somatism, phraseological unit, figurative association.

## „მსოფლიოს სურათის“ წარმოშობის კონცეფცია

მედეა სვანი  
საქართველოს უნივერსიტეტი  
ენების დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77<sup>ბ</sup>, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 597 755 127  
E-mail: medea\_svani@yahoo.com

### რეზიუმე

50-იანი წლების ძირითად მიმართულებას, რომელიც კონკურენციას უწევდა ფასეულობათა კვლევას, წარმოადგენს „მსოფლიოს სურათის“ შესწავლა, საიდანაც განვითარდა შემდგომში კოგნიტური ანთროპოლოგია. კონცეფცია „მსოფლიოს სურათი“ ჩამოაყალიბა რობერტ რედფილდმა და ასოცირდება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მის სახელთან. რედფილდის განმარტებით „მსოფლიოს სურათი“, ეს არის სამყაროს შექმნის ხედვა, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ერს, ეს არის წარმოდგენები საზოგადოების წევრებისა საკუთარ თავზე და საკუთარ ქმედებებზე, საკუთარ აქტიურობაზე მსოფლიოში. „მსოფლიოს სურათი“ განსხვავდება ისეთი კატეგორიებისაგან, როგორებიცაა კულტურის ეთოსი, აზროვნების უნარი, ნაციონალური ხასიათი. „მსოფლიოს სურათის“ კონცეფცია გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა კოგნიტურ შინაარსს-ინფორმაციას ადამიანების მიერ გარე სამყაროს შემეცნების საშუალებაზე. მაგრამ პრაქტიკოსი მკვლევარები, რომლებიც აღწერენ ამა თუ იმ ხალხისათვის, დამახასიათებელ სამყაროს სურათებს, სწავლობენ უპირატესად არა იმას, თუ როგორ შეიმეცნებს ხალხი სამყაროს, არამედ ამ შემეცნების შედეგებს; კოსმოლოგიურს, ონთოლოგიურს, ესხ-ატოლოგიურ სისტემებს.

### საკვანძო სიტყვები:

„მსოფლიოს სურათი“, კულტურის ეთოსი, კოსმოლოგია, ონთოლოგია, ეთნოფსი-

ქოლოგია, ელემენტები, ეთნოგრაფიული აბსტრაქცია.

### შესავალი

„მსოფლიოს სურათის“ შესწავლა დაკავშირებულია რეთ ბენედიქტის იდეის აღორძინებასთან, კულტურის ეთოსის შესახებ. თუმცა ახლა ეს კონცეფცია იძენს ახალ ელერადობას და ფაქტიურად მიეყვართ „მსოფლიოს სურათის“ კონცეფციასთან. ქცევის სპეციფიური თავისებურებები ყველა შემთხვევაში მიუთითებენ ეთოსზე, ისინი არიან ემოციური ნორმების სტანდარტიზებული სისტემების გამოხატულება. ამ შემთხვევაში ადამიანები დროებით იღებენ გრძნობათა განსაზღვრულ კომპლექსს დანარჩენი სამყაროს მიმართ, განსაზღვრულ წესებს რეალობასთან მიმართებაში და ისინი ხუმრობენ საგნებზე, რომლებსაც შესახებაც სხვა დროს საუბრობენ სერიოზულად... ზოგჯერ იგივე ჯგუფმა შეიძლება მიიღოს სხვა ეთოსი... მომენტი, რომელიც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ამ მაგალითში, არის ის, რომ ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია დააარსოს თავისი წევრების წრეში ეთოსი, რომელიც რაც უფრო სწრაფად აღმოცენდება, მით უფრო რეალურ ფაქტორად გვევლინება მათი ქცევის დეტერმინირებაში. ეს ეთოსი გამოიხატება მათი ქცევის ხასიათში.

გრიგორი ბეიტსონი ვარაუდობდა, რომ ამგვარი მსჯელობა შეიძლება მივუსადაგოთ მთლიან საზოგადოებას, განსაკუთრებით პატარას და იზოლირებულს, რის გამოც გამოიკვლია თემი იატმული. აქ მან აღმოაჩინა არა ერთი, არამედ ორი ეთოსი – ერთი მამაკაცებისათვის და მეორე ქალებისათვის. ამ ეთოლოგიური პოლარულობის ასახსნელად ბეიტსონი გვთავაზობს ქცევას სხიზმოგენეზისი, რომელსაც იგი განსაზღვრავს როგორც „ინდივიდის ქცევის ნორმების

დიფერენციაციის პროცესი, რომელიც ხდება ინდივიდებს შორის კუმულაციური ურთიერთქმედებით“.

ამ ცნების უპირატესობა დინამიური ინტერპრეტაციის უზრუნველყოფაშია, რომელსაც ვპოულობთ რუთ ბენედიქტის „კულტურის მოდელებში“. სხვა ცნება, რომელიც გამოიყენა ბეიტსონმა, ეს არის ეიდოსის ცნება, რომელსაც იგი განმარტავს როგორც „ინდივიდის პიროვნულობის კოგნიტური ასპექტების სტანდარტიზაცია საზოგადოების შიგნით“.

ანალოგიურად მორის ოპლერი ამტკიცებდა, რომ იშვიათად შევხვდებით კულტურას, სადაც უპირატესობა ერთ ინტეგრალურ ასპექტს ენიჭება. ოპლერმა შემოგვთავაზა ცნება „კულტურის თემები“, რომელიც მას ესმოდა, როგორც დინამიური მტკიცებულებები, რომლებიც შეინიშნებიან შეხლულდული რაოდენობით ყველა კულტურაში.

### **ძირითადი ნაწილი**

„მსოფლიოს სურათი“ სწავლობს კულტურის შეხედულებას გარე სამყაროზე. ეს ერთგვარი პასუხების კომპლექსია, რომელსაც იძლევა ესა თუ ის კულტურა ყოფიერების მარადიულ კითხვებზე: ვინ ვარ მე? და ვინ ვართ ჩვენ? სად ვარსებობ? როგორია ჩემი დამოკიდებულება ამა თუ იმ საგანთან? და თუკი ფასეულობითი მიდგომის შემთხვევაში პასუხები ყველა ამ კითხვაზე გაიცემა რაღაც უნივერსალურ ენაზე, ან უფრო ზუსტად, ევროპული კულტურის ენაზე, მაშინ კონცეფცია „მსოფლიოს სურათი“ გულისხმობს კულტურის ინტერპრეტაციას, თავისებურებების გამოვლენას, კულტურის კვლევაში ემპათიის მეთოდის გამოყენებას.

კულტურა რედფილდის კონცეფციაში შედგება იმ ყოველდღიური ცნებებისაგან, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოებისათვის. ვინაიდან ეს ყოველდღიური ცნე-

ბები მოქმედების წინაპირობაა, მაშინ ისინი, ვისაც აქვს ზოგადი კულტურა, ფლობენ მოქმედების ზოგად მოდუსებს. კულტურა არ არის სტატიკური არსი, იგი განგრძობადი პროცესია; ნორმები შემოქმედებითად გადაიხედება დღითი დღე სოციალური ურთიერთქმედების პროცესში. ისინი, ვინც იღებს მონაწილეობას კოლექტიურ ურთიერთქმედებაში, ერთმანეთს უდგებიან მოლოდინის კომპლექსით და რეალიზაცია იმისა, რაც გველის თანამიმდევრულად ადასტურებს და აძლიერებს მათ წესებს. ამ კუთხით ადამიანები ყველა კულტურულ ჯგუფში მუდმივად უჭერენ მხარს ერთმანეთის მიერ დადგენილ ნორმებს, ყოველი მათგანი პასუხობს მეორე მოლოდინის შესაბამისად. ამგვარად, კულტურა არის კომუნიკაციის პროდუქტი.

რედფილდის აზრით, აუცილებელია დავინახოთ მოვლენები უპირველესად შიგნიდან და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მივიდეთ მათ გარედან გაგებად, ანუ გაგებად გარეგნულ კულტურულ კონტექსტში. მოთხოვნა „დაინახო საგანი შიგნიდან“ ეკუთვნის კულტურასაც, მის მატარებლებსაც, რომელთა ფსიქოლოგიის გაგებაც მკვლევარმა უნდა შეძლოს ისე, თითქოს იგი მათ ადგილზეა. კულტურის წევრს ხომ შეუძლია გაიგოს ნებისმიერი მატერიალური ან არამატერიალური ელემენტების მნიშვნელობა აბსოლუტურად სხვა და ხშირად სრულიად მოულოდნელი სახით. თუკი არ გავიზიარებთ კულტურის მატარებლის აზრს, ჩვენ შევცდებით როგორც კულტურის ელემენტების ჩამოყალიბებაში, ასევე კულტურის სისტემის მთლიანობაში.

ამგვარად, როცა ვსწავლობთ თემს, როგორც ეკოლოგიურ სისტემას, ჩვენ აღვწერთ მას სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ამას გააკეთებდნენ თავად თემის წევრები, რომელთაც არ აქვთ საქმე ეკოლოგიის მეცნიერებასთან. ჩვენ, მკვლევარებს, შეგვიძლია ვისაუბროთ თემზე, როგორც ეკოლოგიურ სისტემაზე



ან როგორც სოციალურ სისტემაზე, მაშინ როცა ამ თემის წევრისათვის იგი არის მისი ნათესაური კავშირების სისტემა, ხოლო თავისებურებები მისი თემისა ახსნილია, როგორც ნათესაური ურთიერთობის თავისებურებები. ამ კავშირებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს მთელი მისი ფასეულობათა სისტემა და საკუთარ თავზე, გარშემოცემებზე და გარე სამყაროზე შეხედულება. ეთნოლოგმა აუცილებლად უნდა დაიწყოს იმით, რომ გაიაზროს, სად არის ის წერტილი, საიდანაც მოცემული კულტურის მატარებელი უყურებს სამყაროს.

იმისთვის, რომ შეისწავლო კულტურა, უნდა შევხედოთ მას მისი მატარებლის თვალთ და დავინახოთ სხვადასხვა ელემენტების მისთვის ნათელი მნიშვნელობები, დავინახოთ კავშირები მის ელემენტებს შორის ისე, როგორც ამას ხედავს თავად ამ კულტურის მატარებელი ინდივიდი. მკვლევარი უნდა მიეჩვიოს ისაუბროს კულტურაზე იმ კატეგორიებით, იმ აქცენტებით, იმ თანმიმდევრობით, როგორც ამას აკეთებს თავად კულტურის მატარებელი.

რედფილდი ამტკიცებს, რომ არ არსებობს ერთიანი ზოგადნაციონალური „მსოფლიოს სურათი“. ერთ კულტურაში არსებობს რამდენიმე კულტურული ტრადიცია; კერძოდ, კულტურული ტრადიცია სკოლებისა და ტაძრებისა და ტრადიცია სოფლის თემისა. შესაბამისად, სხვადასხვა თემის ტრადიციებიც სხვადასხვაგვარია.

რობერტ რედფილდი იყენებს ტერმინს –*სახალხო საზოგადოება* იმ საზოგადოებებთან, რომლებიც არსებობდა ქალაქების გაჩენამდე და ასევე დღევანდელ საზოგადოებებთან, რომლებმაც ნაკლები ზეგავლენა განიცადეს ძლიერი ცივილიზაციების მხრიდან. გლეხური საზოგადოება არის პირველი სახალხო საზოგადოება, რომელიც შევიდა კონტაქტში ქალაქთან. ურთიერთსიმბიოზი არსებობს გლეხსა და ქალაქს შორის. გლეხი უზრუნველყოფს ქალაქს

მარცვლეულით და სხვა პროდუქტებით და სამაგიეროდ შეიძენს მათ ნაკეთობებს.

რედფილდი თვლიდა, რომ არსებობს განსაკუთრებული გლეხური ცხოვრების სტილი, რომელიც გამოირჩევა ფასეულობათა და ნორმათა სისტემით, რაც შეიძლება აღმოვაჩინოთ გლეხურ თემებში, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. რედფილდმა აღმოაჩინა მრავალი მტკიცებულება ერთნაირი ცხოვრების სტილის არსებობისა პოლონელ, ჩინელ, ქურთ და გვატემალელ გლეხებში. ეს კონცეპტი, რომელიც აკავშირებს ნორმებისა და ფასეულობების განსაკუთრებულ კომპლექსს ეკონომიკისა და ცხოვრების წესის განსაკუთრებულ ტიპთან, უფლებას გვაძლევს ჩავატაროთ კროსკულტურული ტესტირება. ამასთან, რედფილდი წერს სხვადასხვა ხალხების გლეხთა მსოფლმხედველობის განსხვავებების შესახებ. კერძოდ, მან აჩვენა, როგორ განსხვავდება გლეხების დამოკიდებულება მიწის მიმართ.

კლიფორდ გირტცის მიერ 70-იან წლებში გაკეთებული განმარტებით, „მსოფლიოს სურათი“ წარმოადგენს მოცემული კულტურის მატარებლისთვის დამახასიათებელ „სურათს იმისა, როგორ არსებობენ საგნები... მისი კონცეფცია ბუნებისა, საკუთარი თავისა და საზოგადოებისა“.

## დასკვნა

ამგვარად, „მსოფლიოს სურათის“ აღწერა მეტწილად არის კვლევის მეთოდი. თავად რედფილდიც კი, ზოგჯერ „მსოფლიოს სურათის“ აღწერას ეძახდა იდეოს, რომლის დახმარებითაც ეთნოლოგს შეუძლია შეხედოს სამყაროს უცხო მიწის თვალებით და გადასცეს მათი წესრიგი, კატეგორიები, მათი აქცენტები, ანუ მივიდეს ამა თუ იმ კულტურის აუთენტურ გაგებაამდე. თავის ნაშრომებში იგი ისწრაფვოდა გადმოეცა სურა-

თი, რომელშიც გამოხატულია კონკრეტული კოგნიტური ნორმები ამა თუ იმ ხალხისა, მისი ფილოსოფიური წარმოდგენები, ეთიკური და ესთეტიური ნორმები, რელიგიური და მეცნიერული მრწამსი.

ფასეულობითი მიდგომისაგან განსხვავებით „მსოფლიოს სურათის“ შესწავლა გულისხმობს განსაკუთრებულ ყურადღებას კატეგორიებისადმი, რომლებშიც მისი მატარებელი აღწერს საკუთარ კულტურას.

ეს გულისხმობს კულტურული სისტემების მრავალფეროვნების აღიარებას. „მსოფლიო სურათის“ შესწავლა გულისხმობს მკვლევარის მიერ სტრუქტურაში ჩანერგვის მეთოდის გამოყენებას, მასზე დაკვირვებას შიგნიდან, რაც ხსნის ახალ შესაძლებლობებს კულტურის გასაგებად, მისი ცენტრალური და პერიფერიული ელემენტების, კულტურული ცვლილებების მექანიზმების გასაგებად.

### ლიტერატურა

1. Апресян В.Ю. (1995): Образ человека по данным языка: попытка системного описания // Вопросы Языкознания. №1. С. 57–59.
2. Апресян Ю.Д. (2006): Языковая картина мира и системная лексикография. М.: Языки славянских культур
3. Архипов И.К. (1994): Картина мира, живой язык и классификация его системы // Вопросы романо-германской филологии (лексикология, грамматика и текстология). Пятигорск. С. 3–7
4. Вайсгербер Л. (2004): Родной язык и формирование духа. М.: УРСС
5. Вежбицкая А. (2002): Русские культурные скрипты и их отражение в языке // Рус. яз. в науч. освещении. №2. С. 6–34
6. Витгенштейн Л. (2007): Логико-философский трактат. М.: ОЛМА Медиа Групп
7. Воробьев В.В. (1996): Лингвокультурологическая парадигма личности / В.В. Воробьев. М.: Рос. ун-т дружбы народов. 170 с.
8. Гердер И.Г. (2007): Трактат о происхождении языка. М.: URSS
9. Гумбольдт В. (1985): Язык и философия культуры. М.: Прогресс
10. Гуревич А.Я. (2005): Индивид и социум на средневековом Западе. М.: РОССПЭН
11. Гуревич П.С. (2006): Философия человека (лекция 5) // Личность. Культура. Общество. Междисциплинарный научно-практический ж-л социальных и гуманитарных наук. Вып. 2 (30). М.
12. Каган М.С. (1994): Проблема «Запад-Восток» в культурологии: Взаимодействие худож. культур. М.: Наука: Изд. фирма «Вост. лит.»
13. Караулов Ю.Н. (2006): Русский язык и языковая личность. 5-е изд. М. С. 38
14. Касевич В.Б. (2001): Лингвокультурный концепт как единица исследования // Методологические проблемы когнитивной лингвистики: Сб. науч. тр./ Под ред. И.А. Стернина. Воронеж
15. Кубрякова Е.С. (2004): Язык и знание. – М.: Языки славянской культуры
16. Кучмаева И.К. (2002): Культура общения: этикет и стиль. М.
17. Кучмаева И.К. (1997): Путь к всечеловеку. Мир как целое в концепции культуры М.М. Пришвина. М.
18. Кучмаева И. К., Громов М.Н. (2000): Культура как способ общения // Труды ГАСК. – Вып.2.: Мир культуры. С. 3–7
19. Леонтьев А. А.(2008): Психология общения. 5-е изд. – М.: Academia. Смысл. С. 45
20. Лотман Ю.М. (2000): Семиосфера. – СПб.
21. Пищальникова В.А. (2000): Национальная специфика картины мира и ее репрезентация в языке // Языковое сознание: содержание и функционирование. XIII междунар. симпозиум по психолингвистике и теории коммуникации: Тез. докл. М., С. 189–190
22. Постовалова В.И. (1998): Наука о языке в свете идеала цельного знания // Язык и наука конца XX века. – М.: Наука

23. Серебренников Б.А. (1988): Роль человеческого фактора в языке. Язык и мышление М.: Наука

## Conception of the Creation of the “World Picture”

*Medea Svani*

*University of Georgia*

*Department of Languages*

*77<sup>a</sup> Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 597 755 127*

*E-mail: medea\_svani@yahoo.com*

### Abstract

The main direction of the 50s, which competed with the investigation of the values is the study of the “world picture” which initiated the development of cognitive anthropology. The conception of the “world picture” was formulated by Robert Redfield. According to him the “world picture” is the sight of the world creation which is characteristic to any nation and is the consideration of community members about themselves and their actions, their activity in the world. The “world picture” differs from the categories like culture ethnos, ability to think, national character. The conception of the “world picture” implies first of all cognitive content - information about the means of cognition of the world by men. But practitioner researchers study mostly the results of the cognition rather than how people get to know the world.

### Keywords:

„world picture“, culture ethos, cosmology, ontology, ethno psychology, ethnographic abstract.

## Концепция происхождения „картины мира“

*Свани Медея Тенгизовна*

*Грузинский университет*

*Департамент языков*

*Ул. Костава №77<sup>a</sup>, 0175, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 597 755 127*

*E-mail: medea\_svani@yahoo.com*

### Резюме

Основным направлением 50-х годов XX века является изучение „картины мира“, в свою очередь, породила когнитивную антропологию. Концепцию „картина мира“ создал Роберт Редфильд и ассоциируется, первым делом, с его именем. По редфильдскому изложению, „картина мира“ – это взгляд создания мира, который свойственен той или иной нации, это представление член общества о самих себе, о своих деяниях, о своих активностях в мире. „Картина мира“ отличается от таких категорий, какими являются этос культуры, навык мышления, национальный характер. Концепция „картины мира“ подразумевает, первым делом, когнитивное содержание – информацию индивида о способах сознания окружающего мира. Но исследователи-практики, которые описывают картину мира, свойственную тому или иному народу, изучают не то, как сознает мир народ, а результаты этого сознания: космологические, онтологические, есхатологические системы.

### Ключевые слова:

„Картина мира“, этос культуры, космология, онтология, этнопсихология, этнографическая абстракция.

## მედია-დისკურსის თავისებურება

მედია სვანი  
საქართველოს უნივერსიტეტი  
ენების დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77<sup>ბ</sup>, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 597 755 127  
E-mail: medea\_svani@yahoo.com

### რეზიუმე

სტატია ეხება მედია-დისკურსის თავისებურებს, ლინგვისტიკურ ორაზროვნებას, რაც მაშინ იჩენს თავს, როცა სიტყვას, ან გამონათქვამს რამდენიმე ინტერპრეტაცია შეიძლება მიესადაგოს. მედია-დისკურსის მნიშვნელოვან მახასიათებლებში შედის პოლიფონიურობა და კულტურის გამოსატყვის უნარი. ორაზროვნება კი არა მარტო სიტყვის პოლისემიურობიდან, არამედ კულტურული სხვაობიდან შეიძლება აღმოცენდეს. გამონათქვამის ინტერპრეტაცია ყურდნობა აგრეთვე კომუნიკანტის ინტენციას. მოსაუბრე მოქმედებს გარკვეული სემანტიკურ-პრაგმატიკული გეგმით, ხოლო თანამოსაუბრე, ჩვენ შემთხვევაში მკითხველი ან მსმენელი, ახდენს გამონათქვამის ინტერპრეტაციას ენონსიაცის გარემოებებიდან გამომდინარე. მაშასადამე, არსებობს გარკვეული კოპერაცია მოსაუბრეს-ენონსიატორსა და თანამოსაუბრეს შორის, მაგრამ, თუ თანამოსაუბრე ტემპორალური და ლოკალური მნიშვნელობით დაშორებულია, მაშინ კოპერაცია შეიძლება არ იყოს წარმატებული. მედია-დისკურსებში და ინტერაქციულ კომუნიკაციაში ორაზროვნება სასურველია აღმოიფხვრას, ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, რაც ბევრად იქნება დამოკიდებული ჟურნალისტის ინტენციაზე და მსმენელის ან მკითხველის მომზადების დონეზე ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

### საკვანძო სიტყვები:

ორაზროვნება, კალამბურები, ომონიმია,

პოლისემია, დისკურსი, პოლიფონიურობა, ევფემიზმები, ენონსიაცია, ინტერაქცია, მედიატიზაცია.

### შესავალი

ცნობილია წმინდა ავგუსტინეს სიტყვები, რომელიც ამბობდა “ორაზროვნება ყველა სიტყვაშიაო”. ეს ფაქტი გონებას კი არ ამუხრუჭებს, არამედ მის დინამიურ ქმედებას განაპირობებს და ეს ასეა ყველა სფეროში. ჩვენი ინტერესის საგანი ლინგვისტიკა და აქედან გამომდინარე, კვლევის საგანი ლინგვისტიკური ორაზროვნება იქნება. უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ ორაზროვნების დეფინიცია უნივერსალური ლექსიკონის მიხედვით-ლინგვისტიკური ორაზროვნება მაშინაა, როცა სიტყვას ან გამონათქვამს რამდენიმე ინტერპრეტაცია შეიძლება მიესადაგოს. ეს ინტუიტიური დეფინიცია ძალიან ფართეა, ამიტომ ცდილობენ ლინგვისტიკაში დააზუსტონ და შემოფარგლონ ეს განმარტება.

### ძირითადი ნაწილი

ორაზროვნებები ტრადიციულად მიჩნეულია როგორც შემთხვევითი ენობრივი არასრულყოფილება, რაც საფრთხეს უქმნის კომუნიკაციას. გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვათა თამაში, კალამბურები, რაც პირიქით, მოსაუბრის გონების სისხარტეზე მეტყველებს. კლასიკური გაგებით, ომონიმიას პოლისემია უპირისპირდება, სადაც პრობლემად დგას ენობრივი ერთეულის, ან რაიმე კონსტრუქციის დირებულების იდენტიფიკაცია. გენერატიული გრამატიკის მიმდევრები ცდილობენ პოლისემია ომონიმის მოდელამდე დაიყვანონ,

რის გამოც ორაზროვან გამონათქვამს იმდენი ქვესტრუქტურა მიეწერება, რამდენი ინტერპრეტაციაც არის შესაძლებელი. სხვები კი, ვეროპული სტრუქტურალიზმის მიმდევრები, სხვადასხვა ინტერპრეტაციას მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ ძირითად ღირებულებასთან მიმართებით, რაც თითოეული ნიშნის ან სტრუქტურის შინაარსს განსაზღვრავს, რასაც შეიძლება ახლდეს გაუგებრობა, რასაც თავის მხრივ მოხსნის, ან ვერ მოხსნის დისკურსი. მაშასადამე, დაპირისპირება ორაზროვანსა და ბუნდოვანს შორის, ომონიმიასა და პოლისემიას შორის უფრო ზოგადად კი, ერთადერთ მნიშვნელობასა და მრავალმნიშვნელოვნებას შორის არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამიტომ, ორაზროვნება ვერ დაიყვანება მარგინალურ შემთხვევითობათა სიმრავლედ, ის უფრო ენის სისტემის თანმდევ თვისებად წარმოჩნდება, რაც ვერ ვნებს ადამიანთა შორის კომუნიკაციას, არამედ ამ კომუნიკაციას ანიჭებს სპონტანურად ფარდობით ხასიათს.

მართალია ეს აზრი დიდად საყურადღებოა, მაინც საჭიროა დისკურსს მოეხსნას ორაზროვნება, რათა უპრობლემო კომუნიკაცია შედგეს, რომ თავიდან ავიცილოთ ყველა სახის გაუგებრობა, რასაც მართლა შეუძლია დისკურსის ზუსტი აღქმა შეაფერხოს. პრობლემის თავიდან ასაცილებლად დისკურსის ფართო კონტექსტი უნდა მივიღოთ მხედველობაში.

ფუკოს და ადამის თვალსაზრისით დისკურსული მატერიალობის ცვლილება იწვევს აზრის რყევას. თუმცა, აქვე გვახსენდება მატეი გიდერის აზრი, რომელიც მიიჩნევს, რომ არანაირი მიდგომა საკითხისადმი არ არის ამომწურავი, რომ ამგვარი დამოკიდებულებები ერთმანეთს ავსებენ. ჟურნალისტური, ანუ მედია-დისკურსი განსხვავდება სხვა ტიპის დისკურსებისაგან, მაგრამ ისიც შეიძლება იყოს ორაზროვანი. ერთი ჟურნალისტი წერდა ინგლისში მიმდინარე ერთ-ერთ საფეხბურთო ჩემპიონ-

ნატზე, რომ ამ ქვეყანაში ნახა „საოცარი ღრუბლები“. ამ ფრაზით მას სურდა ეთქვა, რომ ინგლისში არ იყო მზიანი ამინდი, თანაც გაგვახსენა ბოდლერის საოცარი ლექსი „საოცარი ღრუბლები“. ამ ფრაზით ჟურნალისტმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება ინგლისური ამინდის მიმართ, მას არ მოეწონა ღრუბლიანი ამინდი, ან გამოხატა ირონია ინგლისური ამინდის მიმართ. ალბათ უფრო ირონიაა ამით გამოხატული, რადგან ფეხბურთის მატჩის დროს სასურველია იყოს მზიანი დღე და არა წვიმა და ღრუბლები. ანუ ორაზროვნება შეიძლება ფიგურირებდეს არა მხოლოდ ლიტერატურულ დისკურსში, არამედ ჟურნალისტურ დისკურსშიც. ნებისმიერ ვერბალურ დისკურსში, ზეპირი იქნება თუ წერილობითი, შეიძლება იყოს ორაზროვანი ელემენტები.

ცხადია, ორაზროვნება მხოლოდ პოეტურ ტექსტში არ მოიძებნება. აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მათემატიკურ დისკურსებში არ არის ორაზროვნება. იდეალური იქნებოდა იურიდიული შინაარსის მქონე დისკურსებშიც რომ არ ყოფილიყო ორაზროვნება, მაგრამ არაერთხელ გაგვიგია, რომ ერთი და იგივე საკანონმდებლო ტექსტი რამდენიმე ინტერპრეტაციის წყარო შეიძლება გახდეს. ჩვენი პოსტულატი იქნება ის, რომ თითქმის ყველა დისკურსი შეიცავს ორაზროვნების მომენტს, რის გასაფანტავადაც მსმენელის ან მკითხველის მხრიდან ყურადღების კონცენტრაციაა საჭირო, მაგრამ ამასთანავე ტექსტის და კონტექსტის მიღმა, ინტერაქციაში მყოფ პირს უნდა ჰქონდეს ენციკლოპედიური ცოდნაც, რაც არის დამხმარე საშუალება ორაზროვნების აღმოსაფხვრელად.

დღეს მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად გაზეთებს კითხულობენ, ხოლო ზეპირ მედიაში უფრო ყოველდღიურ ამბებს გადმოსცემენ ან ანალიზებენ. გამომდინარე საყოველთაო დიდი ინტერესიდან, ჩვენს გარკვეულ ყურადღებას იპყრობს ჟუ-

რნალისტური დისკურსი, რომელსაც მედია-დისკურსი შეიძლება ვუწოდოთ და რომელიც თავის თავში გააერთიანებს როგორც წერილობით, ასე ზეპირ დისკურსს. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ტელედისკურსი საკმაოდ განსხვავდება საგაზეთო დისკურსისაგან. პირველი უფრო თამამი და გაბედულია, ხოლო მეორე – უფრო თავშეკავებული. მართალია საკმაოდ მკაფიოა განსხვავება მხატვრულ დისკურსსა და მედია დისკურსს შორის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდი მწერლები ხშირად ჟურნალისტიკიდან მოდიან, ყველამ იცის თუ როგორ მნიშვნელოვან რეპორტაჟებს ქმნიდნენ ჟოზეფ კესელი და ალბერ კამიუ. ცნობილია, რომ ბალზაკი და ზოლაც მუშაობდნენ ჟურნალისტიკაში. მაგრამ უკვე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჟურნალისტიკა უარს ამბობს ამ მემკვიდრეობაზე და უკვე სპეციალიზებული დისკურსების ვულგარიზაციას ეწევა.

ჟურნალისტური დისკურსის მთავარი მახასიათებელია პოლიფონიურობა და კულტურის გამოხატვის უნარი. ორაზროვნება კი არა მარტო სიტყვის პოლისემიურობიდან, არამედ კულტურული სხვაობიდან შეიძლება აღმოცენდეს. „საოცარი დრუბლები“ ამის მკაფიო მაგალითია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ტერორიზმზე და ომზე შექმნილი წერილობითი თუ ზეპირი დისკურსები წყლის ორი წვეთივით ჰგვანან ერთმანეთს, რაც შეიძლება ითქვას, კოლექტიური მეხსიერების დამსახურებაა, რადგან ტერორიზმისა და ომის ხატი, რომელიც შექმნილია მედიის წყალობით საერთო დასავლური სამყაროსათვის და არა მარტო აქ, რაც იწვევს იმას, რომ მისი ამსახველი მედიადისკურსები ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ, მნიშვნელოვანია სხვადასხვაენოვან მედიადისკურსებს შორის არსებული განსხვავება, რასაც განაპირობებს განსხვავება ისტორიებს, სოციოკულტურულ კონტექსტებსა და ჟურნალისტურ საქმიანობათა შორის. ალბათ ამ განსხვავების შედეგია ის, რომ

ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა მედიადისკურსში სხვადასხვანაირად შეიძლება წარმონდეს. თვალშისაცემია ტელედისკურსის განსხვავება წერილობითი ჟურნალისტური დისკურსისაგან. ტელედისკურსი სადისტურიც კია ზოგჯერ, წერილობით დისკურსისგან განსხვავებით, მაგალითად, მთელმა მსოფლიომ ნახა პირდაპირ ეთერში სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯა. ეს ცოტა გაუგებარია, რადგან იგივე დასავლური პრესა, როგორც აღვნიშნეთ, კონკრეტული მოვლენის აღწერისას ეგვემიზმებს იყენებდა, რაც ალბათ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დასავლეთს არჩეული აქვს ფრთხილი პოლიტიკა.

ნატალი გარიკის აზრით, გამონათქვამი გადმოსცემს ზუსტად იმას, რასაც გამოხატავს ან იმიტომ მეტს, რასაც გამოხატავს. ასეთ დროს საქმე ეხება იმპლიციტურ შინაარსს. მაგალითში „ფულს ბედნიერება აღარ მოაქვს“ – ორი იმპლიციტური შინაარსი ფიქსირდება: ერთი სავარაუდო და ერთიც – ნაგულისხმევი. სავარაუდო იქნება „იყო დრო, როცა ფულს ბედნიერება მოჰქონდა“, ხოლო ნაგულისხმევი – „შენ უნდა ისიამოვნო“. გამონათქვამი ინტერპრეტაცია ეყრდნობა ინტენციის ცნებას.

იმისათვის, რომ ენონსიატორის, ანუ მოსაუბრის ინტენცია ნათელი გახდეს თანამოსაუბრისათვის, უნდა არსებობდეს კოპერაცია მათ შორის, რაც წარმატებული იქნება მაშინ, თუ მოსაუბრეებს დაახლოებით ერთნაირი კულტურული დონე ექნებათ.

### დასკვნა

ჟურნალისტური დისკურსი ინტერაქციაში იმ მოვლენასთან, რომელიც იცვლება ძლიერი მედიატიზაციის შედეგად და აქედან გამომდინარე, კარგავს პირველად ღირებულებას. ისმის კითხვა, ორაზროვნება ხომ არ არის პოლიტიკური შინაარსის ჟურნალისტური დისკურსის საგანი, იმისთვის, რომ

გამიზნულად წარმოიშვას ორაზროვნება, რადგან შიშველი სიმართლე ალბათ სახიფათოა? აქვე ჩნდება სრულიად უზვეულო კითხვა, ხომ არ არის ჟურნალისტური დისკურსი პოეტური ტექსტის მსგავსი, რადგან ორივე სავსეა ორაზროვნებით? არამც და არამც, რადგან პოეტური ორაზროვნება ღამაზია და სასიამოვნო, იმიტომ, რომ ის ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს, რაც წარმოუდგენელია პოლიტიკური, ჟურნალისტური დისკურსისათვის. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად უნდა ვიცოდეთ სიტყვის პოლისემია, ომონიმია და უნდა ვიცნობდეთ ფართე კონტექსტს და გვქონდეს ენციკლოპედიური განათლება, რომ თავიდან ავიცილოთ ის გაუგებრობები, რაც ორაზროვნებას შეიძლება მოჰყვეს.

### ლიტერატურა

1. Fowler R. (1993): Language in the News. London. Routledge
2. Berger P. and Luckman T. (1976): The social construction of reality. Harmondsworth: Penguin
3. Galtung J. and Ruge M. (1973): structuring and selecting News in the manufacture of News: Social Problems, Deviance and the Mass Media. London: Constable
4. Fowler R. (1986): Linguistic Criticism. Oxford University Press
5. Hartley J. (1990): Understanding News. London. Routledge

## Peculiarities of Media Discourse

*Medea Svani*

*University of Georgia*

*Department of Languages*

*77<sup>a</sup> Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 597 755 127*

*E-mail: medea\_svani@yahoo.com*

### Abstract

The paper deals with the peculiarities of the media discourse, one of the most important characteristics of which is linguistic ambiguity occurring when a word or a statement can have some relevant interpretations. Important characteristics of the media discourse contain polyphony and the ability of expressing culture. Ambiguity can arise not only from the polysemy of a word but from cultural difference as well. An interpretation of a statement is also based on an intention of a communicant. A conversationalist comes to a certain final by his/her talk, i.e. s/he acts according to a certain semantic-pragmatic plan. A co-conversationalist, in our case a reader or a listener interprets the statement according to what s/he thinks resulting from the circumstances of announcement. Consequently, there is a kind of cooperation between a conversationalist-annunciator and a co-conversationalist. But if a co-conversationalist is separated by time and space, cooperation can't be successful. Ambiguity is desired to be eradicated or minimized in media discourses and interactive communication but it will depend on a journalist's intention and the education level of a listener or a reader concerning the question being discussed.

### Keywords:

puns, homonymy, polysemy, discourse, media discourse, polyphony, euphemisms, штеукфешцт, annunciation.

## Своеобразие медиа дискурса

*Свани Медея Тенгизовна*

*Грузинский университет*

*Департамент языков*

*Ул. Костава №77<sup>а</sup>, 0175, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 597 755 127*

E-mail: medea\_svani@yahoo.com

### Резюме

Статья касается своеобразие медиа дискурса, одна из характеризующихся черт является лингвистическая двусмысленность, которая проявляется в тех случаях, когда слову или выражению можно дать несколько интерпретаций. Маркерами медиа дискурса являются полифоничность и навык выявления культуры. Двусмысленность исходит не только из полисемии слова, а также из культурной разницы. Интерпретация выражения опирается также на

интенцию коммуникации. Собеседник руководствуется т. н. семантико-прагматическим планом, а ответчик, в нашем случае читатель или слушатель, производит интерпретацию сказанного, исходя из обстоятельств энонсиации. Это означает, что существует кооперация между собеседником-энонсиатором и собеседником-слушателем, но если один из собеседников вдали от другого, в темпоральном и локальном смысле, то кооперация может быть безуспешной. В медиа дискурсах и в интерактивных коммуникациях двусмысленность должна быть доведена до минимума, что во многом связана с интенцией журналиста и уровнем подготовки слушателя или читателя в связи с тем или иным вопросом.

### Ключевые слова:

двусмысленность, каламбуры, омонимия, полисемия, дискурс, медиа дискурс, полифоничность, эвфемизмы, энонсиация, интеракция.



# The Problem of Differentiating Conceptual and Semantic Spaces of the Language

*Tamar Sharashenidze*  
*University of Georgia*  
*School of Humanities*  
*Kostava 77a, 0175, Tbilisi, Georgia*  
*Tel: 599 110 668*  
E-mail: tamunakvernadze@yahoo.com

## Abstract

The need to demonstrate integral and differentiating markers of mental structures (knowledge representation structures) and the language structure is increasingly felt in the modern linguistic research. Cognitive linguistics still has a number of controversial issues regarding the relation between the concept and means of its objectification in language. The existence of some kind of a link between the language system and the conceptual system is evident. Semantics can best serve as such a link. A semantic item corresponding to a specific lexical item has two sets of references: one to the conceptual system and the other – to the lexical system. Semantic knowledge is a type of conceptual knowledge used to lexicalize various aspects of a concept.

## Keywords:

Semantic field, semantic frame, conceptual system, semantic system

## Introduction

As a rule, any scientific problem in the process of analysis is considered within the relevant scientific paradigm. The history of linguistics proves that research methods and paradigms shift.

In the history of linguistics occurred gradual shift of paradigms though “historical paradigm” called systemic structural paradigm, continues to function together with the dominant paradigm. Systemic-

structural paradigm coexists with cognitive paradigm. Coexistence of the mentioned paradigms ensures effective decoding of the content encoded in the content-based unit.

Every successive stage of linguistic thought is not a direct denial of the previous paradigm. It implies this paradigm as its precursor. Anthropocentric principle has become dominant in linguistics. Anthropocentrism has evolved into the core principle of humanitarian thought. However, all depends on how a human being views himself. History is a succession of world-views. The history of linguistics comprises historical, physiological, systematic and social paradigms. In the 20th century both systematic and social paradigms were based on the semiotic paradigm. The basic idea of the systematic paradigm is that a language is a system where all the elements are interrelated. The social paradigm focuses on the social nature of the language. For this reason Ferdinand de Saussure excluded speech from his research as he believed it to be an individual act. This shows the importance of the idea defining the paradigm. The semiotic paradigm treats language as a sign system to be learned as a unity of signs.

## Main body

Every system does not only comprise a number of elements but is also a part of a larger system or systems. Both these characteristics determine the essence and structure of a system. Applying this general postulate to the language we can conclude the following: the essence and structure of the language as a system are determined by both its elements and the fact that it is an integral part of human (anthropologic) reality.

The inner relation of cognitive linguistic paradigm to the previous linguistic paradigms and specifically to the concept of energy shapes the modern linguistic thought.

According to the concept of energy the language connects a man to the universe. Language is the syn-

thesis of a human being and the universe. Therefore modern linguistics maintains its inner connection with the previous linguistic paradigms, specifically with systemic-semiotic paradigm, at the same time offering its new interpretation.

The study of sign systems opens up plenty of opportunities to conceive hierarchy of systems as well as the social and historic roots of certain cultures. The language symbolically conveys subconscious intentions of national or individual mentality. Therefore Semiotics includes in its research mental and cultural contexts in which the sign system originated and developed.

The language contains the sense. The thesis that the language is a “communicabilization” of the reality, comprises fundamental theses on culture, man and reality in general.

Mental categories and forms of various nations require appropriate forms of linguistic representation. The semantic structure of the language is a linguistic representation of the universe, i.e. the specific – national perception of our physical and psychological environment.

Any system is determined by its elements. Isolating the word from the system implies the possibility of making the system of some elements. This approach to the language system implies the following point of view: any system represents the sum of elements. This approach differs from the true systemic approach. True systemic approach sounds absolutely different:

The need for describing lexical-semantic phenomena made obvious the necessity of developing the methods for analyzing content-sphere of the language. These methods should be developed considering the fact that content-sphere of the language represents the system of interconnected and interrelated elements. The method of constructing the lingual field appeared to be the relevant one. The mentioned method meets all the requirements typical of the systemic approach to the language.

All linguists recognize the fact that the structure of the lingual field is heterogeneous, in other words,

gradual. Graduality of the field structure reveals in the variety of semantic relation existing between elements, more precisely, graduality of the field structure reveals in the existence of dominant segments (centre, transitional sphere and periphery) in the field structure.

While analyzing lexical-semantic system of the language it is sometimes possible to describe the system using different terms. One and the same phenomenon is often described using different terms and rules. This fact doesn't mean that one of the descriptions is more correct, more relevant to the reality than the other one. The thing is that if analysis is carried out in a proper way than all the descriptions are correct and acceptable. While evaluating descriptions we should define which of them is correct and acceptable, expedient to the existing intention. Different intentions require different descriptions.

Any lexical unit can be viewed in two different dimensions - conceptual and lexical systems. Semantic knowledge represents special type of the conceptual knowledge. Different aspects of any concept are lexicalized by means of the mentioned type of the knowledge.

The basic notion of the energetic conception is energy. Any language is the synthesis of the human and the universe. Thus, modern linguistics maintains the inner link with the previous linguistic paradigms, especially with the systemic-semiotic paradigm. It should be also mentioned that modern linguistic paradigm gives new interpretation of the mentioned paradigm.

Semantics is not the mechanical agglomeration of semes. It is a complex system viewed as a net of interconnected and interdependent lexical units.

This type of interconnectedness and interdependence creates lexila-semantic field with its nuclear and peripheral segments (centre, transitional zone and periphery).

According to the systemic-semiotic approach to the language the universe is segmented by lingual fields. The character (graduality/non-graduality) of the structure of the lexical-semantic field is condi-

tioned by the type of semantic relations between the field elements. These relations differ in the “power” of maintaining the content represented by the word-identifier of the lexical-semantic field. The power of maintaining the content designs specific configuration of the content-based unit.

The type of semantic relations between the elements of the center is considered to be the strongest connection between the elements. The type of semantic relations between the elements of the transitional zone is considered to be weaker connection between the elements. Some types of semantic relations typical of the field periphery are not anamnestic for the content-based unit.

Differentiating between conceptual and semantic spaces is of the actual problems of modern linguistics. Concepts exist in the form of conceptual images, charts, notions, frames and scenarios.

Semantic-cognitive approach to the language system implies identification of the relation existing between the language semantics and the nation’s concept-sphere. It should be mentioned that the concept-sphere is variable in time and space.

Cognition is the power organizing the process of generating thoughts and regulating the use of concrete meanings within the borders of the culture. Cognition makes these meanings anamnestic for all representatives of the culture. Anamnesis results in the conventional nature of the language. The problem of knowledge representation is associated with the social and cultural experience of the human.

The immense part of the nation’s conceptual spaces is manifested in the semantic space. This fact makes semantic space one of the fundamental issues of cognitive linguistic research.

The concept is considered in the prism of language meaning as its objectivation in the language is possible only by means of language meanings. In some sense, semantic space and concept-sphere are two identical phenomena - both of them are associated with the process of thinking. The main difference between the semantic space and concept-sphere lies in the following fact: language meaning (quantum of semantic space) is linked to the lingual sign, while

the concept (element of the concept-sphere) is not linked to the lingual sign. Dealing with the analysis of the concept-sphere the following regularity gives evidence: concept-sphere could be (or could not be) expressed by the lingual sign.

### **Conclusion**

Lexical-semantic field is an inventory of elements, connected through hierarchic semantic relations. This hierarchy results in the graduality of the field structure, more precisely, it results in the existence of dominant segments (with respect to one another and to the field word-identifier) – centre, transitional sphere and periphery - in the field structure. The lingual expression of graduality of the word-identifier’s content is its dynamism. We consider the word-identifier to be dynamic if it changes its value, i.e. the status of the main component of meaning in the semantic structure of some field elements. Semantic frames are based on the individual, lingual, historical, cultural and social knowledge, in other words, frames are constructed on the basis of recurring experiences. The basic idea is that one cannot understand the meaning of a single word without access to all the essential knowledge that relates to that word. Thus, a word activates, or evokes, a frame of semantic knowledge relating to the specific concept it refers to.

### **Literature**

1. Burkhanov I. (1999): “Field theory: The state of the art and its implications for ideography” [in:]
2. Semantics of RISK and its neighbours. In *Frames, Fields, and Contrasts: New Essays in Semantics and Lexical Organization* (1992): ed. By Adrienne Lehrer and Eva Kittay, Hillsdale: Lawrence Erlbaum
3. Lehrer A. (1974): *Semantic fields and lexical structure*. Amsterdam: North-Holland

# ენის კონცეპტუალურ და სემანტიკურ სივრცეთა დიფერენცირების პრობლემა

თამარ შარაშენიძე  
საქართველოს უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა  
კოსტავას №77ა, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 599 110 668  
E-mail: tamunakvernadze@yahoo.com

## რეზიუმე

თანამედროვე ლინგვისტიკურ კვლევებში სულ უფრო საგრძნობი ხდება მენტალური სტრუქტურების (ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურების) და ენის სტრუქტურის ინტეგრალური და დიფერენციალური მარკერების გამოვლენის აუცილებლობა. კოგნიტურ ლინგვისტიკაში დღემდე არსებობს დისკუსიურ საკითხთა წყება, რომელიც უკავშირდება კონცეპტსა და მისი ენობრივი გამოხატულების ობიექტივიზაციას შორის არსებულ მიმართებას. აშკარაა, რომ ენობრივ სისტემასა და კონცეპტუალურ სისტემას შორის არსებობს კავშირი. აღნიშნული კავშირის ფუნქციის შესრულება ყველაზე უკეთ სემანტიკას ძალუძს. სემანტიკურ ერთეულს, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულს, გააჩნია მიმართებათა ორი სხვადასხვა მიმართულება, რომელთაგან ერთი კონცეპტუალური სისტემაა, მეორე კი – ლექსიკური სისტემა. სემანტიკური ცოდნა წარმოადგენს კონცეპტუალური ცოდნის სახეობას, რამდენადაც სწორედ მისი მეშვეობით ლექსიკალიზდება კონცეპტის სხვადასხვა ასპექტი.

## საკვანძო სიტყვები:

სემანტიკური ველი, სემანტიკური ფრეიმი, კონცეპტუალური სისტემა, სემანტიკური სისტემა.

# Проблемы дифференциации концептуального и семантического пространства языка

Шарашенидзе Тамара Гивиевна  
Университет Грузии  
Школа Гуманитарных Наук  
Ул.Костава 77а, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел.: 599 110 668  
E-mail: tamunakvernadze@yahoo.com

## Резюме

В современных лингвистических исследованиях все более ошутима необходимость выявления интегральных и дифференциальных маркеров ментальных структур (структур репрезентаций знания) и языковых структур. В когнитивной лингвистике существует ряд дискуссионных вопросов, которые связаны с проблемой объективных языковых манифестации концепта. Связь между языковой и концептуальной системами очевидна. Посредством этой связи может появиться семантическая единица, которая соответствует конкретной лексической единице, имеет два направления соотношения. Первая – это концептуальная система, а вторая – это лексическая система. Семантическое знание представляет собой вид концептуального знания, поскольку именно при помощи этого знания лексикализируются разные аспекты концепта.

## Ключевые слова:

Семантическое поле, семантический фрейм, концептуальная система, семантическая система.

# ესპანური ენის კონსონანტური კომპლექსებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ტრანსფორმაციები

ნინო ჭრიკიშვილი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 598 165 756  
E-mail: nchrikishvili@yahoo.com

## რეზიუმე

ყველასათვის ცნობილია, რომ დიაქრონიულ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა თანხმონებთან ენიჭება, რადგან სწორედ კონსონანტები და კონსონანტური კომპლექსები წარმოადგენენ სიტყვის ხერხემალს, რაც არის საწინდარი იმისა, რომ საუკუნეების შემდეგ შევძლოთ სიტყვის ეტიმონის პოვნა და მისი ევოლუციის სრული სურათის აღდგენა.

თანხმონებთა კომპლექსების დიაქრონიული კვლევა ჩავატარეთ გარსია დე დიეგოს, გომეს დე სილვას და კორომინასის ეტიმოლოგიური ლექსიკონების მონაცემებზე დაყრდნობით. ნაშრომში გამოყენებული გვაქვს ესპანეთის სამეფო აკადემიის მონაცემებიც. ეტიმოლოგიური ლექსიკონების გარდა, ვიხელმძღვანელოთ ცნობილი ესპანელი თუ არაესპანელი ლინგვისტების ნაშრომებით, რომლებიც შეიქმნა ძველ ტექსტებზე განხორციელებული ლინგვისტიკური დაკვირვებების შედეგად.

დიაქრონიული კვლევის დროს შევისწავლეთ როგორც თავკიდური, ისე შუალედური თანხმონებთჯგუფები და დავადგინეთ, თუ რომელი ფონეტიკური ტრანსფორმაციები იყო დამახასიათებელი ამა თუ იმ კომბინაციისათვის.

## საკვანძო სიტყვები:

თავკიდური და შუალედური კონსონანტური კომპლექსები, ბინარული და პოლი-

კონსონანტური თანხმონებთჯგუფები, პალატალიზაცია, სონორიზაცია, ვოკალიზაცია, სინკოპა, ეპენტეზისი, მეტატეზისი.

## შესავალი

ესპანური ენა, სხვა რომანული ენების მსგავსად, ლათინურიდან მომდინარეობს, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ კასტილიური ენისათვის დამახასიათებელი კონსონანტური კომპლექსების ეტიმონი ლათინური ენის ლექსიკაში უნდა მოვძებნოთ. ჩატარებულმა კვლევამ გვაჩვენა, რომ ლათინური ენის კონსონანტური კომპლექსების ერთი ნაწილი მდგრადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, რის გამოც კონსონანტური კომბინაციები ვარირებას არ ექვემდებარებიან არც ეტიმონი და არც დერივატი ენის დონეზე. თუმცა, ლათინური ენის კონსონანტური კომპლექსების მეორე ნაწილი ვარირებისაკენ არის მიდრეკილი და ცვლილებებს ექვემდებარება ენის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე (შესაძლოა, დაფიქსირდეს იგივე კომპლექსების მდგრადობაც). სწორედ ვარირებად კომბინაციებს ეხება სტატია, სადაც გაანალიზებულია ყველა ის ფონეტიკური პროცესი, რომელიც თანხმონებთჯგუფების ვარირებასთან არის დაკავშირებული.

## ძირითადი ნაწილი

თავკიდური ლათინური კომპლექსები ესპანურ ვოკაბულაში ძირითადად სტაბილურია. თუმცა, ხშირად ფიქსირდება ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იგივე კომპლექსი ზოგ სიტყვაში მდგრადია, ზოგ სიტყვაში კი ვარირებას ექვემდებარება. სწორედ ამ ტიპის კომბინაციებში შევიყვანეთ შემდეგი კონსონანტური ჯგუფები: /bl-/, /fl-/, /gl-/, /kl-/, /pl-/, /pr-/.

თავკიდური კონსონანტური კომპლექსებიდან ორ კომბინაციას სტაბილურობასთან ერთად კომპლექსის გამარტივება ახასიათებს. მაგალითად, /bl-/ კომპლექსი, რომელიც გვხვდება ბერძნული ძირის ლათინურ blastimāre-ში, ესპანურ ენაში გვაძლევს lastimar-ს 'ზიანის მიყენება', ლათ. glatiŕe კი, სადაც თავკიდური ბინარული კომპლექსი /g/ და /l/ ფონემებით არის წარმოდგენილი, ტრანსფორმირდა როგორც ესპ. latir 'გულის ცემა'.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შემდეგი სამი კონსონანტური კომპლექსი, რომელთა პალატალიზაციაც ესპანური ენის ისტორიაში დაფიქსირებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფონეტიკური ვარიანტია. თავკიდური /fl-/ , /kl-/ , /pl-/ კომპლექსები არაერთი მეცნიერისათვის არის კვლევის ობიექტი. მათ შორისაა რ. ფენი, რომელიც ვარაუდობს, რომ ჩამოთვლილი კონსონანტური კომპლექსების მეორე ელემენტის პალატალიზაციისაკენ მიდრეკილება ჯერ კიდევ რომის იმპერიის რამდენიმე რეგიონში გავრცელებულ ხალხურ ლათინურში დაფიქსირდა. თუმცა, თავკიდური /fl-/ , /kl-/ , /pl-/ კომპლექსების ევოლუცია პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელებული ლათინურის კასტილიურ დიალექტში დასრულებულ სახეს მხოლოდ მოგვიანებით იღებს: flamma → /flama/ → /lama/ 'ალი' (გრაფიკულად: llama), clamāre → /kɫamar/ → /kamar/ 'დაძახება' (გრაფიკულად: llamar), plorāre → /pɫorar/ → llorar 'ტირილი' (გრაფიკულად: llorar) . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე სიტყვაში /pl-/ კომპლექსმა ევოლუციის განსხვავებული გზა განვლო, რაც კარგად გამოჩნდა ლათ. pluteus-ის ესპანური ეკვივალენტის მოძიებისას: ესპ. choza 'ქოხი'. სავარაუდოდ, პირენეის ნახევარკუნძულზე გავრცელებული ენებიდან იგი პირველად ლათინური ენის გალისიურ დიალექტში გადავიდა, სადაც ჩვეული მოვლენა იყო /pl/ კომპლექსიდან აფრიკატის მიღება, გალისიურიდან კი დამკვიდრდა კასტილიურ ენაში [6].

ჩამოთვლილი კონსონანტური კომპლექსები საინტერესოა მდგრადობის თვალსაზრისითაც. თანხმოვანთა ჯგუფების სტაბილურობა ფიქსირდება სალიტერატურო ლათინურიდან გავრცელებულ სიტყვებში, ესპანურში კატალანურის გავლით დამკვიდრებულ ვოკაბულებსა (როგორც ვიცით, კატალანურ ენაში არ დაფიქსირდა პალატალიზაციის მოვლენა) და ბოლო საუკუნეში მიღებულ ანგლიციზმებსა და გალიციზმებში: ლათ. flore → ესპ. flor 'ყვავილი', ლათ. platea → კატალ. plaça → ესპ. plaza 'მოედანი', ინგ. club → ესპ. club 'კლუბი', ფრ. cliché → ესპ. cliché 'კლიშე' და სხვ. აღნიშნული კომპლექსები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსიკური დუბლეტების შემთხვევაში, რაც კარგად გამოჩნდა ლათ. plenus-ის ევოლუციის კვლევისას. ეს უკანასკნელი ესპანურ ენაში ორ ვოკაბულას წარმოქმნის: ხალხური ლათინურის გზით გავრცელების შემთხვევაში ფიქსირდება პალატალიზაცია და ვიღებთ ესპ. lleno-ს 'სავსე', სალიტერატურო გზით გავრცელებისას კი ვიღებთ ესპ. pleno-ს 'შუა'.

რაც შეეხება /pr-/ კონსონანტურ კომპლექსს, ვარიანტების შემთხვევაში აღნიშნული კომპლექსით დაწყებულ სიტყვებში, ყრუ ოკლუზივის გამჟღერება ფიქსირდება: ლათ. prunu(m) → ესპ. bruno 'შავი ქლიავი'. როგორც მკვლევარები, მათ შორის ა. კილის მორალესი, წერენ, სონორიზაციის მოვლენა კელტურ ენასთან არის დაკავშირებული. ამ დასკვნას ისინი აკეთებენ პირენეის ნახევარკუნძულის (და არა მარტო) კელტებით დასახლებულ რეგიონებში აღმოჩენილ წარწერებზე დაყრდნობით, სადაც ლათინური სიტყვები გამჟღერებული ყრუ თანხმოვნებით გამოირჩევიან [4].

გაცილებით მრავალფეროვანია შუალედური კომბინაციების ისტორია, სადაც გვხვდება როგორც მხოლოდ ვარიანტული კომბინაციები, ისე ისეთი ჯგუფებიც, რომელთაც ზოგ სიტყვაში მდგრადობა შეინარჩუნეს, ზოგში კი ვარიანტს დაექვემდებარნენ.

ვარირებადი კომბინაციები, რომლებიც ძირითადად გემინატით არიან წარმოდგენილნი, ესპანურ ენაში გამარტივებული ფორმით გადადიან. აღსანიშნავია, რომ გემინატები მდგრადობას არც ლათინური ენის დონეზე ინარჩუნებდნენ, რადგან მათი ძირითადი ნაწილი მიღებულია ლათინურ კონსონანტურ კომპლექსთან დაფიქსირებული რეგრესული ასიმილაციის შედეგად. სწორედ ამ ტიპის ევოლუცია დაფიქსირდა ესპ. *siete*-სა 'შვიდი' და ესპ. *oso*-ს 'დათვი' ეტიმოლოგიის კვლევისას. პირველი ვოკაბულა მომდინარეობს ლათ. *sette*-დან, რომლის არქაულ ფორმასაც წარმოადგენს ლათ. *septem*, ხოლო მეორე სიტყვა მივიღეთ ლათ. *osso*-დან, რომლის არქაულ ვარიანტსაც წარმოადგენს ლათ. *ursum*.

მოდერნიზმის ეპოქის პრინციპებით რეალურად გამსჭვალულ პირველ ლიტერატურულ მიმდინარეობად, უდავოდ, სიმბოლიზმი იქცა. მიმდინარეობამ მოდერნული ეპოქის მანიქლზე განხორციელებულ უმთავრეს ცვლილებებს დაუდო სათავე. ზოგადად ხელოვნების სფეროში მიმდინარე გარდასახვა ქარულ ლიტერატურასაც შეეხო. იმდროინდელმა ახალბედა პოეტებმა გადაწყვიტეს ქართული პოეზიის გარდაქმნა ფრანგული რეალობიდან ნასაზრდოები ფორმების გამოყენებით.

საქართველოში 1910-იანი წლების შემდგომ დაწყებული პოეზიის განახლების ეტაპი თავდაყირა აყენებს პოეზიის ტრადიციულ ხედვას. ფრანგი სიმბოლისტების იდეები ქართველ შემოქმედებზე მომაჯადოებლად მოქმედებს. გავლენები იგრძნობა ყველგან და ყველაფერში. უბრალო გატაცება ნამდვილ მრწამსად იქცევა. პირველწყაროსთან ზიარების სურვილი ქართველ პოეტებს ფრანგული ტენდენციების შესწავლისაკენ უბიძგებს. თუმცა, მათ უმთავრეს მიზნად ფრანგული აზროვნების ეროვნულ ნიადაგზე გადმონერგვა იქცევა.

## საკვანძო სიტყვები :

სიმბოლიზმი, მიმდინარეობა, განახლება, მსგავსება, ტენდენცია, ფორმა, შედარება.

## У истоков грузинского символизма. Параллелизм французско- грузинского символистического мышления

*Хабешвили Белла Тимуровна*

*Тбилисский государственный университет*

*Факультет гуманитарных наук*

*Пр. И. Чавчаваძე №36, 0179, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 899 199 397*

E-mail : belakhab@yahoo.com

bkhabeishvili@mes.gov.ge

## Резюме

Первым литературным направлением, полностью пропитанным всеми характеристиками эпохи модернизма, без сомнения являлся символизм. Направление породило множество новшеств на протяжении эпохи модернизма. Перемены происходившие в области искусства, коснулись и грузинской литературы. Поэты того времени решились преобразить грузинскую поэзию путём применения форм, характерных французской поэзии.

В Грузии этап обновления поэтического мышления, начавшийся с 1910-х годов, основательно меняет традиционное поэтическое мировоззрение. Идеи французских символистов магически влияют на грузинских поэтов. Параллелизм мышления исходит отовсюду. Обычное влечение перерастает в некую веру. Стремление к истокам заставляет грузинских поэтов изучать основы традиций французского символизма. Но всё-же, одной из главных задач для них остаётся пророжение французского мышления на национальной почве.

## Ключевые слова:

символизм, направление, обновление, сходство, тенденция, форма, сопоставление.

**სოციალური მეცნიერებები**

**Social Sciences**

**Социальные науки**

# კულტურის პოლიტიკის არსი წერილი მესამე

(კულტურის პოლიტიკის განვითარების ისტორია ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის ქვეყნების და საქართველოს მაგალითზე. შედარებითი ანალიზი)

ქეთევან ახოვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო

ტელ.: 551 145 080

E-mail: ketevana@mail.ru

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია ის განსხვავებუბი, რომლებიც ჩანს აშშ-ს და ევროპული ქვეყნების კულტურის პოლიტიკაში. დასავლეთში დღეისთვის, ჩამოყალიბდა კულტურის პოლიტიკის ორი მოდელი, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სახელმწიფოს და კულტურის ურთიერთობის არსზე და გამოირჩევიან ურთიერთსაწინააღმდეგო აზრით.

პირველი მოდელი – ფრანგული, სახელმწიფოსთვის მთავარი ძალაა, რომელიც მაქსიმალურად მონაწილეობს ქვეყნის კულტურის პოლიტიკის განვითარებაში;

მეორე მოდელი – ამერიკული, სადაც სახელმწიფოს და კულტურის ურთიერთობა მინიმუმამდეა დაყვანილი (გამონაკლისს წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის კურსში კულტურის როლი, მისი მონაწილეობა).

სხვა დასავლეთის ქვეყნები, შუალედურ მდგომარეობას ირჩევენ ამ ორ მოდელს შორის.

## საკვანძო სიტყვები:

კულტურის პოლიტიკა, საფრანგეთის კულტურის პოლიტიკა, იტალიის კულტურის პოლიტიკა, ამერიკის კულტურის პოლიტიკა, გერმანიის კულტურის პოლიტიკა, სახელმწიფო ხელისუფლება.

## შესავალი

წინა ორ სტატიაში განვიხილე „კულტურის პოლიტიკის“ არსი, ტერმინის წარმოშობის ისტორია და თვითონ კულტურის პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო მართვის განსაკუთრებული მეთოდი, ისტორიულ-თეორიული და სამართლებრივი კუთხით.

როგორც აღვნიშნავდი, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეროვნული კულტურის პოლიტიკა, ალბათ, პირველ რიგში, მოდის ქვეყნის პოლიტიკური იდეოლოგიიდან, რადგანაც სახელმწიფო განსაზღვრავს კულტურულ პროცესებს და პრიორიტეტებს მხატვარს, შემოქმედსა და სოციუმს შორის. წარმოდგენილი გვქონდა კულტურის სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიის კონცეფცია და ის გზები, რომლის გამოყენებითაც შეიძლება ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება. შემოთავაზებული რეკომენდაციები რეალურად შესრულებადია და სულაც არ წარმოადგენს „რეკომენდაცია – რეკომენდაციისთვის“, არამედ კონკრეტულ ამოცანებს სახავს მიზნის მისაღწევად, კულტურის განვითარების სტრატეგიის საშუალებით.

საზოგადოების სოციალური განვითარება თავისთავად ითხოვს სახელმწიფოსგან გარკვეული მიდგომების გამომუშავებას კულტურის სფეროში, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტს წარმოადგენს. დღეს, ჩვენი მიზანია, დავაყენოთ ეს საკითხები, რომ ვინმემ მაინც იფიქროს, დედაქალაქის და რეგიონების კულტურის მართვაში არსებული წინააღმდეგობების, ხარვეზების სრულ გამოვლენაზე.

## ძირითადი ნაწილი

როდესაც მასალას გაეცანით, გამოიკვეთა ძირითადი შეფასება და ის განსხვავებები, რომლებიც არსებობს აშშ-ს და ევროპული ქვეყნების კულტურის პოლიტიკაში.

მკვლევართა აზრით, განვითარებულ ქვეყნებში, კულტურის პოლიტიკას ნაკლები ადგილი უჭირავს სახელმწიფოს მოღვაწეობაში, რადგან აქ კულტურაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ბიზნესის სფერო, რომლის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი თანხები. გარდა ამისა, იგი ერთდროულად მარეგულირებელიცაა დამკვეთიც, განსხვავებით განვითარებადი ქვეყნებისაგან, სადაც იზრდება კულტურული თვითმყოფადობისათვის, კულტურული იდენტობისათვის სწრაფვა და ბრძოლა. საქართველოში, ისევე როგორც განვითარებად ქვეყნებში, სახელმწიფოა მთავარი ინსტიტუტი, რადგანაც ის ერთადერთია ამ ეტაპზე, ვისაც შეუძლია კულტურის განვითარება უზრუნველყოს, რომელიც აუცილებლად თანახმიერებაში უნდა იყოს ქართველი ხალხის ეროვნულ მოთხოვნებთან [1].

ჩვენ, ძირითადად, მაინც აშშ-ს და საფრანგეთის კულტურის პოლიტიკა შევადარებთ ერთმანეთთან, რადგანაც მკვლევარები თვლიან, რომ ევროპულ ქვეყნებში დომინანტი კულტურის პოლიტიკაში საფრანგეთია და მისი განმსაზღვრელი ვექტორი გადის სწორედ ამ ქვეყანაზე.

მათივე აზრით, ამერიკისა და საფრანგეთის კულტურის პოლიტიკა თითქოს ანტიპოდებად გვევლინება, მაგრამ ეს არ შეიძლება შეფასდეს როგორც წინასწარ განსაზღვრული ან შემთხვევითი.

რაც დრო გადის, უფრო მჭიდრო ხდება კავშირი კულტურას და პოლიტიკას შორის, ისე როგორც, კულტურას და ეკონომიკას შორის. მრავალი ქვეყნის მმართველნი მიხედნენ ამას უკვე დიდი ხნის წინ; სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში ბოლო სამი ათეული წელია ვერ განხორციელდა რაიმე ღონისძიება ქვეყნის

მასშტაბით, სახელმწიფოებრივ დონეზე, რომ კულტურა განვითარდეს და თაობიდან თაობას გადაეცეს. კულტურას სჭირდება მხარდაჭერა პოლიტიკური ხელისუფლების და მოლიანად, საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფო ხომ მთავარი ინსტიტუტია მართვის სისტემაში, მაღალ დონეზე ქვეყნის კულტურის პოლიტიკის წარმართვისათვის. დაბალ, ქვედა დონეზე, სწორი დეცენტრალიზაციის პირობებში ეს რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზეც მოგვარდება (ასეა აშშ-ში). „კულტურის პოლიტიკა“ არის თანამედროვე ფორმებით სახელმწიფოს მონაწილეობა კულტურის განვითარებაში, რომელიც წარმოადგენს კულტურული მოღვაწეობის მარეგულირებელ-მაკორდინირებელ სუბიექტს. ის პირდაპირ უკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ფუნქციონირებას და სწორედ მან უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ყველა ფენისთვის მისი ხელმისაწვდომობა და განახორციელოს ყველა სახის შემოქმედების მხარდაჭერა. ასევე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კულტურის გასვლა სხვა ქვეყნებში, მათთან ურთიერთობისთვის და ურთიერთგაგენისთვის; სახელმწიფო, ასევე, აფინანსებს კულტურას და გამოხატავს მორალურ, იურიდიულ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, პრაქტიკულად, კულტურის ყველა სფეროში. კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხია – ვინ იღებს გადაწყვეტილებას?!

საქართველოს ხელისუფლებამ ვერც ერთ ეტაპზე, ვერ გაითავისა სხვა ქვეყნების მაგალითები და ვერ გააცნობიერა ის, რომ თვითონ პოლიტიკურ ხელისუფლებას სჭირდება კულტურა დამკვიდრებისთვის (გავიხსენოთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს მიერ დანერგილი და განხორციელებული საგარეო კულტურის პოლიტიკის უჭკვიანესი სვლები, რომლებიც დღესაც მუშაობს და მოიცვა მთელი პლანეტა). კულტურა და პოლიტიკა ურთიერთმიზიდულობას განიცდიან. სწორედაც რომ კულტურის



უმაღლეს გამოვლინებად ითვლება, დღეს, პოლიტიკოსების მიერ ასე ძლიერ გამოხატული ინტერესი კულტურისადმი (არ ვგულისხმობთ მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნიმუშების შესყიდვით შემოფარგვლას). გავიხსენოთ ძველი საბერძნეთის მმართველნი, როგორი დიდი კავშირი არსებობდა კულტურას და პოლიტიკას შორის. ან ალექსანდრე დიდი, მაკედონელი, რომლის იმდროინდელი მსოფლიოს დაპყრობის პოლიტიკამ გვაჩუქა ელინისტური კულტურა. საკმარისია იმ უამრავი შედეგის წარმოდგენაც, რომლებიც ამ დროს შეიქმნა.

საზოგადოების მოთხოვნას სახელმწიფო უნდა ისმენდეს და პასუხობდეს, რადგანაც კულტურული მოღვაწეობა არის კულტურის პოლიტიკის შემადგენელი.

არც ერთი მეთოდოლოგია არ არის უნივერსალური; ისინი წარმოადგენენ მხოლოდ საშუალებებს, განვაზოგადოთ და შევისწავლოთ ესა თუ ის საკითხი. თითოეული მათგანი ხელს უწყობს მკვლევარს ახლის მიგნებაში, ან ახლებურად გააზრებასა და წარმოჩენაში. ამიტომ, ჩვენს კვლევაში, ძირითადად მასალის მოძიებას და მათ შორის შედარებით ანალიზს ვანიჭებთ უპირატესობას. ახლა დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს.

დასავლეთში, დღეისთვის, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა კულტურის პოლიტიკის ორი მოდელი, რომლებიც დამოკიდებულია სახელმწიფოსა და კულტურის ურთიერთობის არსზე და გამოირჩევიან ურთიერთსაწინააღმდეგო აზრით.

პირველი მოდელი – ფრანგული, რომლისთვისაც სახელმწიფო მთავარი ძალაა, რომელიც მაქსიმალურად მონაწილეობს ქვეყნის კულტურის პოლიტიკის განვითარებაში;

მეორე მოდელი – ამერიკული, სადაც სახელმწიფოს და კულტურის ურთიერთობა მინიმუმამდეა დაყვანილი (გამონაკლისს წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის კურსში კულტურის როლი, მისი მონაწილეობა).

ამის მიზეზები, ამ ორი ქვეყნის განვითარების

სპეციფიკაში უნდა ვეძებოთ.

სხვა დასავლეთის ქვეყნები შუალედურ მდგომარეობას ირჩევენ ამ ორ მოდელს შორის.

განვიხილოთ ჯერ ამერიკული მოდელი. ამერიკა, არავისთვის ახალი არ არის, რომ ახალგაზრდა ნაციანა, ამერიკა ფედერალური ტიპის სახელმწიფოს წარმოადგენს. ამერიკის ხალხის იდენტობის საფუძველში დევს – ინდივიდუალური ინიციატივების და პასუხისმგებლობის ფასეულობები, self made man (ჩემი თავი თავად შევქმენი). ამერიკის მოსახლეობა ეთნიკურად მრავალფეროვანი და სწრაფად მზარდია. მაგრამ ამერიკაში ჩასული ემიგრანტები ხვდებიან meltingpot-ში და იქცევიან ერთ მთლიანად. თუმცა, როგორც მკვლევარები თვლიან, ამან არ მოიტანა სასურველი შედეგი. თავისი მრავალრიცხოვანი ეთნიკური ხასიათით, ბოლო დრომდე, ვერ ხერხდებოდა ინგლისური ენის ოფიციალურ, ფედერალურ დონეზე დამკვიდრება. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მხოლოდ 1986 წელს, კალიფორნიამ მისცა ინგლისურ ენას ოფიციალური სტატუსი და შემდეგ 22 შტატმა დაუჭირა მხარი.

ამერიკა, ანალიტიკოსების მტკიცებით, განსხვავებით საფრანგეთისგან (შედარებას ამ ორ ქვეყანაზე ვაკეთებთ, რადგან ისინი არიან დომინანტები მსოფლიოში), ვერ შედგა როგორც ერთ-სახელმწიფო ერთიანი კულტურით.

მოგეხსენებათ, რომ კონკრეტული საზოგადოება ქმნის თავის კულტურას საუკუნეების განმავლობაში და გადასცემს მას თაობებს. ასევე იქმნება პარალელურად სხვა კულტურები. სოციოლოგიაში კულტურას განიხილავენ რთულ და დინამიკურ წარმონაქმნად, რომელსაც აქვს სოციალური ბუნება და გამოიხატება სოციალურ ურთიერთობებში. იგივე სოციოლოგია იკვლევს კულტურის განვითარების დინამიკასაც (პროგრესი ხდება თუ რეგრესი);

ფრანგი მკვლევარი ოგიუსტ ჟირარი თავის წიგნში „Cultural Development: experi-

ences and policies“ თვლის, რომ კულტურის პოლიტიკა მაქსიმალური და პრაქტიკული მიზნების სისტემაა, რომელსაც მიყვება სოციალური ჯგუფი მის მიერ გამოყენებული საშუალებებით და რომელსაც, აგრეთვე, ხელისუფლებაც იყენებს (ადამიანური რესურსი, სახსრები, კანონი). ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთ სისტემაში მოიაზრებიან [2].

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ნაციონალური სასიათიდან გლობალური დატვირთვა შეიძინეს. ჩქარი ტემპებით ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა; მიუხედავად არაერთგვაროვანი პროცესებისა, ეს საქართველოს მაგალითზეც შეიძლება დავინახოთ, რომელიც პაწაწუნა მოდელია მსოფლიო პროცესებისა. ბოლო ათი წელია, ვუყურებთ და თვალს ვადევნებთ, როგორ მიმდინარეობს რადიკალური ცვლილებები (არაერთგვაროვანი, ზოგჯერ კუროსოზულიც) არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ დონეზე, არამედ კულტურაშიც. თითქოს მცდელობაა სულიერი აღორძინებისადმი სწრაფვისა. ყოველ შემთხვევაში, ამის მოთხოვნა ნამდვილად ჩანს. გაიზარდა პიროვნების, ინდივიდის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში. ფაქტია, რომ ამ ფონზე, კულტურის როლიც იზრდება მსოფლიო პოლიტიკაში. ევროპული და განვითარებული ქვეყნების ხელისუფლები სულ უფრო დიდ როლს ანიჭებენ კულტურის პოლიტიკის განვითარებას. მათ უკვე დიდი ხანია გაითავისეს, რომ სწორი კულტურის პოლიტიკა წარმატების საწინდარია არა მარტო ეროვნული ღირსებების დასაცავად, არამედ, ქვეყნის გარეთ დიპლომატიური ურთიერთობების დასარეგულირებლად. მათ კარგად ესმით, რომ პოლიტიკის სწორი კურსი საკმაოდ დიდი იდეოლოგიური იარაღია არა მარტო ეროვნული ინტერესების დასაცავად შინ და გარეთ, არა მარტო სახელმწიფო უშიშროებისათვის,

არამედ მას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიო პროცესებზე. სამწუხაროდ, საქართველო მხოლოდ უმნიშვნელოდ არის ჩართული ასეთ კულტურულ პროგრამებში, მაგრამ მცდელობა მაინც არის.

ამერიკელმა სოციოლოგმა ჯორჯ მერლოკმა, 1959 წელს შეისწავლა რა კულტურის უნივერსალიები, გამოყო 70 ასეთი უნივერსალია, რომელიც ყველა კულტურული ელემენტისთვის საერთოა: ასაკობრივი გრადაცია, სპორტი, სამკაული, კალენდარი, სისუფთავის დაცვა, საჭმლის მომზადება, მკითხაობა, განათლება, ენა, კანონი, ნათესავეები, მაგია და სხვ. ის თვლის, რომ ეს უნივერსალიები იმიტომ ჩნდება, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად აგებულია, ერთნაირი პრობლემები და იდეები აქვთ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ [3].

ამერიკული ელიტა წინააღმდეგია, ქვეყნის შიგნით, კულტურის მართვაში სახელმწიფოს „შეჭრის“ ან მონაწილეობისა. ის დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოს ჩარევა გამოიწვევს შემოქმედებითი ინიციატივების, მხატვრული შთაგონების ჩახშობას და თავს მოახვევს „კარგი გემოვნების რაღაც ეტალონს...“ [4].

სწორედ ამიტომაც, ამერიკაში არ არის კულტურის სამინისტრო, არც სხვა სახელმწიფო უწყებები ფედერალურ დონეზე (გამონაკლისი არსებობს, რადგან მასზეა ქვეყნის იმიჯის, საგარეო დიპლომატიის, კულტურის პოლიტიკის საგარეო კურსის მართვა). ამას, დამოუკიდებლად, აკეთებს – შტატი და ქალაქი. სოციოლოგები წერენ, რომ გამოკითხვით, ამერიკელები თვლიან, თითქოს ქვეყანაში საერთოდ არ არის კულტურის პოლიტიკა, მაგრამ ეს ასე არ არის.

აშშ-ს ხელისუფლება კი თავის სტრატეგიას, კულტურის სფეროში, სამი მიმართულებით ახორციელებს:

პირველი – იგი მთლიანად მოიცავს კულტურას (ანთროპოლოგიური გაგებით) თავისი მახასიათებელი დინამიკით, რომელიც

ბუნებრივად ყალიბდება, ვითარდება და არ სჭირდება გარედან ჩარევა.

მეორე – ის ემთხვევა კულტურული ინდუსტრიის პროდუქტს „მასკულტურას“, რომელიც ეკონომიკის ცალკე სექტორს აყალიბებს და საბაზრო კანონებს ემორჩილება. დღეს ითვლება, რომ ამერიკული მასკულტურა არის დომინანტი მსოფლიოში და ეს ბატონობა სულ უფრო გლობალური ხდება. მასკულტურის დომინანტობას იწვევს ის უდიდესი ფაქტორი, თითქოს ამ პროცესში სახელმწიფო ჩარევა და მით უმეტეს მონაწილეობა არც აუცილებელია და არც საჭირო.

მესამე – ტრადიციული მხატვრული კულტურა, კლასიკური ხელოვნება. აქ კი სახელმწიფოს ჩარევა ან დახმარება, უკვე აუცილებელი ხდება.

ამ მიდგომით, 1887 წელს, მიიღეს კანონი, რომ ხელისუფლებამ გამოეყოს შესაბამისი სუბსიდიები სახვითი ხელოვნების და კულტურისთვის. 1960–იან წლებში ფართოვდება დოტაციების პრაქტიკა.

ამერიკაში სამი სააგენტოა დაკავებული სუბსიდიებით:

1. ხელოვნების და კულტურის ნაციონალური ფონდი;
2. ჰუმანიტარული მეცნიერებების ნაციონალური ფონდი;
3. მუზეუმების და ბიბლიოთეკების ინსტიტუტი.

ხელოვნებას და კულტურის სხვადასხვა სფეროებს, ფინანსურ დახმარებას უწევენ კერძო ფონდები (განსაკუთრებით როკფელერის) და კერძო ბიზნეს სექტორი.

ოფიციალური მონაცემებით, ამერიკაში ხელოვნების და კულტურის სუბსიდირება 2002–2003 წწ. 60 მლნ. დოლარით შეამცირეს; პრეზიდენტ ბუშის დროს ეს მონაცემები უფრო გაუარესდა და 2004 წელს შეადგინა 2002 წლის ნახევარი ბიუჯეტის; 2000–2001 წლებში შემცირდა კერძო დაფინანსებებიც. ყველამ შეამცირა ხარჯები ხელოვნებაზე და კულტურაზე და დაუბრუნდნენ 1990–იან

წლების დონეს. ამას დაემატა ისიც, რომ გაუქმდა საგადასახადო შეღავათები იმათთვის, ვინ ქველმოქმედებით იყო დაკავებული [5].

ამერიკა რომ თავისი მულტიკულტურული საზოგადოებით უნიკალურია, ეს გასაგებია; მაგრამ მან მოახერხა ამ კულტურის ახლებური ფორმირება. სოციოლოგი და ჟურნალისტი გ. ფილიმონოვი თვლის, რომ ამერიკის მაღალი კულტურა დიდწილად არის “ევროპული კულტურის ასლი ან გაგრძელება”. ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ სახვითი ხელოვნება, მასაც კრიტიკოსები „სუროგატულ კულტურას“ უწოდებენ.

სამაგიეროდ, ამერიკელი სოციოლოგები და ანალიტიკოსები, დონ ადამსი და არლენ გოლდბარდი თვლიან, რომ ამერიკაში სახელმწიფო ზრუნავს კულტურის შიდა პოლიტიკაზე, რომელიც გამოიხატება ევროპიდან მოსული ტრადიციების შენარჩუნებაში (ოპერა, ბალეტი, სიმფონიური ორკესტრი...). ამერიკელებს აინტერესებთ ყველაფერში შედეგი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკაში მიმდინარე კულტურის პოლიტიკის ყველა პროცესი ერთნაირად სწორად მიმდინარეობს და სამაგალითოდ გამოდგება ჩვენთვის. ამაზე, თვითონ ამერიკელი მკვლევარებიც ფიქრობენ. ისინი თვლიან, რომ არასაკმარისი კვლევა და რეაგირება ხდება ქვეყნის შიგნით არსებულ ეთნიკურ ჯგუფებში, თემებში, მიმდინარე კულტურული პროცესების მიმართ. სამწუხაროდ, ამერიკაშიც არსებობს ისტორიულად ისეთი ფაქტები, როცა ხდებოდა ადგილობრივი ინდიელების ტრადიციებზე არა მარტო ზემოქმედება, არამედ აგრესიული და ძალადობრივი ასიმილაცია დომინირებულ კულტურასთან. ეს პროცესი ოდნავ გამოსწორდა XX ს-ის მეორე ნახევარში. არის მეორე ასპექტიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი, რომელიც ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ეს რასიზმია, რომელიც თუ ადრე აფროამერიკელებზე და

ინდიელებზე ვრცელდებოდა, დღეს აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან გამოსულ ეთნიკურ ჯგუფებზე გადავიდა – აღნიშნავს გ. ფილიმონოვი [6].

შეგახსენებთ, რომ დღეს მთავარი, ცენტრალური რგოლი, ვინც ქვეყნის შიდა კულტურის პოლიტიკას წარმართავს ამერიკაში, ამ ეტაპზე კერძო და არასამთავრობო სექტორებია. მაგრამ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში (რუსველტის პრეზიდენტობის დროს), სახელმწიფო იყო წამყვანი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის. ერთ-ერთი ძირითადი დაწესებულება კულტურის პოლიტიკის რეალიზაციისთვის არის კულტურის და განათლების ბიურო (Bureau of Educational and Cultural Affairs), რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურაშია. არამერიკელი მკვლევარები აქცენტს აკეთებენ იმ საკითხზე, რომ ამერიკის კულტურის პოლიტიკაში წინა პლანზეა საგარეო პოლიტიკა და არა შიდა პოლიტიკა. მაგრამ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ დღეისათვის ამერიკამ შეამცირა სახელმწიფოს როლი ქვეყნის შიგნით კულტურის პოლიტიკაში, სამაგიეროდ გააძლიერა ის შტატის და ადგილობრივ დონეზე.

მაშინ, რა უნდა ვთქვათ საქართველოზე, როცა ქველმოქმედებაზე საგადასახადო შეღავათებიც არსებობდა და განბაჟებისთვის მხოლოდ 3% იყო გადასახადი, ან სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, სულ განთავისუფლებდნენ; ხოლო ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქველმოქმედოდ გამოგზავნილი საქონლის განბაჟება 18% გახდა, როგორც კომერციული ტვირთი. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ამერიკიდან ქველმოქმედებისთვის გამოგზავნილი საგნები (პიგიენის და ყოფითი ქიმიის, კოსმეტიკის საშუალებები, ჩასაცმელი, ფეხსაცმელი, სამკაულები და ა.შ. ბიზნეს-საშუალებად აქციეს და ამით საერთოდ გააფუჭეს სხვა NGO-ების იმიჯი.

2008 წლიდან დაწყებულმა ფინანსურ-

ეკონომიკურმა კრიზისმა, კულტურა და ხელოვნება „არსებობის ზღვართან“ მიიყვანა.

ნიუ-იორკის კულტურის კომისიის წევრი კ. ლევინი კრიტიკულად აფასებს ამ შექმნილ სიტუაციას. გამოთქვამს შიშს, რომ, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლებელია, სულ შეწყდეს ხელოვნების და კულტურის დაფინანსება.

როგორც აღმოჩნდა, არც ევროპაშია საქმე უკეთესად. უსახსრობის გამო, მნახველებისთვის დაიხურა ვერსალის შენობის 1/5; იქვე დაიხურა ვერსალის შესანიშნავი თეატრალურ-საკონცერტო დარბაზიც, რომელიც თავისი აკუსტიკით, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში [7].

აღბათ, არ არის იმის მტკიცება საჭირო, რომ ამერიკის პოლიტიკამ, კულტურის პოლიტიკამ, ზოგადად, დიდი ზეგავლენა მოახდინა სხვადასხვა დროს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ყოფაზე, მენტალობაზე, აზროვნებაზე... დღემდე მეცნიერები კამათობენ ტერმინის – „ამერიკული კულტურა“ შესახებ და არაერთგვაროვანი, ხან ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები აქვთ.

XX ს-ის მეორე ნახევარში, „ცივი ომის“ პერიოდში, ამერიკის სახელმწიფოს „არაოფიციალური“ იდეოლოგიური იარაღია – კულტურა, თავისი ყველა მიმართულებით. იწყება მისი აღზევება და კულმინაციას საუკუნის ბოლოს აღწევს, რომელიც მჭიდროდ „მიკრული“ აღმოჩნდა გლობალიზაციის პროცესებთან და ხშირ შემთხვევაში, დომინანტი ძალაც არის. ამიტომ გაუჩნდა მსოფლიოს ამერიკული კულტურის ექსპანსიის შიში, რომ ამერიკული კულტურა გაანადგურებს ისტორიულ-კულტურულ მრავალფეროვნებას მსოფლიოში და შექმნის ერთიანი „კულტურულ სტერეოტიპის უნივერსალურ სტანდარტს“. გვინდა თუ არა, აღიარება მაინც მოგვიწევს, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარი და XXI საუკუნის დასაწყისი ამ კულტურული ექსპანსიით გავიარეთ (ჯინსები, მუსიკა, საღებავი რეზინა, კინო...) ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა და

მეტყველებს კულტურის ფაქტორის, მისი როლის გაზრდაზე სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში.

ამერიკის შიდა სახელმწიფო კულტურის პოლიტიკა არსით განსხვავდება მისი საგარეო კურსისგან და ფუნქციებისგან. მკვლევარები თვლიან, რომ ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ის ქვეყნის შიგნით არასრულყოფილადაა გამყარებული ან, სულაც არ არის განსაზღვრული.

მაგრამ, რამ განაპირობა ამერიკის ეს კულტურული ლიდერობა?! თვლიან, რომ ბევრ სხვა ფაქტორებთან ერთად, ერთ-ერთი უპირველესია უდიდესი ფინანსური კაპიტალის არსებობა და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი.

შემოქმედის წახალისება არის კულტურის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი. ამერიკაში ასეთ დროს სახელმწიფოს როლი შეზღუდულია, რადგან კერძო ბიზნეს სექტორი განკარგავს მას, ხოლო სსსკ-ში და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ამ როლს სახელმწიფო ინსტიტუტები ასრულებდნენ. დღეს, უკვე, რადგან საქართველოში დარღვეულია ბალანსი შემოქმედსა და სახელმწიფოს შორის, შემოქმედის წამახალისებლად, ძირითადად, კერძო სექტორი გვევლინება.

ამ სტატიის ფორმატი საშუალებას ვერ იძლევა, სრულად წარმოგიდგინოთ ამერიკის კულტურის პოლიტიკის როლი. ის უფრო ფართო კვლევის საგანია.

-კულტურა არ არის სფერო, რომელზეც უნდა დახარჯო; კულტურა არის ის რესურსი, რომელმაც შეიძლება გააძლიეროს ქვეყნის ხვალისდელი ეკონომიკა;

-ამერიკის მიზანია, თავისი ქვეყნის კულტურის მაქსიმალური საგარეო განფენა;

-შიდა კულტურაში სახელმწიფო თითქმის არ ერევა;

-მთავრობა ხელოვანს კი არ უნდა აფინანსებდეს, არამედ უნდა შექმნას ბაზარი მხატვრული ფასეულობების და მისი მომხმარებლებისათვის.

„...ჩვენ გვინდა არა „ახალი ნახატები“,

არამედ ახალი მაყურებელი, „...უნდა გავაფართოვოთ ხელოვნების მოყვარულთა აუდიტორია...“ ის თვლის, რომ „... ჩვენ ვეყრდნობით კერძო სექტორს; ის მყარია და ეს შემოქმედების თავისუფლების საწინდარია. ჩვენი სისტემა აგებულია პარტნიორობაზე ფედერალურ, შტატის ხელისუფლებას, სააგენტოებს, და კერძო სპონსორებს შორის. ეს რთული სისტემაა, მაგრამ ის კარგად მუშაობს! ჩვენ გვჭირდება ხელოვნების მომხმარებელი, რადგან ხელოვანთა რესურსი საკმარისია ქვეყანაში...“- ამბობს დეინა ჯოია, რომელიც ნაციონალური ფონდის ხელმძღვანელია.

ახლა განვიხილოთ მეორე, ფრანგული მოდელი.

2011 წელს, საფრანგეთის პრესაში ჩნდება ხმაურიანი წერილები ამერიკის „კულტურული ექსპანსიის“ შესახებ. ამ პროცესში მთავრობაც ჩაერთო და დაიწყო კამპანია ამერიკული „კულტურული ექსპანსიის“ წინააღმდეგ.

რამ შეაშინა ფრანგები ასე და რა იყო ამ კამპანიის მთავარი მესიჯი?!

ძირითადი გზავნილი იყო – „ფრანგული იდენტობის დაცვა“, რომელსაც გლობალიზაცია ემუქრება. ამ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან გაიზარდა სუბსიდიები (განსაკუთრებით ნაციონალურ კინოინდუსტრიაში), მუნიციპალიტეტებმა მკაცრი გადაწყვეტილებები და დადგენილებები მიიღეს და დიდი ჯარიმა დააწესეს მათთვის, ვინც რეკლამებში არაფრანგულ, ინგლისურ ან სხვა ენებს გამოიყენებდა. პოლიტოლოგი ს. კოსენკო, რომელიც საფრანგეთში, ლოზანის საპატიო კონსულის მოადგილედ მუშაობდა და საფრანგეთის კულტურის პოლიტიკის ფუნდამენტალური კვლევა ჩაატარა, თვლის, რომ საფრანგეთმა გაუძლო ისტორიულ კატაკლიზმებს, დარჩა ევროპაში სულიერების „მუქურა“ და „ვერსალის სისტემის“ შექმნით, ტრადიციული და ეფექტური სახელმწიფო კულტურის პოლიტიკით მიაღწია დიდ შედეგებს

– თავისი ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებისთვის და კულტურაში სპეციფიკური ნაციონალური ინტერესების დასაცავად, მაშინ, როცა, იტალიაში და გერმანიაში ისინი მშვიდად „დაუწვნენ“ ამერიკულ მოედანს [8].

ვფიქრობთ, არავის არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ საფრანგეთის კულტურა ერთ-ერთი მდიდარია ევროპაში და საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიო სულიერების საგანძურში თავისი ფასეულობებით. ზედმეტად მიმანია გვარების ჩამოთვლა იმის გამოც, რომ ეს ფორმატი ამას ვერ გაუძღვება, ამიტომ მოვიყვან რამდენიმე ფაქტს საფრანგეთის ისტორიიდან. დავიწყოთ ფრანგული ენით:

საფრანგეთს აქვს კანონი ნაციონალური ენის დაცვისთვის და ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც მოქმედებს ეს კანონი. ნაციონალური ფრანგული ენის კანონს, ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდა, ძალიან საინტერესო ისტორია აქვს. მკვლევარები თვლიან, რომ კულტურის პოლიტიკა, ზოგადად, აქედან იწყებს თავის არსებობას. საფრანგეთის მეფემ ფრანსუა I (ფრანცისკ I) 1530 წელს დააარსა ლექტორთა სამეფო კოლეგია, რომელიც იქცა შემდგომში „კოლეჯ დე ფრანს“-ად. ის ეწინააღმდეგებოდა ლათინურ ენას.

1539 წელი – ოფიციალურ დოკუმენტებში საბოლოოდ გაამყარეს ფრანგული ენა, ლათინურის მაგივრად. იმავე დროს შეიქმნა სახელმწიფო არქივის სამმართველო, რომელიც დღემდე კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და მის ისტორიულ საფუძველს წარმოადგენს.

1635 წელი – კარდინალი რიშელიე ქმნის ფრანგულ აკადემიას.

1637 წელი – აკადემიის წევრი რენე დე კარტი აქვეყნებს „მსჯელობა მეთოდზე“, რომელმაც ფრანგული ენა ფილოსოფიის ენად აქცია.

ლუდოვიკო XIII და ლუდოვიკო XIV დროს ყველაზე კომფორტულად და იდეალურად

თავს გრძნობენ ხელოვანები; ასე ყალიბდება ფრანგული კულტურის პოლიტიკის სახე.

საბოლოო ინსტიტუციონალური ფორმა საფრანგეთის კულტურის პოლიტიკამ მიიღო პრეზიდენტ დე გოლის დროს, რომელმაც 1959 წელს შექმნა სამინისტრო კულტურის საკითხებზე.

2010 წელს საფრანგეთის კულტურის მინისტრად ინიშნება ფრედერიკ მიტერანი, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს ჩინოვიკად ითვლება. მან ჩაატარა სერიოზული რეფორმები (მათ შორის, საკადროც) და გააძლიერა ურთიერთობა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, საფრანგეთის საგარეო კულტურის პოლიტიკის გასაძლიერებლად.

XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე, გლობალიზაციის ფონზე აქტუალური ხდება კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება. სხვა ქვეყნებისთვის, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი ნაციონალური თვითმყოფადობისთვის, საფრანგეთის კულტურის პოლიტიკის მაგალითი, ეს არის ეფექტური ინსტრუმენტი ერის გაძლიერებისთვის და ფაქტორი, ნაციონალური თვითმყოფადობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის.

კულტურის პოლიტიკა ფრანგული ფენომენია, მას ღრმა ფესვები აქვს გადგმული საფრანგეთის ისტორიაში და თანმიმდევრულად ვითარდებოდა.

კულტურა, თავისი მრავალფეროვნებით, არის ფრანგების ნაციონალური თვითშეგნების მთავარი მომენტი.

საფრანგეთის უდიდესი დამსახურება იმაშიცაა, რომ ყოველივე სხვასთან ერთად, ის არის მაგალითი, როგორ შეუძლია პროგრესულ სამამულო პოლიტიკას, დაიცვას ეფექტური ინსტრუმენტებით ნაციონალური მახასიათებლები გარე კულტურული ექსპანსიისაგან და საკუთარი სახელმწიფოსგან მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. პარადოქსია, თან მწარე რეალობაც, რომ მიუხედავად ყველაფრისა, სულ ცოტა ხნის წინ, უახლოეს წარსულში, საფრანგეთის მთავრობამ კულტურაზე გამოყოფილი თანხები შეამ-

ცირა... [9].

ჟურნალის „Власть“ ელექტრონულ ვერსიაში აღმოვაჩინეთ მონაცემები, რომ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ, საფრანგეთი პირველ ადგილზე იყო ევროპაში. სახალხო დიპლომატიისა და კულტურული პროგრამებისთვის (17% მოდიოდა ერთ სულ მოსახლეზე, ამერიკის 65 ცენტთან უპირატესობაში ერთ მოსახლეზე), თანხების გამოყოფით, მას მოსდევდა კანადა, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი. [10]

კულტურული ცვლილებები, მოგეხსენებათ, გულისხმობს კულტურის შიგნით მომხდარ ტრანსფორმაციებს. ჩვენ ვცდილობთ, აღმოვაჩინოთ საერთო და განსხვავება იმ კულტურის პოლიტიკის პროცესებისა, რომლებიც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს და გავიაზროთ ის საქართველოსთან მიმართებაში. ბოლო ათი წელი საქართველოში ეს პროცესები ურთიერთსაწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. ეს იმაშიც გამოვლინდა, რომ აშკარად იყო მცდელობა (უმნიშვნელოდ), ინოვაციური ხასიათის განვითარებისაკენ. მაგრამ უფრო დიდი პროცენტი იყო არასწორი, უფრო სწორად კი, არარსებული კულტურის პოლიტიკის გამო, რომელმაც დეგრადირება გამოიწვია უამრავი მიმართულების, მათი ფუნქციების, ვინაიდან ქვეყანაში დაიკარგა სოციალური აქტივობა. ეს, თავისთავად, მოსახლეობის მარგინალიზაციის შეგნებულად გაზრდილმა პროცესებმა, ფასეულობათა გადაფასების რთულმა პროცესებმა, ზნეობრიობის ორიენტირებმა, სოციალიზაციის და ინკულტურაციის შესუსტებამ გამოიწვია.

ჩვენი არსებობის ბოლო 25 წელმა დაგვანახა, რომ იმძლავრა სოციოკულტურულმა დესტრუქციამ. ამას ხელი შეუწყო გარე და შიდა ისტორიულმა პირობებმა: საბჭოთა კავშირის ნგრევა, აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიების ანექსია, სამოქალაქო ომი თბილისში და ბოლოს, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი...

ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთ ადგილას

ვიდექით. მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ვერ მოხერხდა ქართული ეთნოკულტურული პროგრესი იმ დონეზე, როცა ერს შეეძლო, თავისი ინტელექტუალურ-კულტურული რესურსის რეალიზება მოეხდინა, რისი სურვილიც გვაქვს (ეს არ ეხება ინდივიდებს, რადგან, საბედნიეროდ, ქართველ ერში, ყოველთვის გვხვდებოდა და გვხვდება ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ქართული გენის გენიალობის მატარებელი და გადამცემი ხდებიან). გაგახსენებთ, 2008 წლის რამდენიმე დღიანმა რუსეთ-საქართველოს ომმა გამოიწვია პატრიოტიზმის და ნაციონალიზმის შეგრძნების გაზრდა. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გამოჩნდა ტენდენცია კონსერვაციისა და თვითნაკეტილობისკენ სწრაფვისა.

ვიცი, რომ უამრავი ხელისშემშლელი პირობა, მიზეზი არსებობდა. მართალია, ამით გულს ვერ დავიმშვიდებთ, მაგრამ ქართულმა კულტურამ, საბედნიეროდ, შეძლო თითო ინდივიდის, ჯგუფის და ორგანიზაციის დონეზე გამოსულიყო ევოლუციური პროცესების თანამონაწილე და ჩართულიყო მსოფლიო კულტურათა დიალოგში, გასაცნობად წარმოეჩინა ქართული ეროვნული კულტურის მახასიათებლები და თვითონაც შემოეტანა სხვა კულტურათა ფასეულობები.

ამ კულტურული სინთეზით მივდივართ, ზოგჯერ, სინკრეტიზმამდე (სხვა კულტურებთან კონტაქტით ისეთი ელემენტების ცვლილება, რომელიც ახალი სტრუქტურების ჩასახვას უწყობს ხელს). მეორე სტატიაში, სადაც კულტურის პოლიტიკის სახელმწიფო სტრატეგიას განვიხილავდით, ჩვენ გამოვყავით მიგრანტების როლი ქვეყნის კულტურულ ცვლილებებში. მათ პირდაპირ ან ირიბად შეუძლიათ ზემოქმედება იქონიონ, რადგან ისინი გვევლინებიან ინფორმაციის გადამცემებად სხვადასხვა საშუალებებით [ქ. ახობაძე. Scripta Manent, №4(2014):105–119]. თუ ისინი კულტურულ ადაპტაციას მოახერხებენ ქართულ (ან ნებისმიერი) კულტურასთან, მაშინ ისინი ჩართულნი აღმოჩნდებიან

მისი პოპულარიზაციის პროცესში (გვულისხმობს სატელევიზიო შოუში „ნიჭიერი“ მათ მონაწილეობას, სხვადასხვა ეროვნების მუსიკალური ჯგუფები თბილისის მეტრო სადგურებთან და მიწისქვეშა გადასასვლელებში, როცა ქართულ სიმღერებს მღერიან, თავის ეროვნულთან ერთად, რუსთაველის მეტროსთან „მომუშავე“ ქართულად მოლაპარაკე ზანგი მათხოვარი ...)

ჩვენ, მეტ-ნაკლებად წარმოვადგინეთ კულტურის პოლიტიკის ორი დომინანტი მოდელი. მაგრამ, საინტერესოა, როგორ ვითარდება ეს ხაზი ევროპის სხვა ქვეყნებში?! შევეცდებით მოკლედ წარმოვიდგინოთ ისინი.

ინგლისსა და გერმანიაში, ანალიტიკოსების აზრით, მუშაობს შუალედური მოდელი ფრანგულ-ამერიკულ მოდელებს შორის. ინგლისის სახელმწიფო ხელისუფლება უარს არასოდეს არ ამბობდა ჩარეულიყო ქვეყნის კულტურის განვითარებაში, თუნდაც ნაწილობრივ. მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმი, პირველი სახელმწიფო მუზეუმი, იკვლევს კულტურულ მემკვიდრეობას, კულტურულ ფასეულობებს, იცავს და ავრცელებს მას. იგი დააარსეს 1759 წელს, იმაზე ადრე, ვიდრე ლუერი. ბრიტანეთის ცენტრალური ხელისუფლება თავს იკავებს კულტურაში პირდაპირ ჩარევა-მონაწილეობისაგან, ურჩევნია შუამავლის როლი ითამაშოს. აქ სუბსიდიებს ანაწილებს არა სახელმწიფო. არამედ კოლექტივური ორგანოები, რომლებიც თავისუფლები არიან თავიანთ ქმედებებში და გადაწყვეტილებების მიღებაში. ასეთებია: ბრიტანული საბჭო და დიდი ბრიტანეთის სამხატვრო საბჭო. 1992 წელს შეიქმნა ნაციონალური მემკვიდრეობის დეპარტამენტი, რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო სხდომებში და დაახლოებით ისეთი ფუნქცია აქვს, როგორც კულტურის სამინისტროს (არა ისეთი, ქართული გაგებით, როგორც საქართველოში არსებობს და ფუნქციონირებს). ის ახორციელებს ბრიტანულ საგარეო კულტურის პოლიტიკასაც; მისი ზედამხედველობის ქვეშ არის ყველა

საჭირო ოფისი, „ბი-ბი-სი“, თვით ბრიტანეთის ბიბლიოთეკა უფრო დიდ ყურადღებას უთმობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ვიდრე თანამედროვე სახვითი ხელოვნების და კულტურის სხვადასხვა მიმართულების მხარდაჭერას.

გერმანია, ამერიკის მსგავსად, ფედერალური მოწყობისაა. არც აქ არის კულტურის სამინისტრო ფედერალურ დონეზე. შიდა კულტურის პოლიტიკის მართვა და სხვა ფუნქციები (კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მხატვრული საკუთრების დაცვა, მხატვართა სოციალური დახმარება და სხვა) მიკუთვნებული კი არის ფედერალური ხელისუფლების კომპეტენციისთვის, მაგრამ მაინც არ მუშაობს ფედერალურ დონეზე. კულტურაზე გამოყოფილი თანხები გადადის ქალაქ-კომუნებში, სადაც ამ თანხის 40% ხმარდება მის განვითარებას და მიუხედავად, ამ მხრიდან არსებული წინააღმდეგობისა, ხელისუფლება ცდილობს გაზარდოს სუბსიდიები ხელოვნებასა და კულტურაზე.

სსრკ-ში კულტურის პრობლემები იმაში კი არ იყო, აღნიშნავენ რუსი ექსპერტები, თუ სად ეშოვათ ფული, არამედ როგორ „გაეტანათ“ ცენზურისგან, თორემ მნახველი სულ იყო. წიგნის დაბეჭდვა იყო მთავარი, თორემ წამკითხველს რა გამოლევდა... ახლა კი რა ხდება?! ფული და ბაზარი შევიდა კულტურაში და მან „საქონლის“ სახე მიიღო [11].

საფრანგეთში კი ეს პრობლემები წყდებოდა ნელა და სახელმწიფოს დახმარებით.

კულტურული ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ცხოვრებაში, ოღონდ, მარტო ქვეყნის შიგნით არა. სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში იკვეთება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტენდენციები. ინტეგრირება მსოფლიო სივრცეში, როგორც სხვებისთვის, ისე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია; განსაკუთრებით კი კულტურით, რადგან ქართული კულტურა ეს ჩვენი ერის ანარეკლია.



თანამედროვე დიპლომატიაში, უკვე გამოიყენება ტერმინი „საგარეო კულტურული პოლიტიკა“, რადგან მიიჩნევა, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება, მთელი მსოფლიოს ქვეყნებისათვის, თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ყველა ქვეყანა ცდილობს დაიცვას და გამოიყენოს 1982 წელს, მეხიკოს კონფერენციაზე, იუნესკოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კულტურის სფეროში ურთიერთობა-თანამშრომლობაზე [12].

### დასკვნა

კულტურის პოლიტიკა ყველა ქვეყანას თავისებურად ესმის. განვითარებული ქვეყნებისთვის საგარეო კულტურის პოლიტიკაზე საუბარი ადვილია, მაგრამ როდესაც საქართველოში არც კი არსებობს კულტურის პოლიტიკის განვითარების კონცეფცია და არც სახელმწიფოებრივ დონეზე გააზრებული კულტურის როლი ქვეყნის განვითარებაში (როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე). სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საუბარი საქართველოს საგარეო კულტურულ პოლიტიკაზე ზედმეტია. საქართველოში, არსებული რეალობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, კულტურა და კერძოდ, ხელოვნება უბრალოდ ვერ იცოცხლებს ფინანსური და სხვა მხარდაჭერის გარეშე. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, ჩვენი ხელისუფლების და კულტურის სამინისტროს არასწორმა ჩარევამ გამოიწვია შემოქმედების თავისუფლების ჩახშობა (არა მარტო) და ამან მიგვიყვანა მდარე ხელოვნების შექმნამდე (არამც და არამც, მე არ ვგულისხმობ დღევანდელ ქართულ კულტურას მთლიანობაში). დამერწმუნეთ, ბევრად უფრო ადვილია იკვლიო წარსული, თავის ფასეულობებით, ვიდრე

აკეთო დღევანდელობაში მიმდინარე პროცესების ანალიზი. ამას ბევრი მიზეზი აქვს (ინფორმაციული, პროფესიონალური, ადამიანური და ა.შ.). საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა შექმნას შემოქმედებისთვის მატერიალური პირობები. ჩვენთან კი, სახელმწიფო არა თუ არ ერევა, საერთოდ არ აინტერესებს არც კულტურა და არც ხელოვნება.

### ლიტერატურა

1. ქ. ახოვაძე (2014): ქ. კულტურის პოლიტიკის არსი. წერილი პირველი, წერილი მეორე., საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent“, №4(24)
2. Girard A. (1983): „Cultural Development: experiences and policies“. Second edition
3. bookucheba.com/page/kulturologis, Кравченко А.И. (2002): Культурология: Учебное пособие для вузов.– 3-е изд. М.: Академический Проект, – 496 с.
4. www.Grandars.ru, Культура и политика
5. Филимонов Г. Ю. (2013): Внешняя политика США как компонент «Мягкой силы», dissercat.com/vneshnyaya...M.
6. Филимонов Г. Ю. (2013): Внешняя политика США как компонент «Мягкой силы», dissercat.com/vneshnyaya...M.
7. Яндекс, директ
8. Косенко С.И. (2011): Мягкое могущество в твёрдой упаковке. – М. МГИМО
9. Рубинскот Ю. И. Франция время Саркози. М. Международные отношения
10. Власть. журнал, №2, 2012, с.22-27
11. Берелович А.Я. «Из опыта культурной политики во Франции», budgetrf.ru/publications/... копия

12. UNESCO.Mexico Citi Declaration on Cultural Policies. Word Conference on Cultural Policies. Mexico City, 26 July-6 August 1982 portal. unesco.org/.../11295421661mexico.../mexico\_en.pdf

## **Сущность политики культуры Письмо III**

**(История развития политики культуры на примерах США, евростран и Грузии. Сопоставительный анализ)**

*Ахобадзе Кетеван Мамиевна  
Грузинский технический университет  
Департамент социальных наук  
Ул.Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел.: 551 145 080  
E-mail: ketevana@mail.ru*

### **Резюме**

В статье рассмотрены те различия, которые видны в политике культуры США и евростран. На Западе, на сегодняшний день образовались две модели политики культуры, которые зависят от связи государства с культурой и выделяются взаимопротивоположными взглядами. Первая модель – французская, для государства она является главной силой, она максимальное участие проявляет в развитии политики культуры страны. Вторая модель – американская, где отношения государства и культуры доведены до минимума (исключением является лишь роль культуры, ее участие в международной политике).

Все остальные западные страны выбирают из этих двух моделей состояние золотой середины.

### **Ключевые слова:**

Политика культуры, политика культуры Франции, политика культуры Италии, политика культуры Германии, политика культуры Америки, государственная власть.

## **The Essence of Culture Politics Letter Three (The history of culture politic development on the model of USA, EU and Georgia. Comparative analysis)**

*Ketevan Akhobadze  
Georgian Technical University  
Department of Social Sciences  
77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia  
Tel. : 551 145 080  
E-mail: ketevana@mail.ru*

### **Abstract**

This article discusses the differences that are observed in the cultural policy of the USA and Europe. In the West, at present, are formed two models of cultural policy that depend on the essence of the relationship between the state and culture and are characterized by the opposite opinion.

The first model - the French, for which the main source of strength is the state that is maximally involved in the development of cultural policy;

The second model - the American, where the relationship between state and culture is minimized (the exception is the role of culture in the foreign policy).

Other Western countries prefer the intermediate state between these two models.

### **Keywords:**

Political culture, political culture of France, political culture of Italy, political culture of Germany, political culture of USA, the government.



**ჟურნალის რედკოლეგია**

**მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**გიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**კულპაშ ბეიბიტოვა** – ვერახის გუმბილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)

**ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)

**ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

**ია ბურდული** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი

**სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

**ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

**Редколлегия журнала**

**Майя Чхеидзе** – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, профессор

**Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор

**Виола Пурцеладзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор

**Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор.

**Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

**Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

**Таня Грисхаммер** – Магистр филологии (DAAD)

**Кетеван Габуния** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор

**Ия Бурдули** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

**Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

**Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

**Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, профессор

**Альба Грациано** – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор

**Алессандра Спадафора** – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

**Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

**Русудан Гоциридзе** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

**Editorial board**

**Maia Chkheidze** – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

**Rusudan Tabukashvili** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Professor

**Viola Purzeladze** – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

**Ia Chikvinidze** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

**Hans Rudiger Fluck** – Professor of the Bokhums“ University, Doctor of Philological Science

**Kulpash Beibitova** – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

**Tanya Griskhamer** – Master of Philology (DAAD)

**Ketevan Gabunia** – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Dirrection in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

**Ia Burduli** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Assosiated Professor

**Maria Mikhailova** – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

**Sylvia Boteva** – Sofia's Uniersity of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

**Tatiana Megrelishvili** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philological Science, Professor

**Alba Graziano** – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

**Alessandra Spadafora** – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Assosiated Professor

**Georgi Kuparadze** – Tbilisis“ State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

**Rusudan Gotsiridze** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Full professor, the associate member of Oxford's University Society